

50 നാഗര



430CVB0KN SEMBLINE

**೧**6ക്കാക് 3071

JManaaaneen **JJAODJEEN** MISSAMLES arrenear



ふんごうんご **Massims** いのつのつるつタにふ



knagenaaneen MONESCOURT CACACACA 14029166

# 3434MENU636 4063369L BJJLN arrangs

ᲐᲠᲘᲐᲜ, ᲒᲕᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲔᲜ ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲣᲚ ᲗᲐᲠᲘᲦᲔᲑᲡᲐᲪ, ᲐᲮᲚᲐ ᲯᲔᲠᲘ ᲙᲚᲐᲣᲡ ᲢᲝᲞᲛᲘᲝᲚᲔᲠᲖᲔᲐ



უახლოესი მატჩები საქართველოს ნაკრებს 2 და 6 ივნისს ელის, მერე კი 22 აგვისტომდე, ანუ, ფიფას მიერ ამხანაგური თამაშებისთვის გამოყოფილ დღემდე მოგვიწევს მოცდა. ამ დღეს თბილისში ბრაზილიელთა სტუმრობაზეც იყო საუბარი, მაგრამ მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა და სამხრეთამერიკელებმაც სხვასთან გაჯიბრება დაიბევეს. ახლა კი, 22 აგვისტოს თბილისური ამხანაგური თამაშისთვის ევროპული, სამხრეთამერიკული და აზიური გუნდების წინადადებები გვაქვს. ჩვენთან თამაშის სურვილი უელსს, ხორვატიას, პარაგვაის, ჩილეს, კოლუმბიას, პერუსა და ირანს აქვთ. ამ ვარიანტებიდან ერთ-ერთის ამორჩევა კლაუს ტოპმიოლერისა და ფეხბურთის ფედერაციის გადასაწყვეტია. მაგრამ, დავუბრუნდეთ ბრაზილიის ნაკრებს...



# 7P20UV2EU 9LJ367EP 3369FFF36333



3º013-06&36307 ᲛᲐᲚᲮᲐᲖ ᲐᲡᲐᲗᲘᲐᲜᲗᲐᲜ

**ᲐᲜᲐᲢᲝᲚᲘ ᲒᲘᲨᲝᲕᲔᲪᲘ** ᲛᲐᲚᲮᲐᲖ ᲐᲡᲐᲗᲘᲐᲜᲖᲔ

...საერთო ჯამში, ასათიანის მიერ გაწეული შრომით კმაყოფილი ვარ. მან შეკრებაზე ძალიან კარგად იმუშავა. მალხაზს დიდი დრო გაუცდა და ბუნებრივიცაა, რომ ფორმაში შესასვლელად დრო სჭირდება. იმედი მაქვს, საერთო ჯგუფის მოთამაშეებივით, ის მალე სრული დატვირთვით ივარჯიშებს...





രാദാദഹി antototo **ւ**...ժճրաններ

**მ**სგავსი **රහුවල නිරහුර** განმეოგდეს

**೧**6&0Რ3ᲘᲣ 324040408 8026CE 109899



# 336636n... 45%350

susanunasi Jenagamu

ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲒᲘᲓᲒᲔᲜᲗ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲘ

www.pfl.ge

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ. ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲣᲠᲘ ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ

# **373PU 3W3U67**8

30/630/20 830/640/456

...რამᲓენიმე დღის წინათ გაცნობეთ, ბრაზილიის საფეხბურთო კონფედერაციამ ქართულ მხარესთან მოლაპარაკებათა გაგრძელების სურვილი
რომ გამოთქვა. ეს ინფორმაცია მაშინ
მოვიპოვეთ, როცა ფედერაციისა და
ნაკრების ხელმძღვანელობა გლაზგოური თამაშის სამზადისზე იყო გადართული და, ბუნებრივია, საკითხის გარკვევაც დროებით გადაიდო. ახლა კი, როცა
მარტის მატჩებმა ჩაიარა, ფეხბურთის
ფედერაცია ისევ ამხანაგური მატჩების
ორგანიზებით დაკავდა. ჩვენი ინფორმაციით ბრაზილიიდან ფაქსიც კი მოვიდა, რომელშიც სამხრეთამერიკელები
მართლაც იჩენენ ჩვენთან გაჯიბრების
სურვილს და თბილისში სათამაშოდ
სხვა თარიღებიც კი დაასახელეს.

"ბრაზილიის საფეხბურთო კონფედერაციიდან მართლაც მივიღეთ ფაქსი. სამხრეთამერიკელები თბილისში ამხანაგური მატჩის გასამართად, ფიფას მიერ გამოყოფილ ორ თარილს, 12 სექტემბერსა და 17 ნოემბერს გვთავაზობენ. ჩვენ ამ ორი თარილიდან ერთ-ერთი უნდა შევარჩიოთ, ბრაზილიურ მხარეს ვაცნობოთ და მოლაპარაკებების გაგრძელდება. ამ საკითხს ნაკრების ხელმძღვანელობასთან ერთად გადავწყვეტთ და პასუხს მომავალ კვირაში ვაცნობებთ", - განაცხადა "ლელოსთან" საუბარში ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა უჩა უგულავამ.

რალურმა მდივანმა უჩა უგულავამ.
ფარერებთან მატჩის შემდეგ კლაუს
ტოპმიოლერი და რალფ მინგე სამშობლოში არ დაბრუნებულან. გუშინ სამწვრთნელო შტაბი უცხოური შეკრებიდან
დაბრუნებულებმა პეტარ სეგრტმა და ჰაინც ტოპმიოლერმა შეავსეს. მწვრთნელები ხვალ ეროვნული ჩემპიონატის მატჩებს დაესწრებიან და სანაკრებო სიებში
მყოფ ფეხბურთელებს დააკვირდებიან.

დავით (33838)



მალხაზ ასათიანი

യാദാന്ത്രാക്ര

## 

მოსაოვის "ლოკომოტივმა" ევროპული სანაკრებო კვირეულით ისარგებლა და გერმანიაში ერთკვირიანი შეკრება მოაწყო.

რკინიგზელთა მთავარმა მწვრთნელმა ანატოლი ბიშოვეცმა შეკრების შესახებ ისაუბრა. ერთ-ერთი კითხვა ძირითად ჯგუფში დაბრუნებულ მალხაზ ასათიანზე დაუსვეს, რომელიც აგერ უკვე რვა თვეა ტრავმის გამო ვერ თამაშობს.

რვა თვეა ტრავმის გამო ვერ თამაშობს.
"ლოკომოტივის" მთავარი მწვრთნელი ქართველი მცველის მდგომარეობას 
დადებითად აფასებს და მისით კმაყოფილია: "საერთო ჯამში, ასათიანის მიერ გაწული შრომით კმაყოფილი დავრჩი. მან 
შეკრებაზე ძალიან კარგად იმუშავა. მალხაზს ძალიან დიდი დრო გაუცდა და პუნებრივიცაა ფორმაში შესასვლელად 
დრო რომ სჭირდება. იმედი მაქვს, ის საერთო ჯგუფის მოთამაშეებივით მალე 
სრული დატვირთვით ივარჯიშებს".

მალხაზ ასათიანს ბუნებრივია, ჯერ ბოლომდე არ ტვირთავენ, მაგრამ რაც მთავარია, ბურთთან ერთად მუშაობის ნება დართეს. საქართველოს ნაკრების ლიდერის პასებით მისი თანაგუნდელები, თურმე, აღფრთოვანებას ვერ მალავენ, მალხაზი დღითიდღე უფრო უკეთ გამოიყურება. იგი "ლოკომოტივის" მე-ორე მწვრთნელის, სერგეი გერასიმეცის მეთვალყურეობით ვარჯიშობს. ასათიანისა და "სპორტ-ექსპრესის" კო-

რესპონდენტის ინტერვიუ მოსკოვში, კლუბის ბაზაზე შედგა.

 - ორი-სამი კვირაც და მეც ბოლომდე დამტვირთავენ. უფეხბურთოდ ძალიან მოვიწყინე, განსაკუთრებით, გერმანიაში გატარებულმა სამმა თვემ დამღალა.

- დარდს როგორ უმკლავდებოდით?
- ბეყრი მეძინა, ხშირად ვურეკავდი
მეგობრებს. ისე კი, თავისუფალი დრო
ბევრი ნამდვილად არ მქონია.

- რუიტის სპორტულ ცენტრში დაპრუნება აღარ მოგიწევთ?

- არა, ბოლო სარეაბილიტაციო კურსი წარსულს ჩაბარდა.

- თქვენს არყოფნაში "ლოკომოტივის" დაცვის ცენტრში სერგეი ეფიმოვი თამაშობს.

- და ძალიანაც მიხარია, ასე კარგად რომ გამოსდის ეს საქმე. კარგი ბიჭია, ნიჭიერი და შრომისმოყვარე. მართალია, თავიდან ცოტა გაუჭირდა, მაგრამ შემდეგ დაამტკიცა, რომ ჩვენს გუნდში შეუცვლელი არავინაა.

- შაბათს "ლუჟნიკებზე" (ცსკასთან თამაშზე, რედ.) წახვალთ? - რა თქმა უნდა, აბა ასეთ მატჩს ხომ

არ გამოვტოვებ.

- ოლიჩზე კიდევ ნაწყენი ხართ?

 ნაწყენი თავიდანვე არ ვყოფილვარ, ჩვეულებრივი სათამაშო მომენტი იყო, უბრალოდ, არ გამიმართლა.



გიორგი დემეტრაძე ფარერებთან მატჩში

ნუგზარ სუარიძის ფოტე

ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲓᲔᲛᲔᲢᲠᲐᲫᲔᲡᲗᲐᲜ

# 307374U7' 9F973FU 307374U7' 9F973FU

#### ᲐᲡᲔᲗ ᲗᲐᲛᲐᲨᲡ ᲐᲠᲐᲔᲠᲗᲘ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲰdᲝᲜᲓᲐ

ფარერებთან მატჩის გახსენებისას ყველას ერთი აზრი გაუელვებს თავში, გადავრჩით, კუნძულელებთან შინ ფრეს რომ არ დავჯერდითო.

ძნელად თუ წარმოიდგენდა ვინმე, რომ ჯგუფის აუტსაიდერად მიჩნეულ ფარერებთან, რომელთაც შვიდი თვის წინ სტუმრად 6:0 მოვუგეთ, შინ მოგება გაგვიჭირდებოდა, თანაც რიცხობრივი უპირატესობის მიუხედავად.

ფარერებთან თბილისურმა მატჩმა გულშემატკივართა ერთი ნაწილი ჩააფიქრა, ნაწილს პესიმიზმი შემატა, ნაწილი კი თვლის, რომ ეს ჩვეულებრივი ჩავარდნა იყო, რომლისგანაც არცერთი გუნდი არაა დაზღვეული. ჩავარდნა, რომელიც გლაზგოური მარცხის ფსიქოლოგიური ნაკვალევით იყო განპირობებული.

საინტერესოა, რას ფიქრობს კუნძულელებთან მატჩის უშუალო მონაწილე გიორგი დემეტრაძე.

- საუბარი ფარერებთან განვლილი მატჩით დავიწყოთ. როგორ ფიქრობ მაინც რა იყო მიზეზი იმისა, რომ ჯგუფის აუტსაიდერთან მოგება გაგვიჭირდა?

- ვფიქრობ, ამას რამდენიმე მიზეზი 
ჰქონდა. შევეცდები, ყველა ეს მიზეზი 
ჩამოვთვალო. აუტსაიდერთან ყველა 
გუნდს უჭირს მობილიზება და სრული 
კონცენტრაცია. მით უმეტეს, ფარერე- 
ბი სტუმრად 6:0 გვყავდა დამარცხებუ- 
ლი. საშინაო მატჩში კონცენტრაცია 
დაგვაკლდა. ფეხბურთელები გულის 
სიღრმეში ვფიქრობდით, რომ იოლად 
დავამარცხებდით მეტოქეს. აღსანიშნა- 
ვია ისიც, რომ მოწინააღმდეგე მთელი 
გუნდით დაცვაში იჯდა და ასეთ დროს 
გოლის გატანა იოლი ნამდვილად არაა. 
ამას დაემატა ისიც, რომ არაერთი წამყ- 
ვანი ფეხბურთელი გვაკლდა. საკადრო 
დეფიციტი კი განსაკუთრებით დაცვაში 
იჯრძნობოდა.

- დაცვაში მართლაც იყო საკადრო პრობლემა, შეტევებისას მეტოქის კონტრიერიშები ხშირად გვეპარებოდა. ისე, შუა და წინა ხაზსაც უკეთ გარჯა მარ-

- მატჩამდე ისეთი განწყობა იყო,

რომ გულშემატკივართა სრული უმრავლესობა ნაკრებისგან დიდი ანგარიშით მოგებას ელოდა. ქომაგები ერთმანეთს ეკითხებოდნენ სამი, ოთხი, ხუთი თუ მეტი გოლით მოვიგებდით. ისე არ გამიგოთ, გულშემატკივარს ვამტყუნებდე. ქომაგი მაქსიმალისტია და ითხოვდა კიდეც ჩვენგან დიდი ანგარიშით მოგებას. ამაზე ჩვენც გავაკეთეთ აქცენტი და ყველა დამეთანხმება, რომ მეტოქის კართან არაერთი საგოლე მომენტი შევქმენით. ყველა საგოლე მომენტს ვერ გამოიყენებ. ჩვენც არაერთი შანსი გავატანეთ ქარს და...

- და გუნდიც, როგორც იტყვიან, აიჭრა...

- სწორედ მაშინ იჩინა თავი გლაზგოური მატჩის ფსიქოლოგიურმა კვალმა: კონცენტრირებული რომ ვყოფილიყავით და მეტოქე სათანადოდ დაგვეფასებინა, ეს აღარ მოხდებოდა. მეორე ტაიმის დასაწყისში მესამე გოლი რომ გაგვეტანა, ფარერებს ბოლომდე გავტეხავდით და მართლა დიდი ანგარიშით მოვიგებდით.

- ისე კი ფრეს ძლივს გადავურ-

- აბა... ლომაიამ გვიხსნა... ცუდია, რომ მატჩი ასეთი სცენარით წარიმარ-თა, მეტოქის კონტრშეტევები გაგვეპა-რა. ახლა ყველაფერი ჩავლილია და მთავარი ისაა, ეს გავითავისოთ, რადგან მსგავსი რამ ალარ მოგვივიდეს. ამ შემთხვევაში, მთავარია, რომ მოვიგეთ. სხვათა შორის გლაზგოდანაც იმიტომ ვერ წამოვიღეთ ქულა, რომ ბოლო წუთებში კონცენტრაცია დავკარგეთ.

 და კიდევ იმიტომ, რომ ჩვენი გუნდი ბოლოს დაცვაში ჩაჯდა და მხოლოდ ანგარიშის შენარჩუნებაზე ზრუნავდა. ასეა?

 - კი ეს მომენტიც იყო, მაგრამ უკან ჩაჯდომა მწვრთნელებს არ დაუვალებიათ. ეს უფრო ვითარებამ გვაიძულა.

- სიტყვამ მოიტანა და აქვე გკითხავ, შოტლანდიაზე რა წარმოდგენა შეგექმნა?

- გლაზგოში მშვენიერი ატმოსფერო იყო, მხურვალე და ერთგული ქომაგობა მატჩის ბოლომდე. თავად შოტლანდიის ნაკრებმა კი ჩემზე მთლად ისეთი შთაბეჭდილება ნამდვილად ვერ დატოვა, რასაც ველოდი.

- შოტლანდიას თბილისში მოვუგებთ?

- კი, ვფიქრობ, რომ მოვუგებთ. იმედია, წამყვანი ფეხბურთელები ჯანმრთელად იქნებიან, არ დაგვაკლდებიან და შოტლანდიასთან შინ სამ ქულას ავილებთ.

- უკრაინაში ორ ფრონტზე იპრძვი, მინდორზეც და სასამართლოშიც...

- აბა რა ვქნა, ლეგიონერთა უფლებებს ვიცავ. ლეგიონერთა ლიმიტის შემცირებაზეა საუბარი და ამას ჩემ დარად ბევრი ეწინააღმდეგება. საქმე ახლა კასაციაშია და იმედი მაქვს, ჩემი ძალისხმევა თავის შედეგს გამოიღებს.

- მოწინააღმდეგე მხარის ლამაზი ადვოკატი მოგწონებია...

- (იცინის)... ჰო ლამაზი ადვოკატია. პირველად მომიწია სასამართლოში გამოსვლა. მართალი გითხრათ, იურიდიულ საკითხებში კარგად არ ვარ გარკვეული და ნელ-ნელა ამასაც ვსწავლობ.

- მხარდამჭერებიც გამოგიჩნდნენ. ბოლოს დიშლენკოვიჩმა აგიბა მხარი...

- პო, დიშლენკოვიჩი ჩვენი გუნდის მეკარეა. საერთოდ, ბევრი ლეგიონერი მიჭერს მხარს.

- კლუბის შეცვლაზე ხომ არ ფიქრობ?

- ჯერ არა, კონტრაქტი ორწლინახევრის შემდეგ მიმთავრდება. კლუბის შეცვლაზე ნამდვილად არ მიფიქრია. დონეცკში თავს კარგად ვგრძნობ, ყველა მიცნობს და მაფასებს. ეს კი ფეხბურთელისთვის ცოტას ნამდვილად არ ნიშნავს.

დავით (3383)ძე

#### ᲒᲐᲠᲓᲐᲘᲪᲕᲐᲚᲐ ᲒᲘᲕᲘ ᲛᲗᲕᲐᲠᲔᲚᲘᲫᲔ

პანაშ30Ლ0 30 და 31 მარტს, 16:00 Დბპრძბლ3ბ 1 აპრილს, 14:00 მ0სბმბრთი: დიდი დილომი, პეტრიწის ქუჩა, კორპუსი 15, II სადარბაზო, V სართული.





# **გ**ახსენი...

www.pfl.ge

ᲥᲐᲠᲗᲣᲚ **ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲒᲘ**ᲓᲒᲔᲜᲗ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲘ

უპრბინის ჩემპიონატის მეორე წრე ერთი თვის წინათ დაიწყო. უკვე მეტ-ნაკლებად გამოიკვეთა ფავორიტი გუნდები, აგრეთვე პირველობის საუკეთესო მეგოლეების წრე.

06&0630735L0C360805JU056

ბომბარდირობის ერთ-ერთი ყველა ზე რეალური კანდიდატი "კრივბასის" ქართველი კაპიტანი **ვასილ გიგიაძეა.** ის ხარკოვის "მეტალისტის" თავდამსხმელ ალექსანდრ გლადკიისთან ერთად 9 ბურთით მეგოლეთა სიის ლიდერია. მათ ერთი ბურთით კიევის "დინამოს" ფორვარდი მაქსიმ შაცკიხი ჩამორჩება.

გაზეთმა "კომანდამ" კონკურენტებს დაუსვა კითხვა, თუ ვის მიიჩნევენ ბომბარდირობის ყველაზე რეალურ ფავორიტებად.

თავად გიგიაძე თვლის, რომ უმძიმე-სი ბრძოლის გადატანა მოუხდება.


"რა თქმა უნდა, უკრაინის ჩემპიონატის პომპარდირობა ძალიან რთულია. რა არის დასამალი, ძალიან მინდა ამ ტიტულის მოპოვება. არადა, ეს რთული იქნება, რადგან ძალიან ძლიერი კონკურენტები მყავს - შაცკიხი, გლადკიი, ბრანდაუ. მიზანს ართულებს ისიც, რომ

- მე ვთქვი, რომ ტოპმიოლერს საერთოდ არ ვაინტერესებ, თორემ ფედერა-ცია არც მიხსენებია იმ ინტერვიუში. სიტყვები უკან კი არ მიმაქვს, ეს არ მახასიათებს, მაგრამ იგნორირებას რომ მიკეთებენ, ორი აზრი არ არსებობს.

- ტოპმიოლერს შენზე რომ ვკი-თხეთ, გვითხრა, უფრო ტექნიკური მოთამაშეები მომწონსო...

- დამინუნებდა, აბა რა იქნებოდა. არ ვიცი, ჩემზე უთხრეს ნახევარმცველიაო თუ რა იყო მიზეზი, მაგრამ ფაქტი ასეთია - ორჯერ მიმიწვია ნაკრებში და ხან საყრდენად მათამაშა და ხან ფლან გის ნახევარმცველად.

ნახევარმცველი რომ არ ვარ, ეს ვინ-მესთვის სიახლეა? თავდამსხმელი ვარ, ჩემს ამპლუაში კი თავის გამოჩენის შანსი ერთხელაც არ მომცეს. აბა, ჩემთვის უცხო პოზიციაზე როგორ მოვენონებოდი? ტექნიკაზე კი რა გითხრათ. მე უკრაინის ჩემპიონატის ბომბარდირი ვარ იმ ტექნიკით, რომელიც დამიწუნა. თავდამსხმელს რაც სჭირდება, ის თვისებები, ვფიქრობ, გამაჩნია და დანარ-ჩენზე რა გითხრათ.



ვასილ გიგიაძე იტალიასთან მატჩში

უკრაინის ჩემპიონატში კიევის "დინა-მოსა" და დონეცკის "შახტიორის" გარდა, ყველა გუნდი დაცვიდან თამაშს ამჯობინებს. 10 ბურთის გატანაც კი ძალიან რთულია, აღარ ვამპობ უფრო მეტზე.

პირადად მე 9 ბურთის გატანაც გამიჭირდებოდა, თანაგუნდელები რომ არ მეხმარებოდნენ. განსაკუთრებით საჩკო უნდა გამოვყო, მისი ზუსტი გადაცემების გარეშე ბომბარდირთა სიის სათავეში ვერ მოვექცეოდი.

საწყენი მხოლოდ ისაა, რომ ჩემი გოპის მთავარ მწვრთნელ კლაუს ტოპმიოლერს არ აინტერესებს. ალბათ, მიზეზი ისაა, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ჩინოვნიკებთან ურთიერთობა არ ამეწყო"

ეს ისეთი განცხადება იყო, რომლის გამოც ვასილთან დაკავშირება გადავწყვიტეთ.
- ვასილ, შენს ინტერვიუში ეწერა, რომ ნაკრებში ფედერაციასთან აუწყობელი ურთიერთობების გამო არ გიწვევენ. ქვეტექსტების გაგება სხვადასხვანაირად შეიძლებოდა და ამიტომაც უშუალოდ შენგან იქნება სა-ინტერესო იმის გაგება, რას გულისხმობდი ამ სიტყვებში?

- როგორც ჩანს, ნაკრებში მიწვევის იმედი გადაგენურა.

- მივხვდი, რომ ამაზე ნერვიულობა აღარც ღირს. უბრალოდ, გული მტკივა, რომ შემიძლია სარგებლობის მოტანა და შანსს არ მაძლევენ. ვითომ, შემთხვევით იყო რამდენჯერმე რომ დაინტე-რესდნენ"კრივბასში" ვრჩებოდი თუ არა? ძალიან კარგად.ვიცი, რაც ხდება. შედეგიც ხომ ჩანს. მხოლოდ ორი თამაში მოვიგეთ და ისიც ფარერებთან.

თქვენ გგონიათ, უკრაინის ნაკრებს ჩვენზე უკეთესი ფეხბურთელები ჰყავს? არის მარტო შევჩენკო და ვორონინი, სხვებიდან ვინ უნდა გამოარჩიო? ალბათ, ტიმოშჩუკი და ესაა ბლოხინის კონტინგენტი. ყველა დანარჩენი ერთი დონისაა და "დნეპრში" და ასეთი დონის გუნდებში თამაშობენ. ეგაა, რომ მთე-ლი 90 წუთი ჯიგრით იბრძვიან და რაც მთავარია, გუნდში საუკეთესოებს იწ-3ევენ.

- შენი აზრით, საქართველოს ნაკრებს უკეთესი მოთამაშეები ჰყავს?

- რა თქმა უნდა, ხომ ვიცი ამათი შესაძლებლობები.

მერაბ მამულაშვილი



ლევან კობიაშვილი

കാპനക്യവം ക്രെയന്മെട്ടെറ

## **MYSTAUR**

<mark>ბუშინ, ევროპის 2008</mark> წლის ჩემპიონატის შესარჩევ შეხვედრაში, საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანმა **ლევან კობიაშვილმა** 69-ედ ითამაშა ქვეყნის პირველი გუნდის შემადგენლობაში და ნაკრების ექს-კაპიტნის გიორგი ნემსაძის რეკორდი გაიმეორა!

საქართველოს ეროვნულ ნაკრებში ყველაზე მეტი შეხვედრა - 69 - დღეისათვის გიორგი ნემსაძეს და ლევან კობიაშვილს აქვთ ჩატარებული

ანემსაძე ქვეყნის პირველ გუნდში 1992-2004 წლებში თამაშობდა, კობიაშვილი კი ნაკრებში 1996 წლიდანაა.

ნაკრებში თამაშის მანძილზე გიორგი ნემსაძემ გოლი ვერ გაიტანა, ლევან კობიაშვილმა კი მეტოქეთა კარი შვიდჯერ დალაშქრა.

2 და 6 ივნისს საქართველოს ნაკრები ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში მორიგ შეხვედრებს ჩაატარებს, შესაბამისად, ლიტვასა და საფრანგეთში. თუ ლევან კობიაშვილმა ამ შეხვედრებში ითამაშა, უკვე ივნისში შეძლებს რეკორდის გაუმჯობესებას.

a634016020

# MY3U3Y33UG3Y &3F8Y3WEU ᲓᲐ ᲜᲐᲥᲠᲔᲑᲔᲑᲘ ᲛᲘ**Ა**ᲒᲝᲕᲐ

ᲛᲘᲗᲮᲠᲔᲡ, ᲩᲕᲔᲜᲡ ᲒᲣᲜᲓᲨᲘ ᲕᲔᲠ ᲩᲐᲯᲔᲥᲘᲝ

**3നമാ മനക്ഷവദാദാന**ന്ന കാന്ത്രിക്കുടെელობით საქართველოს ასაკობრივი ნაკრებები მუდამ ღირსეულად ასპარეზობდენ. რაც უნდა გასაკვირი იყოს, მისი ად-გილი ნაკრებებში ვეღარ მოინახა. როგორც თავად გვითხრა, მიზეზი საკმაოდ უცნაურია. ამაზე ქვემოთ. მთავარი კი ის გახლავთ, რომ კობა ჟორჟიკაშვილი გიორგი ნემსაძის სკოლად მონათლულ "საბურთალოში" გადავიდა, სადაც მთავარი მწვრთნელი გიორგი დევდარიანია. მასთან თანამშრომლობენ დათო პეტრიაშვილი, კახა ჭუმბურიძე და გია გეგუჩაძე. სკოლა ნელ-ნელა ძალას იკრებს, რისი დასტური ეს მოვლენაცაა.

**"ზესტაფონთან"** და ასაკობრივ ნაკრებებთან ურთიერთობა საბოლოოდ გაწყვიტეთ?

- დიახ, ასეა. "ზესტაფონიდან" შარშანდელი თასის ფინალის შემდეგ მომიხდა წამოსვლა.

- რატომ?

- მითხრეს, რომ ერთდროულად არ შეიძლებოდა ნაკრებისა და გუნდის გაწვრთნა და არჩევანის წინაშე დავდექი, მეც ნაკრები ვამჯობინე

- ნაკრებიდან რატომღა წამოხვედით? - მე არ წამოვსულვარ. უბრალოდ, საჭირო აღარ ვიყავი

- ანუ ნაკრებიდან გაგიშვეს? - მითხრეს, ჩვენს გუნდში ვერ ჩაჯე-ქიო. ეს სწორედ ამას ნიშნავდა.

- კონკრეტული მიზეზი არ დაასახელეს?



კობა ჟორჟიკაშვილ

- ეს მეც ვერ გავარკვიე. - "საბურთალომ" ბოლო დროს ბევრი ცნობილი მწვრთნელი მიიწვია. თქვენ რა როლი დაგეკისრათ?

- მე კვლავ ვრჩები მწვრთნელთა განათლების პროგრამის ინსტრუქტორად. "საბურთალოშიც" მწვრთნელთა მუშაობა მეხება. აქ არის უფროსი ასაკის ბავშვების გუნდი, რომელსაც გიორგი დევდარიანი ავარჯიშებს. მე მათ გეგმების, ვარჯიშების უკეთ ორგანიზებაში ვეხმარები.

- ნაკრებისა და "ზესტაფონის" შემ-

დეგ ერთ-ერთი საფეხბურთო სკოლაში მუშაობამ რატომ დაგაინტერესათ?

- "საბურთალოში" პერსპექტივა რომ არ დამენახა, თანამშრომლობით არც დავინტერესდებოდი. ჯერ ერთი, აქ დამხვდა ახალგ ზარდა, საქმის მცოდნე ხალხი. სკოლას სოლიდური პატრონი ჰყავს, მალე საკუთარ ბაზას ააშენებენ და, ბუნებრივია, დავინტერესდი. ჩვენი ხედვა ერთმანეთისას დაემთხვა, ესეც ძალიან ბევრს ნიშნავს და მივხვდი, რომ ღირდა მუშაობა.

მერა<u>ბ მ</u>ამულაშვილი

#### mannen

30 მარტი1930 - დაიბადა ბნბტოლი (გიზა) 6Mრაპიძე, ოჩამჩირე - (გარდაიცვალა 27.02.1995), თბილისი. ფეხბურთი, თავდამსხმელი. თამაშობდა ოჩამჩირის "დინამოში" (19-48-49), სოხუმის "დინამოში", თბილისის "საპარტაკში" (1951, 1953), ოდო-სა (1952-53, 1954-57, 1958-59) და თბილისის "დინამოში" (1958). სსრკუმაღლეს ლიგაში ჩაატარა 30მატი (8 გოლი). იყო ცხაკაიას "განთიადის" (1961), ქუთაისის "ტორპედოს" (1966-68, 1973-77, 1979, 1983, 1992-93), ტყიბულის "მუშახტის" (1969), გორის "დილის" (1969-70), მახარაძის "მერცხლის" (1971-72), სოხუმის "დინამოს" (1978, 1987-89), სამტრედიის "ლიკომოტივის" (1981-82, 1983-84), სოხუმის "ცხუმის" (1990-30 მარტი1930 - დაიბადა ანატოლი (გიგა) (1981-82, 1983-84), სოხუმის "ცხუმის" (1990-91), საქართველოს ნაკრებისა (1991-92) და თბილისის "ანცის" (1994) მთავარი მწვრთნე-ლი. სსრკ დამსახურებული მწვრთნელი.





ᲘᲐᲠᲔ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲚᲘᲒᲘᲡ ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲖᲔ





# **გა**ხსენი...

161969  $\mathfrak{S}_0$  and  $\mathfrak{S}_0$ 

www.pfl.ge

ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲒᲘᲓᲒᲔᲜᲗ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲘ

**Ლ**ᲔᲒᲘᲝᲜᲔᲠᲔᲑᲘ

## **430633463**0 479LIST

საძართველოს ნაკრების მცველმა ზურაბ ხიზანიშვილმა ბრიტანულ მედიასთან საუბარში განაცხადა, რომ მომავალში გლაზგოს "რეინჯერსში" დაბრუნება სურს. 25 წლის ხიზანიშვილმა "აიბროქსი" "ევუდ პარკზე" 2005 წელს გაცვალა, "ბლექბერნმა" ქართველი ჯერ ითხოვა "რეინჯერსისგან". ხიზანიშვილი მაიკლ ჰიუზის კლუბს ბრწყინვალედ მოერგო და ინგლისელებმაც მისი ტრანსფერი გამოისყიდეს. ჩვენებურმა სქოთურ კლუბში ორი სეზონი გაატარა, მისი ნასვლის ძირითადი მიზეზი კი შოტლანდიის ნაკრების ახლანდელი თავკაცის **ალექს მაკ**ლიშისგან ათვალწუნება გახდა, რომე-

ლიც იშვიათად ენდობოდა ქართველ მცველს

რეინჯერს ნიუსს" ზურამ შემდეგი განუცხადა: "მე მსურს, უკან, შოტლანდიაში დაპრუნეპა და "რეინჯერსის" მაისურით თამაში. ჯერ მხოლოდ 25 წლის ვარ და ადრეა შორს ჭვრეტა, თუმცა დაბრუნება ძალიან მსურს. კარგად მესმის, რომ ეს მარ-&m ჩემს ნებასურვილზე არაა, "რეინჯერსის" მწვრთნელსაც უნდა სურდეს ჩემი თამაში. შოტლანდია, "რეინჯერსი" და მისი ფანები კი ძალიან მიყვარს. მახსოვს, აქედან წასვლა ძალიან მიძნელდებოდა, გლაზგოში ბევრი მეგობარი დამრჩა და ამ ქალაქში თავს ბედნიერად ვგრძნობდი"

ნიკოლოზ 603060ძე



პაატა ჯინჭარაძე (მარჯვნივ)

#### **334 M497** uorara?

რუსეთში პირველი დივიზიონის გათამაშება დაიწყო. იქ სულ ექვსი ქართველი თამაშობს, თუმცა პირველ ტურში მხოლოდ ორმა მათგანმა ითამაშა. ბრიანსკის "დინამო" "სალიუტ ენერგიას" ესტუმრა, მატჩი 0:0 დასრულდა. სტუმართა რიგებში სრულად ითამაშა პაატა ჯინჭარაძემ. ყველაზე ქართული კლუბი "ანჟი" კი "სოდოვიკს" ესტუმრა. ეს შეხვედრაც 0:0 დასრულდა, ქართული ტრიოდან (ზურა არზიანი, კახა

მჟავანაძე და გოჩა ხოჯავა) მხოლოდ არზიანმა ითამაშა, ისიც 68-ე წუთამდე, შემდეგ ომარ თეთრაძემ ისიც შეცვალა. მატჩის პირველ ნახევარში არზიან მა ყვითელი ბარათი მიიღო. ჯერ არ ჩაბმულან ჩემპიონატში მოსკოვის "ტორპედო" , სადაც გედევან დარასელია თამაშობს და კალინინგრადის ბალტიკა", რომლის ღირსებასაც **ლავ**რენტი მიქაძე იცავს.

ნიკოლოზ ნეფარიძე

#### 20206

ᲒᲐᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐ**Ტ**ᲩᲔᲑᲘ

3037P90-4747 ANGUARDEN-BOLLDON 2:0 5097740-924U7 0.0 MAJAN-E. GUEVALL 250000 ชวเชงชิศิติ 2-สิวเชิวิทิก 35@50@M

გოლო მატჩებში ლიდერებმა ვერ ივარგეს. ზუგდიდელებმა სამტრედიაში სეზონის მესამე მარცხი იწვნიეს, მაგრამ მათი წაფორხილებით ახალციხელებმა ვერ ისარგებლეს. "მესხეთმა" გუშინ ჩაატარა გადადებული შეხვედრა და მოუ-ლოდნელად, "მაღაროელს" სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწია. ჭიათურელებმა სავსებით დამსახურებულად გაიმარჯვეს და ფლეი ოფში მოხვედრის თეორიული შანსიც გაიჩინეს.

23-ე ტურის ცენტრალური მატჩი აგარაში გაიმართა. დღეისათვის, მთავარი ინტრგია მესამე, საფლეიოფო საფეხურისთვის ბრძოლაა. "გაგრას" შესანიშნავი შანსი ჰქონდა, უშუალო კონკურენტთან სხვაობა შეემცირებინა, მაგრამ "მეშაქრემ" აღმავლობით ითამაშა და გადათამაშებისკენ უდიდესი ნაპიჯი გადადგა.

გუშინ აგარელებს მესამე პოზიციის კიდევ უფრო გამყარება შეეძლოთ, საამისოდ მეტოქეც ხელსაყრელი ჰყავდათ აუტსაიდერ "გურიის" სა-ხით, მაგრამ მოწინააღმდეგის კარს გასაღები ვერ მოუძებნეს და დასანანი ქულები დაკარგეს. არადა, გამარჯვების შემთხვევაში, "მეშაქრეს" მეორე ადგილისთვის ბრძოლის რეალური შესაძლებლობა მიეცემოდა.

#### 308 %ᲝᲠᲯᲘᲐ 2-ᲛᲔᲨᲐᲮᲒᲔ

25 ᲛᲐᲠᲢᲘ. ᲛᲪᲮᲔᲗᲐ. ᲐᲠᲛᲐᲖᲘ. 100 ᲛᲐᲧᲣᲠᲔᲑᲔᲚᲘ 1:0 ბერიაშვილი (30), 1:1 ქურციკიძე (54) 308 პორპოა 2: მიქაბერიძე, აფციაური (74 მაისაშვილი), ჭოველიძე, კაიშაური, კირთაძე, ბეჭვაია, ინჯგია, კვალინიძე, კიკნაძე (67. ჯიქი-ძე),ბერიაშვილი (46. იმერლიშვილი), ლიპარტია სამმადარიმიშიმი: ლურბელეიშვილი,

აირველი, მენთუშაშვილი, კუსრაშვილი, მეშბსტმ: მერკვილიშვილი, კუსრაშვილი მეშბსტმ: მერკვილიშვილი, კვანტრიშვი-ლი (42. ჩაფიძე), ბოჭორიშვილი, ხაჭიპერაძე, მაჩალაძე, დოხნაძე, ხაჟალია, გიორგობია-ნი, ფანჩულიძე, ქურციკიძე, ავალიშვილი სათადარიშოები: გიორგაძე, ძაგანია,

ცქიფურიშვილი მსა%0:მ. ბეუქლიშვილი

#### **ᲒᲣᲠᲘᲐ-ᲝᲚᲘᲛᲞᲘ**

25 ᲛᲐᲠᲢᲘ, ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘ, ᲔᲕ. ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲔ. 100 ᲛᲐᲧᲣᲠᲔᲑᲔᲚᲘ

0:1 ზედგინიძე (33), 1:1 თელია (67), 1:2 მაჭავარიანი (87)

გურია:მემარნიშვილი, თელია, იმნაიშვილი, ფაცურია (70. წილოსანი), მაღლაკელიძე, სიამაშვილი (65. ხ. მგელაძე), სულაქველიძე, ქობალია, ენდელაძე (78. მოდებაძე),

კოტრიკაძე, კვერენჩხილაძე სათაღარიგოეგი: ჩხაიძე, კალანდაძე, რუსიეშვილი, გოგიბერიძე

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ. 3063050 5085. XXIII 8760

# 

Mლიმპი: ხარშილაძე, ზედგინიძე (73. ბეგლარიშვილი), დონდოლაძე, ქორიძე, ჩიხრაძე, სულაშვილი, სამსონია, სეფიაშ-ვილი, ჯანელიძე, იაშვილი (63. მაჭავარია-ნი), ოდიშარია (78. კაკულია)

いのいやいがのるM: 2328232 მსა%ი: დ. სანაია

#### 933743-97947

25 ᲛᲐᲠᲢᲘ. ᲐᲒᲐᲠᲐ. ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ. 200 ᲛᲐᲧᲣᲠᲔᲒᲔᲚᲘ

1:0 ავალიანი (50)

უანიძე, კობახიძე, ავალიანი, კრავეიშვილი (78. ილურიძე), გაგნიძე (65. მანთიძე), გოცირიძე *სა00აയპრიბ00მი*ი. ტუ*ხაშვილი, გელაშ*-

ვილი, კვასხვაძე

გაბრა: ხომერიკი, ახობაძე (81. ხელაძე), კვანტალიანი, ქვრივიშვილი, მამუ-კაშვილი, აფრიამაშვილი, ცხადაია, და-თუნაშვილი (60. მგალობლიშვილი), ტყეშელაშვილი, შარიქაძე (60. ძაგანია), მეტ-

რეველი *სათადარიგობში: გალახაძე, მერა*პიშვილი, სუხიშვილი, მესხი მსა%ი: ლ. კვარაცხელია

#### **่** บงล&ผวตกง-ล&ฅวงกั

2:0

25 മാക്ഷറ. ധാമക്കായവാ. ാ. മാട്രാഭായാപാ. 1000 85406035050

1:0 გაბედავა (72, პენ.), 2:0 კვესეიშვილი (80) სპმტრეᲓᲘბ: ხარძეიშვილი, გოგია, კვესეიშვილი, კალანდარიშვილი, მახარაძე, ჯანელიძე, ჯინჭარაძე, ივეჩიანი, სამსეიშ-ვილი, ეცადეიშვილი (85. ჩუბინიძე), გაბე-

სათაღარიგოეგი: მუცურიძე, რაფაეოვი, ივანიაძე, ნინუა, მათურელი, მუჯ-

მგლები: დევაძე, გ. ქირია, ხუხია, ბენდელიანი (81. გაბედავა), კაკაბაძე, დ. ქირია, ვართაგავა, ჯოჯუა, კუტალია (85. მოდება-ძე), თოდუა, ბაკარანძე (69. ლიპარტია) სათადარიმოიბი: ძაგანია, ქომეთიანი,

ლუკავა, წურწუმია

#### მსაპი:ლ. ფანიაშვილი หกษาสง 2-ตกธงล**ท** 2 2:1 25 ᲛᲐᲠᲢᲘ. ᲡᲐᲩᲮᲔᲠᲔ. ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ.

100 8550%050000 0:1 ქანთარია (6), 1:1 დეკანოიძე (15), 2:1

გვეტაძე (71)

ჩიხურა 2: მწყერაშვილი, მაჭარაშვილი, ხვედელიძე, როგავა, შუკაკიძე, დეკანოიძე, აბდუშელიშვილი, გვეტაძე, ნადირაძე, გუ-ლიაშვილი, ფაღავა (84. მეგრელიშვილი) სათაფარიგობბი: გაფრინდაშვილი, ვა-

შაყმაძე, ივანაშვილი

ᲓᲘნᲐᲛᲝ2-თოთლაძე, კობიაშვილი, მამრა-ში, ფირცხალავა, ხატიაშვილი, გაბუნია (73. ჩადუნელი), კაკუბავა, ყიფიანი (46. ტეტუნაშ-ვილი), ქანთარია, კანდელაკი, ჯიშკარიანი სამმაფარიპჩებში: ლოსაბერიძე, ჩადუ-

*ნელი* მსა%೧:დ. ხარიტონაშვილი

#### L33A&3JN-8393AM399N 0:1

0:1 ხაჭიპერაძე (57) სპარბაპი: ლაძაძე, რ. კუკულაძე, ცქვი-ტაია, შუბითიძე, გიორგაძე, მარგიანი, გუ-ლიტაშვილი (60. ლომსაძე, 85. მეტრეველი), სახოკია, ჯაში (58. ქავთარაძე), ჯიშკარია ნი, ჯობავა სათაღარიგოები: სიბაშვილი, გედენი-

სამმაფმარიმოსიი: იიიაიკოლო, გაპრიჭიქე, მე, ოგმაიძე მალურაშვილი, გაპრიჭიქე, მუკაკიძე, პრეგვაძე, სამხარაძე, ტყებუჩავა (90. ცერცვაძე), იოსავა, სეფერთელაძე, ვ. ტყე-მალაძე, ჯაჯანიძე (43. ნაყოფია), ხაჭიპერაძე სამმალაძე, შაყოლა-ძე, ზ. ტყემალაძე, გაფრინდაშვილი, დარჯანია მსაპაი: ლ. სილაგავა

#### วอวศก 2-อวศยนวตก

25 ᲛᲐᲠᲢᲘ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. ᲐᲛᲔᲠᲘ. 50 ᲛᲐᲧᲣᲠᲔᲑᲔᲚᲘ 1:0 შენგელია (68)

1:0 შენგელია (68) ბმ0რი 2: გვენცაძე, მეტონიძე, ბერიანიძე, ნაჭყებია, ნაბრია, შენგელია, გარუჩავა, სიჭინავა, კბილცეცხლაშვილი, ხარტონაშვილი (65. გადელია), მშვილდაძე (86. ბოჯგუა) სამმად გარების მარების მარების

გულაძე, გულბანი, გოგუა მსაჯი: ა. ნონიკაშვილი

	a	а	8	6	ð	J
1. მბლები	22	17	2	3	38-12	53
2. 8066000	22	14	4	4	36-13	46
3. მეშბძრე	23	11	8	4	29-19	41
4. നമ്പാദ്രാ	23	12	4	7	44-24	40
5. ბმბრი 2	23	10	8	5	34-26	38
6. 83863	23	11	2	10	32-28	35
7. 30色 3406 2	23	10	5	8	36-21	35
8, 85.95% (10.00)	23	9	7	7	32-27	34
୨. ୯ <b>୩</b> 6୪am 2	23	8	7	8	43-24	31
10. പ്രാർക്രായവാ	22	8	6	8	23-31	30
11. 6. യറ658ന	21	9	2	10	30-31	29
12. 3035660	21	8	4	9	30-29	28
13. ზესტაფ.2	21	7	7	7	21-17	28
14. ჩ0ს შრა 2	22	б	4	12	21-37	22
15. სპბრტბპ0	23	6	3	13	13-33	21
16. რამა	21	5	6	10	22-34	21
17. გურია	23	5	4	14	23-51	19
18. 806065570	22	2	3	17	14-61	9



#### CPCTCF edayrwaur **3&**3@33

შაგათს რომის ოლიმპიურ სტადი-ონზე "რომა" "მილანს" უმასპინძლებს, სერია A-ს ამ თამაშში, შესაძლოა, მოედანს საქართველოს ნაკრების კაპიტა-ნი **კახა კალაძე** დაუბრუნდეს. ყოველ შემთხვევაში "დატასპორტის" მიხედვით ქართველი მცველი მწყობრშია: "კალაძე და ნესტა ბრუნდებიან, ასე რომ "მილანს" ყველა ტრავმირებული უბრუნდება". შეგახსენებთ, რომ კახა კალაძემ ჩემპიონთა ლიგის მატჩში გლაზგოს "სელტიკის" წინააღმდეგ მატჩში მიილო აქილევსის მყესის ტრავმა და მას შემდეგ მკურნალობს.

გილისის მიხეილ მესხის სახელოპის "ლოკომოტივის" სტადიონის აქციების 25% იყიდება" - ინფორმაცია მედიის საშუალებით ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ გაავრცელა.

თუმცა, როგორც შევიტყვეთ, იყიდება საფეხბურთო კლუბ "ლოკომო-ტივის" აქციათა 25 პროცენტიც. საქმე ისაა, რომ გუნდს ორი მეპატრონე ჰყავდა - 75 პროცენტის მფლობელი "სილქროუდი" და 25 პროცენტის მფლობელი საქართველოს რკინიგზა.

რკინიგზამ აღარც სტადიონის შენახვა ისურვა და გუნდში კუთვნილი აქციებიც ზედმეტად ჩათვალა. საწყენი კი არის, რადგან რკინიგზა ერთერთი უმდიდრესი სახელმწიფო ორგანიზაციაა, რომელსაც ფეხბურთზე მზრუნველობის ხანგრძლივი ტრადიცია ჩამოუყალიბდა.

რკინიგზამ აქციების კუთვნილი პაკეტი ეკონომიკური განვითარების სამინისტროს გადასცა, რომელმაც მათი გაყიდვა გადაწყვიტა.

ინფორმაცია "ლოკომოტივის" პრეზიდენტ ლექსო თოფურიასთან გადავამოწმეთ.

- მართალია, რომ გუნდის აქციები იყიდება?

**ന്നു**പ്പാര്യ പ്രവാദ്യ പ്രവാദ

- დიახ, იყიდება, მაგრამ ჩვენ არ ვყიდით. საუბარია რკინიგზის კუთვნილ აქციებზე. რკინიგზას ჩვენი კლუბის აქციების 25 პროცენტი ეკუთვნოდა, რომელიც ეკონომიკის სამინისტრომ აუქციონზე გაიტანა.

- თქვენ ამ ფაქტს დადებითად აფა-

- თუკი ვინმე ჩვენი პარტნიორი გახდება, ძალიანაც გაგვიხარდება. ამას რა აჯობებს. თუმცა, ხაზს ვუსვამ, "ლოკომოტივს" ახლა რეალური, ძლიერი პარტნიორი სჭირდება. ჩვენ გუნდის განვითარების პროგრამა გაგვაჩნია და თუკი თანამოაზრეები გამოჩნდებიან, ეს ძალიანაც კარგი იქნება.

- თუ იცით, ეს აქციები რა თანხად იყიდება?

- როგორც ვიცი, 5 ათას დოლარად. - 5 ათასად?! მეტად არა?!

- აქციებით დაინტერესებულ ადამიანს აქ რეალურად მხოლოდ მოთამაშეთა კონტრაქტები დახვდება. "ლოკომოტივს" არც ბაზა ეკუთვნის და არც სტადიონი. თუკი ვინმე იყიდის, კარგი იქნება.

ჯერ კონკრეტულად მსურველი არ გამოჩენილა?

- აუქციონი ჩატარდება და ყველაფერი იქ გამოჩნდება.

საქართველოში ეს პირველი პრეცედენტია, როდესაც კლუბის აქციები საჯაროდ იყიდება. პარალელს არ ვავლებთ, მაგრამ "მანჩესტერ იუნაიob" sbamo nasan ash a იწყო, რაც მსოფლიო ისტორიაში პირველად გაიტანეს ლონდონის საფონდო ბირჟაზე საფეხბურთო კლუბის აქციები და მას შემდეგ გუნდი ისე გამდიდრდა, აქციების ფასი გაათმაგდა.

ძნელი სათქმელია, "ლოკომოტივის" პრეცედენტი იქნება თუ არა ანალოგიუ რად წარმატებული, მაგრამ გუნდის 25 პროცენტის ასე იაფად შეძენა რომ ღირს, ორი აზრიც არაა. რა თქმა უნდა, 5 ათასით ვაჭრობა არ დასრულდება, მაგრამ ლირს კლუბის პატრონობა. ბოლოს და ბოლოს, სულ ასეთ დღეში ხომ არ ვიქნებით.

მერაბ მამულაშვილი

იკითხეთ "ტონუსი", იყავით ტონუსში...




# 336L360... 45%3330

agnosagn anagnonas www.pfl.ge

ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲒᲘᲓᲒᲔᲜᲗ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲘ

**ᲩᲕᲔᲜᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ** 





# 17 64NL 6N6, 30 9749P...

ყოველთვისგაისმოდა და დღესაც გაისმის, ერთმანეთისგან შორს უნდა იდგეს
სპორტი და პოლიტიკა, პოლიტიკა და
სპორტიო. არადა, ვინ იცის, რამდენჯერ
გადაკვეთილა მათი გზები სასიკეთოდ.
ზოგჯერ საზიანოდაც, მაგრამ ხომ გადაკვეთილა? 1989 წელს ჯერ კიდევ გაგანია
კომუნისტური მმართველობა იყო, როცა
სპორტმა, კერძოდ ფეხბურთმა, საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში უდიდესი როლი ითამაშა...

5 ივნისია, ორშაბათი, 1989 წელი. 'ლელოს" რედაქციაში ცნობილი კინორეჟისორი ალექსანდრე ჟღენტი გვენვია. ჩვეული ენერგიულობითა და ჟესტიკულაციით პირდაპირ საქმეზე გადავი-"აი, წერილი. მორჩა! წყალი არ გაუვა, უნდა გავრისკოთ"... მივხვდი, საითაც მიბიძგებდა, მაგრამ ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რას ვრისკავდით - ის, როგორც ავტორი, მე კი, როგორც რედაქტორი. ალეკო დაწყნარდი, - ვეუბნები, - წავიკითხავ". წავიკითხე. ასეთ წერილებს ჟურნალისტები "ბომბს" ვეძახით ხოლმე. ეს "ბომბი" სათაურშივე ასაფეთქებლად იყო მომართული და ასე იწყებოდა: ვიცი, ბევრს ამ სათაურის წაკითხვაზე ელდა ეცემა, მაგრამ მაინც, ჩემი სათქმელი მინდა გაუწყოთ"... სათაური კი - "საჭიროა თუ არა საბჭოთა კავშირის ჩემპი-ონატი ფეხბურთში?" - აი, ასეთი იყო. მოკლედ, ეს კაცი კატეგორიულად და გადაჭრით აყენებდა ფეხბურთში სსრ კავშირის პირველობიდან საქართველოს ჩამოშორებისა და ეროვნული ჩემპიონატის ჩატარების საკითხს. მთელმა საქართველომ კი არა, იმავე დღეს, ამ წერილის 
შესახებ უკვე მოსკოვმაც იცოდა. მსოფლიომ გაიგო "ბომბის" ხმა. რა ამბავიც 
ატყდებოდა, ძნელი მისახვედრი არ 
არის. ჩემდა გასაოცრად, მთავრობის 
ტელეფონი დუმდა. საყვედური არც მას 
შემდეგ მიგვიღია, რაც მოსკოვმა ოფი 
ციალურად ატეხა განგაში. სხვათა შორის, იმ ხანებში, კარგად აღარ მახსოვს, 
ლიტვისა თუ ლატვიის კომპარტია ცდილობდა გამოყოფას საკავშირო კომპარტიისგან და იმ ფაქტს არ გამოუწვევია 
არც დიდ საბჭოთა კავშირში და არც 
მსოფლიოში ისეთი აჟიოტაჟი, როგორიც ალეკო ჟღენტის მიერ საჯაროდ და 
საქვეყნოდ გამხელილმა წინადადებამ.

ვერ ვიტყვი, რომ ფეხბურთში ეროვნული ჩემპიონატის ჩატარების იდეას ჩვენთან, საქართველოში, ყველა აღფრთოვანებით შეხვდა. ქართული პრესის ცალკეულ გამოცემებში განსხვავებული მოსაზრებებიც იბეჭდებოდა. რა თქმა უნდა, გადამწყვეტი სიტყვა უნდა ეთქვა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას, რომელსაც ჯერ საკავშირო ფედერაციადან თავად უნდა დაეღნია თავი, ეროვნული ჩემპიონატის ჩატარების გადაწყვეტილება კი ამის შემდეგ უნდა მიელო. საბედნიეროდ, ეს დღეც დადგა, და დადგა არასრული ერთი წლის განმავლობაში დაპირისპირებულთა ჭიდილისა და ჭოჭმანის შემდეგ...

ბევრს კარგად ახსოვს ის პერიოდი,

ახსოვს, როგორ დაძაბულად და დაუფარავ ვნებათაღელვაში ჩაიარა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის იმ ყრილობამ, რომელზეც, როგორც გაზეთი "ლიტერატურული საქართველო" წერდა: "საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ თავი დაიხსნა საკავშირო ინსტანციის დიქტატისგან და გადაწყდა კიდეც დამოუკიდებელი ეროვნული ჩემპიონატის ჩატარება".


1990 წლის 30 მარტი. მართლაც ღირსახსოვარი, ამაღელვებელი დღე და მოვლენა - თბილისში, ეროვნულ სტადიონზე, ერთმანეთის პირისპირ დადგა ქართული ფეხბურთის ორი სიმბოლო, სახელითაც და შინაარსითაც, ისტორიითაც და აწმყოთიც, რაც მთავარია, მომავლის რწმენით - თბილისის "იბერია" და ფოთის "კოლხეთი".

"გაუმარჯოს დამოუკიდებელ ქართულ ფეხბურთს, გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს"! - იტყვის ხალხით გადაჭედილ სტადიონზე მაშინ ჯერ ისევ ეროვნული მოძრაობის ლიდერი, შემდეგ კი საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია. აი, სად გადაკვეთა ერთმანეთის გზები ბედმა და ვითარებამ, სპორტმა და პოლიტიკამ, პოლიტიკამ და ფეხბურთმა. საქართველოს დამოუკიდებლობა დაინყო ფეხბურთით და ამ ფაქტს ვერავინ გაექცევა...


ცოტა ხნით ისევ 1989 წელს დავუბრუ დეთ. ალექსანდრე ჟღენტის ზემოხსენებუ-ლი პუბლიკაციის შემდეგ, 28 ნოემბერს, ამავე ავტორს ახალი წერილი მოაქვს "ლელოს" რედაქციაში. მეორე დღეს მკითხველი უკვე ახალ წინადადებას გაეცნო. ამჯერად, ალექსანდრე ჟღენტი საქართველოს საფეხბურთო ნაკრების აღდგენას (მიაქციეთ ყურადღება, აღდგენას!) მოითხოვდა. საბუთად იშველიებდა 1919 წლის 26 მა ისს, ვაკეში, საქართველოს დამოუკიდებ-ლობის წლისთავის ზეიმზე გამართულ ცენტრალურ სპორტულ სანახაობას, ქართველებისა და ინგლისელების "ბურთაო ბას" და კიდევ: 1937 წელს საქართველო ბასკეთის ეროვნული ნაკრებების შეხვედრას თბილისში. რა თქმა უნდა, ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობას ამ ოცნების ასრულებაც მოჰყვა, თუმცა გულდასაწყვეტია რომ მსოფლიოს საფეხბურთო სამყაროში ღირსეული დამკვიდრება ძალიან გაგვი ჭირდა. ახალი საქართველოს ახალმა ნაკრებმა პირველი საერთაშორისო მატჩი ლიტვასთან, ეროვნულ სტადიონზე ჩაატარა და 2:2 ითამაშა. ასე დაიწყო ისგორია..

> თენგიზ გაჩეჩილაძე ფოტოები ალექსანდრე კოტორაშვილის





<del>ტელეფონებ</del>ი: 21-87-97; **მო**ბ. 8 (77) 71-87-97; 8 (77) 44-87-97





ᲔᲕᲠᲝ 2008. ᲡᲐᲙᲕᲐᲚᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲝ ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ

ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲡ ᲒᲐᲓᲐᲣᲠᲩᲐ, ᲩᲔᲮᲔᲗᲘ ᲓᲐ ᲘᲠᲚᲐᲜᲓᲘᲐ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲡ ᲒᲐᲣᲗᲐᲜᲐᲒᲠᲓᲜᲔᲜ...

ners A

1:1

#### **เมลงวิบิท-วิทิสสิวสิวสาราว**

სერბეთი: სტოიკოვიჩი, დრაგუტინოვიჩი, კრსტაიჩი, ტოშიჩი (84. ლაზოვიჩი), ვიდიჩი, დულიაი, იანკოვიჩი (68. კორომანი), ნ. კოვა-ჩევიჩი, კრასიჩი, დ. სტანკოვიჩი (78. მარკოვიჩი), პანტელიჩი.

პორტუგალია: რიკარდო, ჟორჟე ანდრადე, რიკარდო კარვალიო, პაულო ფერეირა, ლუის მიგელი (72. მარკო კანეირა), ჟოაო მუტინიო (77. რაულ მეირელესი), პეტიტი, ტიაგო, ნუნუ გომეში (82. კუარეშმა), კრისტიანო რო-

გოლები: 0:1 ტიაგო (5), 1:1 იანკოვიჩი (37) მაყურებელი: 50 000

#### วกราหายการที่ 1:0

პოლონეთი: ბორუცი, ბაკი, დუდკა, გარგუ-

პოლონეთი: ბორუცი, ბაკი, დუდკა, გარგულა, ლევანდოვსკი, ვასილიევსკი, მარსინ ჟევლაკოვა, ბლაშჩიკოვსკი, კრჟინოვეკი (83. იელენი), კაყმიერჩაკი (61. სობოლევსკი), ჟურავსკი.
სომხეთი: ბერეზოვსკი, არზუმანიანი,
დოხოანი, ოვსეპიანი, მელიქიანი, კაჩანდარიანი, კარამიანი (68. მელქონიანი), ნაზარიანი
(46. მანუჩარიანი), პეგიაინი, შახგელდიანი (75. მხითარიანი), ზებელიანი.

გოლი: 1:0 ჟურავსკი (26) მაყურებელი: 15 000

#### วสวสสวกระวิธีก-ซิกธิวิติก

აზერბაიჯანი: ველიევი, აბასოვი, გული-ევი, ქარიმოვი, ანდრე ლადაგა (66. იმამალიე-ვი), ერნანი პერეირა, აგაკიშიევი, ჩერტოგა-ნოვი, სულთანოვი (76. ყურბანოვი), ლეანდ-რო გომეში (10. ნადიროვი), შუბაშიჩი. ფინეთი: იაასკელაინენი, პიიპია, კალიო, პასანენი, ტიჰინენი, ერიომენკო, ჰეიკინენი, კოლკა (85. კუკი), იოჰანსონი (86. ფორსელი), ლიტმანენი, ვაირინენი.

ლიტმანენი, ვაირინენი. გოლი: 1:0 იმამალიევი (83) მაყურებელი: 14 000

ჯგუფისა და მთლიანად შესარჩევი ტურის ერთ-ერთი მთავარი სენსაცია აზერბაიჯანის ფინეთთან გამარჯვება იყო, რითაც ყველაზე მეტად მოგებულები ქვეჯგუფის ლიდერები დარჩნენ. ამასობაში სერბეთმა და პორტუგალიამ ბელგრადში ქულები გაიყვეს და პოლო-ნეთს 5 ქულით გასწრების საშუალება მისცეს, თუმცა ეს მხოლოდ ამ მომენ. ტისთვის, რადგან მთავარი ჯერ წინ არის. პორტუგალიის ნაკრებმა, შაბათს ბელგიის 4:0-ზე განადგურების შემდეგ, ეს შეხვედრაც ძალზე თავდაჯერებულად დაიწყო, რაც დაადასტურა კიდეც ტიაგოს სწრაფმა გოლმა. სულ რაღაც 5 ნუთი იყო გასული, როცა "ლიონის" ნახევარმცველმა 33 მეტრიდან ულამაზესი დარტყმით მეკარე სტოიკოვიჩს ბურთი თავზე გადაავლო და ანგარიში გახსნა. მასპინძლებისთვის, ყაზახეთთან სენსაციური მარცხის შემდეგ, ეს კიდევ ერთი მძიმე დარტყმა აღმოჩნდა, თუმცა მე-20 წუთისთვის გონს მოსვლა დაიწყეს და ტერიტორიულ უპირატესობასაც დაეუფლნენ. ლუიშ ფელიპე სკოლარის გუნდმა კი თამაში კონტრშეტევებზე ააწყო და მალე **პეტიმ** სტუმრების უპირატესობა კინაღამ ორ ბურთამდე გა-

ზარდა. ნახევარი საათის თავზე სერბებ-

მა პირველი სახიფათო მომენტი შექმნეს, მაგრამ **ტოშიჩის** მიერ 10 მეტრიდან შესრულებული დარტყმა რიკარდუმ ლამაზი ნახტომით მოიგერია. პორტუგალიელებმა ამას სიმაოს კუთხურით უპასუხეს, რის შემდეგაც **ნუნუ გომეში** თავით შესანიშნავი პოზიციიდან ურტყამდა, მაგრამ ბურთი კარს დიდი მანძილით ააცილა. სტუმართა კართან ძა-ლიან აქტიურობდა "მანჩესტერ იუნაიტედის" მცველი ნემანია ვიდიჩი, რომელიც კარგი ფიზიკური მომზადების ხარჯზე, შეტევებში გამუდმებით ერთვებოდა. ერთ ეპიზოდში ვიდიჩმა თავით შესანიშნავად დაარტყა და კარს ოდნავ ააცილა. პირველი ნახევრის დასრულებამდე რვა წუთით ადრე მასპინძლებმა ანგარიშის გათანაბრება შეძლეს: დეიან სტანკოვიჩმა კუთხური მოაწოდა და ზორან იანკოვიჩმა თავურით გაიტანა, 1:1. ნუნუ გომეშს იქვე შეეძლო სტუმრების ხელმეორედ დაწინაურება, მაგრამ სიზუსტემ უმტყუნა. ტაიმის უკანასკნელ წუთზე თავის გამოჩენის შანსი **კრისტი**ანო რონალდოს ჰქონდა, მაგრამ მანჩესტერელის დარტყმულ ბურთს დულაი თავგანწირული ვარდნით გადაეღობა. მეორე ნახევარში უპირატესობას სტუმრები ფლობდნენ: ჟოაო მუტინიოს გასროლის შემდეგ მეკარე სტოიკოვიჩმა ბურთი სასწაული ნახტომით მოიგერია, 64-ე ნუთზე კი იგივე სტოიკოვიჩმა ტიაგოს არ მისცა დუბლის შესრულების შესაძლებლობა. შეხვედრის მინურულს კრისტიანო რონალდომ უძლიერესი საჯარიმო დარტყმა შეასრულა, მაგრამ სერბი გოლკიპერი ამჯერადაც მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა.

ლუიშ ფელიპე სკოლარი: "შედეგით კმაყოფილი ვარ, რადგან ჩვენი მეტოქე დღეს უძლიერესი გუნდი იყო. კლასით სერბეთი და პორტუგალია თანაბარი გუნდები არიან. ძალიან რთულ ქვეჯგუფში გვიწევს თამაში, ვფიქრობ, რომ ევროპის ჩემპიონატის საგზურს ის გუნდი მოიპოვებს, რომელიც უკეთეს შედეგს მიაღნევს ე.წ. აუტსაიდერებთან, რომლებმაც უკვე რამდენიმე სენსაცია შემოგვთავაზეს. ასეა თუ ისე, მიმაჩნია, რომ ქვეჯგუფში კარგი პოზიცია გვიკა-ვია, რადგან შინ ბევრი შეხვედრა გვაქვს გასამართი, ეს კი, საბოლოო ჯამში, გადამწყვეტი შეიძლება აღმოჩნდეს".

ხავიერ კლემენტე: "მეორე ტაიმი სუსტად ჩავატარეთ, თუმცა პირველ ტაიმში ნაჩვენები თამაშით ძალზე კმაყოფილი ვარ. ვიცოდით, რომ ფლანგეპზე მეტი ფეხბურთელი უნდა გაგვემწე-სებინა, რადგან სწორედ აქედან უსწორდება პორტუგალია თავის მეტოქეებს".

პოლონეთმა შაბათს აზერბაიჯანთან 5:0 მოიგო, რითაც ეტყობა, "საგოლე შიმშილი" დაიკმაყოფილა და სომხეთთან მხოლოდ ერთი გოლით გამარჯვება იკმარა. თუმცა საგოლე მომენტები მასპინძლებს თავზესაყრელად ჰქონდა, სომხებს კი მათ კართან ერთი ხიფათიც არ შეუქმნიათ. პოლონელებმა აქტიუ-რად დაიწყეს და უკვე მე-3 წუთზე **კუი**ნოვეკს შეეძლო გატანა, მაგრამ მეკარე რომან ბერეზოვსკიმ კარი თავგანწირული ნახტომით იხსნა. ლეო ბეენჰაკერის შეგირდებმა ანგარიში 26-ე წუთზე გახსნეს. აი, ასე: ჟევლაკოვმა გარღვევაზე გაიყვანა **ჟურავსკი**. "სელტიკის" ფორვარდი კარისკენ ზურგით იდგა, მაგრამ ორ სომეხ მცველს ერთი მოძრაობით დაუსხლტა და მოჭრილი დარტყმით ბურთი კუთხეში ჩასვა, 1:0. ერთ წუთში "კელცეს" სტადიონი ტაშს უკვე ბერეზოვსკის უკრავდა, მას შემდეგ, რაც სომეხთა კიპერმა კჟინოვეკის ყუმბარისებური ჯარიმა მოიგერია. სტუმრებმა პირველ ტაიმში ერთადერთხელ შეუტიეს: კარამიანის ჩანოდებულ ბურთს შორეულ ძელთან მდგომი შახგელდიანი ვერ შესწვდა, თორემ ანგარიში აუცილებლად გათაბრდებოდა. 50-ე წუთზე თავი ისევ კჟინოვეკმა გამოიჩინა, როცა 20 მეტრიდან კარგად დაარტყა და ოდნავ ააცილა. მალე მის მაგალითს კაზმერჩაკმა მიბაძა. 71-ე ნუთზე გარგულას არ გაუმართლა: ნახევარმცველმა 18 მეტრიდან თითქოს აუღებელი დაარტყა, მაგრამ ბერეზოვსკიმ რაღაც სასწაულით მოუგერია. ერთი ნუთის შემდეგ ჟურავსკიმ დასარტყმელ პოზიციაზე გაიყვანა **ბლაშიკოვსკი**, მაგრამ ამ უკანასკნელს სიზუსტე არ ეყო. პოლონელთა ბოლო საგოლე მომენტი გარგულამ გაანიავა, თუმცა ბერეზოვსკიმ ამ ეპიზოდშიც კარგად ითამაშა.

ფინეთის ნაკრების იმედებს, რომ ისტორიაში პირველად ითამაშოს დიდ სა-ფეხბურთო ტურნირზე, ბაქოში ძალიან მძიმე დარტყმა მიადგა. ვარშავაში 0:5-ზე განადგურების შემდეგ, ცოტა თუ იფიქრებდა, რომ აზერბაიჯანი სერიოზულ წინააღმდეგობას გაუნევდა ფინეთს, რომელსაც ამ შესარჩევ ციკლში ჯერ არ წაეგო. ამის მიუხედვავად, **ტოფიკ პახრამო-ვის** სახელობის სტადიონზე გულშემატკი-ვარი მაინც დიდი რაოდენობით მივიდა და ამის გამო არც უნანია. მასპინძლებმა თავიდანვე აჩვენეს, რომ საბრძოლველად იყვნენ განწყობილნი. **შახინ დინიევის** გუნდი თავდაჯერებით თამაშობდა დაცვაში და მწვავედაც უტევდა როი ჰოჯსონის კრებულს. თავიდან აზერბაიჯანელთა თავდასხმის ხაზს სუბაშიჩი-ლეანდრო გომესის წყვილი შეადგენდა, მაგრამ ნატურალიზებული ბრაზილიელი უკვე მე-10 წუთზე დაშავდა და მწვრთნელმა ის 19 წლის **ნადიროვით** შეცვალა. პირველ ტაიმში ორჯერ მიზანთან ახლოს იყო სუბაშიჩი. "ცრვენა ზვეზდის" აღზრდილმა ფორვარდმა ტანმაღალ ოპონენტებს ორივე შემთხვევაში საჰაერო ორთაბრძოლები მოუგო, მაგრამ სიზუსტე დააკლდა ფინელები ფონს გასვლას ცენტრიდან ცდილობდნენ, მაგრამ რაკი არაფერი გამოუვიდათ, მაღალ ჩანოდებებზე გადავიდნენ და მასპინძლების სისუსტეებიც აქ გამოვლინდა. პირველი ტაიმის ბოლოს პიიპიამ რეალური მომენტი გაუშვა, მას შემდეგ, რაც თავურით კარს ზემოდან გადააცილა. შეხვედრის ერთადერთი გოლის ავტორი 82-ე ნუთზე ემინ იმამალიევი გახდა. კუთხურისა და რამდენიმე რიკოშეტის შემდეგ, ბურთი ბაქოს "ინტერის" ნახევარმცველს მიუვიდა და მანაც შეუჩერე-ბელი დარტყმით გამარჯვებისა გაიგანა.

0	0	300	00	-0		
	a	а	9	6	٥	đ
<ol> <li>30円の60の0</li> </ol>	7	5	1	1	12-5	16
2. ᲐᲝᲠᲢ ᲣᲒᲐᲚᲘᲐ	6	3	2	1	13-4	11
3. სერგეთი	6	3	2	1	8-4	11
4. 9060000	6	3	2	1	7-3	11
5. ᲒᲔᲚᲒᲘᲐ	6	2	1	3	46	7
6. 85%56000	6	1.	2	3	3-8	5
7. ᲐᲖᲔᲠᲒᲐᲘᲯᲐᲜᲘ	6	1	1	4	2-13	4
8. LM36000	5	0	1	4	0-6	-

მომდევნო ტური. 2 ივნისი. ბელგიაპორტუგალია, აზერბაიჯანი-პოლონეთი, ფინეთი-სერბეთი, ყაზახეთი-სომხეთი.

C %2080

#### നാഷാണ-നേഷാഷാ

თურქეთი: ვოლქან დემირელი, ჰამით ალ თინთოფი, ემრე ასიქი, სერვეთ ჩეთინი, მეჰ-მეთ აურელიო, ემრე ბელოზოგლუ, გიოქდე-ნიზ ქარადენიზი (79. მეჰმეთ ილდიზი), თუ-მერ მეთინი (46. ვოლქან იამანი), საპრი სარი-ოგლუ, თუნჯაი ჩანლი, ჰაქან შუქური (90. ჰუ-სეინ ჩიშმირი).

ნორვეგია: მიურე, ჰაგენი, ჰანგელან-ღი, ანდერსენი, ჰაესტადი (57. სკიელბრე-დი), რიისე, სტორბაეკი, სტრომსტადი, ბრენე (85. ნევლანდი), კარუ, ჰელსტადი (63. ჰოლმი). გოლები: 0:1 ბრენე (31), 0:2 ანდერსენი , 1:2 ჰამით ალთინთოფი (72), 2:2 ჰამით ინთოფი (90)

მაყურებელი: 50 000

#### 825/82-179524962000

მალტა: ჰაბერი, აზლპარპი, ბრიფა, საი-დი, შიკლუნა, აგიუსი, მალია (90. ბარბარა), პეისი, სამუტი, მიხაელ მიფსუდი, შემბრი (71.

საბერძნეთი: ზალკიასი, დელასი (83. ანატოლაკისი), კაპსისი, კირგიაკოსი, ვინტრა, ბასინასი, კარაგუნისი, კაცურანისი, ტორო-სიდისი, გეკასი (90. სამარასი), სალპიგიდისი

(64. ლიბეროპულოსი). გოლი: 0:1 ბასინასი (66-პენ) გაძევება: ბრიფა (66. მალტა) მაყურებელი: 15 000

#### 368A3000-ameremas

უნგრეთი: ვეგი, ბალოგი (36. ვასკო), ბო-ორი, ჩიჟმადია, იუჰაში, ტოტი, ტოცერი, ვა-ოჩი, გერა, ჰაინალი, პრიშკინი (88. ტიჟა). მოლდოვა: პაშენკო, ბოდიანი, კოიოკა-

რი, ეპურეანუ, გოლოვატენკო, ოლექსიჩი, კომლენოკი (66. ზმეუ), კორნეენკოვი, ივა-ნოვი (46. ნამასკო), ბუგაევი, ფრუნზა (46.

ალექსეევი). გოლები: 1:0 ეპურეანუ (9-საკ. კარში), 2:0 გერა (63)

მაყურებელი: 5 000

ფეხბურთი ხშირად ლოგიკას რომ არ მიყვება, ეს თურქეთი-ნორვეგიის შეხვედრაში კიდევ ერთხელ დადასტურდა. ფათიჰ თერიმის გუნდმა შაბათს ტრიუმფალური გამარჯვება (4:1) მოიპოვა საბერძნეთში ევროპის ჩემპიონებთან და უდანაკარგო სვლა ხუთ მატჩამდე გა-ზარდა. პარალელურად ნორვეგიამ შინ არცთუ სახელოვან ბოსნია-ჰერცეგოვინასთან 1:2 დათმო. ამის შემდეგ, ძნელად თუ იფიქრებდა ვინმე, რომ თურქეთს ნორვეგიასთან ასე გაუჭირდებოდა და ქულას ბოლო წუთზე გადაარჩენდა. შეხ-ვედრის გმირად "შალკეს" თურქი ფორვარდი ჰამით ალთინთოფი იქცა, ანტიგმირად კი ნორვეგიელთა გოლკიპერი ტომას მიურე. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თურქეთი სამი მატჩით არის დისკვალიფიცირებული (შვეიცარიასთან მუნდიალის ფლეი ოფში მომხდარი ინციდენტებისთვის) და ამის გამო სკანდიფრანკფურტის ნეიტრალურ სტადიონზე მაყურებლების გარეშე მასპინძლობდა. შეიძლება, სწორედ ეს იყო იმის მიზეზი, რომ ნორვეგიელები დასაწყისში თავს უფრო თავისუფლად გრძნობდნენ და დებიუტშივე ორი საგოლე მომენტი შექმნეს: ბრენეს დარტყმამ ძელს სანტიმეტრებში ჩაუქროლა, **ჰელ**სტადის თავურის შემდეგ კი ბურთი კარს ზემოდან გადასცდა. თუმცა გოლი მწიფდებოდა და 31-ე წუთზე სტუმრებმა მიაღნიეს კიდეც მიზანს: სტრომსტადმა მარჯვნიდან ბრენეს ჩაუწოდა, ამან კი კარიდან გამოსული **ვოლკან დემირელი** ჩამოიშორა და ცარიელ კარში შეაგორა, 1:0. ცხრა წუთში სკანდინავიელთა უპირატესობა გაორმაგდა: ჰელმსტადმა სწრაფი კონტრშეტევა წამოიწყო, ბურთი ჯონ კარუს გადასცა, იმან ანდერსენი მოძებნა და კაპიტანმაც საჯარიმოს ხაზიდან შესრულებული ზუსტი დარტყმით მეორედ აიღო თურქთა კარი, 0:2.

ამ დროისთვის საბერძნეთი მალტაში უკვე იგებდა და თურქეთს ქულებით ისევ უთანაბრდებოდა. შესაბამისად, ფორმალურ მასპინძლებს მეორე ნახევარში რაღაც უნდა ეღონათ შეხვედრის გადასარჩენად. ეტყობა, რომ ფათიჰ თერიმმა შესვენებაზე თავისი ბიჭები კარგად დამუხტა, რადგან მოედანზე დაბრუნებული თურქეთი სულ სხვა გუნდი იყო. სამი წუთის განახლებული იყო თამაში, როცა ქარადენიზმა ბურთი ნორვეგიელთა კარის ძელს გაარტყა, მომდევტომას მიურეს მზადყოფნა. თურქები შეტევებს აძლიერებდნენ და 72-ე წუთზე სხვაობა შეამცირეს. ალთინთოფმა ძლიერი საჯარიმო დარტყმა შეასრულა, მიურეს ბურთი ხელიდან გაუვარდა და კარში შევარდა, 1:2. მერე **ემრე ბელე**ზოღლუს შეეძლო გატანა, მაგრამ ამ ეპიზოდში მეკარემ ივარგა. 90-ე წუთზე ალთინთოფმა კიდევ ერთი ოსტატური საჯარიმო შეასრულა და ამჯერად მიუ-რეს ბურთი ფეხებშუა გაუძვრინა, 2:2.

ფათიჰ თერიმი: "ვამაყოპ ჩემი ფეხბურთელების დღევანდელი გამოსვლით. ისინი ცარიელი ტრიბუნეპის წინ, დასჯილი გუნდის ფსიქოლოგიით თა-მაშობდნენ. მათ რაღაც ძალიან ღირებულს მიაღნიეს, ეს სტრატეგიული

მნიშვნელობის მქონე ქულაა". აგე ჰარეიდე: "სამწუხაროდ, ჩვენს გოლკიპერს ძალზე უიღბლო დღე ჰქონდა, ასე რომ, დღევანდელი ფრით ალბათ კმაყოფილები უნდა ვიყოთ. ევროპის ჩემპიონატზე გასვლის შანსი არ დაგვიკარგავს. საბერძნეთსა და თურქეთს შინ ვეთამაშებით. მომდევნო სამ შეხვედრაში ცხრა ქულა უნდა ავილოთ და ასე დავხვდეთ საბერძნეთს სექტემბერში"

ტომას მიურე: "ეს ჩემი კარიერის ყველაზე შავ-ბნელი დღეა. მე თანაგუნდელები, მწვრთნელი, საკუთარი თავი და მთელი ერი დავაღალატე. მსგავსი რამ მას შემდეგ არ ჩამიდენია, რაც 14 წლის ასაკში ახლგა ზრდულ ჩემპიონატ-


ში გამოვდიოდი

თურქეთთან შაბათს განცდილი ფიასკოს შემდეგ, საბერძნეთმა გულშემატკივრის თვალში ნაწილობრივი რეაბილიტაცია შეძლო, მას შემდეგ, რაც მალტაზე გაიმარჯვა და ლიდერთან სხვაობა ერთ ქულამდე შეამცირა. წინა შეხვედრასთან შედარებით, **ოტო რეჰაგელმა** ძირითად შემადგენლობაში ექვსი ფეხბურთელი შეცვალა. გაისმა თუ არა მსაჯის სასტვენი, ბერძნები მეტოქეს მაშინვე ეძგერნენ: კარაგუნისმა ბურთი პირველივე წუთზე ძელს გაარტყა. სტუმრები მთელ მოედანზე დომინირებდნენ, თუმცა რეალური საგოლე მომენტები მხოლოდ სტანდარტული მდგომარეობების გათამაშებით იქმნებოდა. მალტელებს ყველაზე დიდი პრობლემები საჰაერო ორთაბრძოლებისას ჰქონდათ. 36-ე წუთზე **კირიაკოსმა** თავით დასცხო, მაგრამ მასპინძლეთა მცველმა ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანა. მომდევნო ეპიზოდში გუნდი მეკარე **ჰაბერმა** იხსნა, როცა **გეკასის** თავური სასწაულით მოიგერია. შესვენების შემდეგ სტუმრებმა ზენოლა კიდევ უფრო გაზარდეს. მორი-გი კუთხურის შემდეგ მასპინძელთა საჯარიმოში არეულობა შეიქმნა, მაგრამ მეკარის პირისპირ დარჩენილმა **სალ**პინგიდისმა არაზუსტად დაარტყა. მე-60 წუთისთვის მალტამ პირველი იერიში მიიტანა სტუმართა კარზე, ორ წუთში კი მასპინძელთა ფორვარდი დელასთან ორთაბრძოლის შემდეგ წაიქცა და 11-მეტრიანს ითხოვდა. 11-მეტრიანი დაინიშნა კიდეც, მაგრამ საპირისპირო კარში: ბრიფამ ტოროსიდისი საჯარიმოში წესების დარღვევით შეჩერა, რისთვისაც მეორე "ყვითელიც" მიიღო. კაპიტანმა ბასინასმა პენალტი უშეცდომოდ შეასრულა და ბერძნები წინ გაიყვანა. დარჩენილ დროში სტუმრებს უპირატესობის გაზრდა რამდენჯერმე შეეძლოთ. ყველაზე ხელსაყრელი მომენტი კაცურანისს ჰქონდა, თუმცა მისი დარტყმის შემდეგ ბურთი ძელს მოხვდა.

უნგრეთის ნაკრებმა აუტსაიდერი მოლდოვა პირწმინდად დაჩაგრა და ერთი საფეხურით მაღლა აინია. მასპინძლები უპრატესობას პირველივე წუთი-დან დაეუფლნენ და უკვე მე-9 წუთზე დაწინაურდნენ: უნგრელი პრიშკინის თავურის შემდეგ ბურთი მოლდოველთა კაპიტან ეპურიანუს მოხვდა, მიმართულება შეიცვალა და კარში აღმოჩნდა. მოლდოველებმა გაბრძოლება სცადეს და გოლიც გაიტანეს, თუმცა მსაჯმა ის თამაშგარე მდგომარეობის გამო არ ჩათვალა. დარჩენილ დროში მასპინძლები გამუდმებით უტევდნენ. სცენარი არც შესვენების შემდეგ შეცვლილა. პირველ ათ წუთში მადიარებმა ორჯერ გაარტყეს ბურთი სტუმართა კარის ძელს. 63-ე ნუთზე კი მასპინძლებმა თავისას მაინც მიაღნიეს: ჰაინალის ფლანგური ჩანოდების შემდეგ, საჯარიმოში ყველას გერამ დაასხრო და 2:0 გახადა. ფორვარდების უზუსტობა რომ არა, უნგრელებს კიდევ სამჯერ შეეძლოთ უპირატესობის გაზრდა, მოლდოვამ კი ბოლო წუთზე პრესტიჟის გოლის გატანის შანსი ვერ გამო-


	a	9	9	6	8	đ
1. ഗൗർർാഗറ	5	4	1	0	14-3	13
2. ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲘ	5	4	0	1	8-4	12
3. <b>Ნ</b> ᲝᲠᲕᲔᲒᲘᲐ	5	2	1	2	9-6	7
4. amu60a	5	2	1	2	10-12	7
5. უ6გრეთი	5	2	0	3	7-8	6
6. <b>მ</b> ბლტა	5	1	1	3	5-10	4
7. anლდოვა	6	0	2	4	3-13	2

მომდევნო ტური. 2 ივნისი. ბოსნიათურქეთი; ნორვეგია-მალტა; საბერძნეთიუნგრეთი.



სერბეთი-პორტუგალია. უტევს კრისტიანო რონალდო





ჩეხეთი-კვიპროსი. იან კოლერი სტუმართა დაცვის გარღვევას ცდილობს

NEC6% C

3:0 DOMPH-PRE SYMPELL

უელსი: კოინი, რიკეტსი, ევანსი (63. ნია-ტანგა), კოლინზი, ბეილი, ფლეტჩერი, კუმა-სი, დევისი, გიგზი (74. პერი), ბელამი, ისტერი

(46. კოტერილი). სან მარინო: სიმონჩინი, ვალენტინი (85. ტოკაჩელი), ანდრეინი, ალბანი, ბაჩიოკი, მუ-ჩიოლი, ნეგრი (79. ნანი), დომენიკონი (67. ბუგლი), გასპერინი, მარანი

გოლები: 1:0 გიგზი (3), 2:0 ბეილი (20), 3:0 კუმასი (63)

მაყურებელი: 20 000

#### NACOBERTO-LETTISOUSIN

ირლანდია: გივენი, დანი, ფინენი, მაკშეი-ნი, ო'ში, კარსლი, დაფი, ირლანდი (70. ჰანტი), კილბეინი, მაკდიგი (87. ქუინი), დოილი (74.

სლოვაკეთი: ჩონტოფალსკი, გრეშკო, კლიმპლი, სინგლარი (79. შეშტაკი), შკრტელი, შეენტო (87. მიხალიკი), ბორბელი, საპარა (72. ლოშკო), ჟოფჩაკი, იაკუბკო, ვიტეკი. გოლი: 1:0 დოილი (12) მაყურებელი: 65 000

#### หอษอยทา-ปอกอสภาษก

ჩეხეთი: პ. ჩეხი, გრიგერა (12. რ. კოვა ჩი/27. ჟირანეკი), იანკულოვსკი, როზენალი, უიფალუში, გალაშეკი, იაროლიმი, პოლაკი, როსიცკი, ბაროში (77. პლასილი), კოლერი

კვიპროსი: გეორგალიდესი, ელია (76. ხა-რალამმუსი), ლამბრუ, საციასი, თეოდოტუ, ხარალამბიდესი (75. კრასიასი), ხრისტუ, მაკ-რიდესი, ალონეფტისი, გიასემი (72. ჰაილისი),

გოლი: 1:0 კოლერი (22) მაყურებელი: 9 310

ჯგუფის ლიდერი და ფავორიტი გერმანიის ნაკრები ამ ტურში ისვენებდა (ალემანებმა ამხანაგური მატჩი გამართეს დანიასთან), რამაც ჩეხეთისა და ირლანდიის ეროვნულ გუნდებს საშუალება მისცა, ბუნდესნაკრებს დასწეოდნენ. შაბათს გერმანელებთან დამარცხებულმა ჩეხებმა პრალაში მინიმალური სხვაობით მოუგეს კვიპროსს, ირლანდიამ კი ასეთივე ანგარიშით (1:0) სლოვაკეთი დაამარცხა, რის შემდეგაც ჩეხები და ირლანდიელები ქულების რაოდენობით გერმანელებს გაუთანაბრდნენ (სამივეს 13 ქულა აქვს), მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ გერმანიას 5 თამაში აქვს ჩატარებული, ჩეხეთს 6, ირლანდი-ას კი სულაც 7. რაც შეეხება მესამე მატჩს: უელსმა გაძვალტყავებულ სან სალოდნელი იყო, 3:0 გაანადგურა.

მართალია, ჩეხებმა კვიპროსელები მხოლოდ 1:0 დაამარცხეს, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ სასურველი შედეგის მიღნევა გაუჭირდათ, რადგან კარელ ბიურკნერის გუნდი თამაშს მთელი 90 წუთის განმავლობაში აკონტროლებდა და სადავეები ხელიდან ერთხელაც არ გაჰქცევია. სხვა საქმეა ის, რომ უპირობო ფავორიტად შერაცხულებმა ყველა საგოლე მომენტი ვერ გამოიყენეს და ეს რომ ასე მომხდარიყო, ანგარიში გამანადგურებელი იქნებოდა. ბრიუკნერის გუნდი 22-ე ნუთზე რადოსლავ კოვაჩმა დააწინაურა, რომელიც სასტარტო შემადგენლობაში არ ყოფილა - კოვაჩი მოედანზე მე-12 წუთზე **ზდენეკ გრიგე-რას** ნაცვლად შევიდა. რომ არა ამ უკა-

ნასკნელის ტრავმა, ბრიუკნერი კოვაჩს მინდორზე ალბათ არც შეუშვებდა. კოვაჩმა გოლი **ტომაშ როსიცკის** მიერ ჩაწოდებული კუთხურის შემდეგ გაიტანა ბურთი თავით ხარიხის ქვეშ ჩააჭედა.

არადა, ჩეხებს გოლის გატანა მანამდეც არაერთხელ შეეძლოთ და მას მე-რეც. პირველი შანსი **მარეკ იანკულოვ**სკის მიეცა - "მილანის" მარცხენა გარემარბმა საჯარიმო დარტყმა შესანიშნავად შეასრულა, მაგრამ კვიპროსელები მეკარე ანტონის გეორგალიდესმა იხსნა. კოვაჩის გოლის შემდეგ ამ გოლკიპერის დამწუხრება იმავე იანკულოვსკის, ასევე მილან ბაროშსა და ტომაშ გალაშეკსაც შეეძლოთ, მაგრამ მიზანი ჰქონდათ გასასწორებელი. პირველი ტაიმის მინურულს კი უკვე **იან კო**ლერს მართებდა გატანა, მაგრამ მისი დარტყმა გეორგალიდესმა არაჩვეუ-ლებრივ ნახტომში მოიგერია. სტუმრებმა მასპინძლები ერთადერთხელ აანერვიულეს - ეს მეორე ტაიმის სტარტზე მოხდა, როცა **პეტრ ჩეხის** დამწუხრება იანის ოკასს შეეძლო, მაგრამ 'ჩელსის" კარის დარაჯს ვერაფერი დააკლო. მერე ბაროშმა ორჯერ ჩინებული პასი მისცა **იან პოლაკს**, მაგრამ ამ უკანასკნელმა ორივე შემთხვევაში შესცოდა. საბოლოოდ კი 1:0, რაც კვიპროსელთა მეკარის დამსახურებაა.

ისევე, როგორც გასულ შაბათს უელსთან, ირლანდიელებმა ამჯერადაც მინიმალური სხვაობით მოიგეს. სტივ სტონტონის კოლექტივს ამბიცი-ური სლოვაკეთი სტუმრობდა და ჩეხეთი-კვიპროსის მატჩისგან განსხვავებით, ირლანდიელთა ამ გამარჯვებას დამაჯერებელს ნამდვილად ვერ ვუნო-დებთ, რადგან სლოვაკებს არაერთხელ შეეძლოთ გოლის გატანა და სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ დუბლინიდან მინიმუმ ქულის წალებას იმსახურებდნენ. ირლანდიელები კევინ დოილმა გადაარჩინა. ეს უკანასკნელი ამ შეხვედრაში დისკვალიფიცირებულ რობი კინს ცვლიდა. პრემიერლიგული "რედინგის" ფორვარდმა ერთადერთი გოლი მე-12 წუთზე გაიტანა, როცა **დე**მიენ დაფის ჩანოდებას გამოეხმაურა. არადა, დოილის გოლამდე, უკვე მეორე წუთზე, სლოვაკებს ანგარიშის გახსნის შესანიშნავი შანსი მიეცათ, მაგრამ რობერტ ვიტეკს შეი გივენმა აუღო

დოილის გოლის შემდეგ გატანა ორივე გუნდს შეეძლო - შანსები ორივე კართან მრავლად იქმნებოდა. ვიტეკმა კიდევ ერთხელ შეამონმა გივენის მზადყოფნა, სლოვაკთა კარის დარაჯმა ჩონტოფალსკიმ კი კევინ კილბეინის თავური დარტყმა მოიგერია. მეორე ტაიმში სლოვაკები უპირატესობას დაეუფლნენ და მასპინძლები საკუთარ საჯარიმოს მიაჯაჭვეს. მაგრამ მიზანს მაინც ვერ მიაღნიეს. უკანასკნელი შანსი მათ მატჩის მინურულს მიეცათ, მაგრამ ირლანდიელები ისევ გივენმა იხსნა -"ნიუკასლის" მეკარემ ჰოლოშკოს დარტყმა უკუაგდო

უელსის ნაკრებმა, რომელიც გულშემატკივრებს იმედებს უცრუებდა, როგორც იქნა, დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა, მაგრამ ეს რაიან გიგზისა და კომპანიის მდგომარეობას მაინც ვერ ამსუბუქებს - ძალიან მარტივი მიზეზის გამო: უელსის ნაკრების მეტოქე ის სან მარინო იყო, რომელსაც ახლა უკვე 5 თამაშში 30 გოლი აქვს გაშვებული. ყოველ შემთხვევაში, ჯონ ტოშაკის ბიჭებმა, სხვა თუ არაფერი, ამ მოგებით თავდაჯერება მაინც დაიბრუნეს, რაც მომდევნო მატჩებში გამოადგებათ. 2 ივნისს უელსი ჩეხეთს მასპინძლობს, გერმანია კი სან მარინოს, რომელსაც სტუმრად 13:0 მოუგო.

	Phillipping.					
	on	а	9	6	ð	đ
1. გერმანია	5	4	1	0	21-3	13
2. ROBOTIO	6	4	1	1	15-4	13
3. ᲘᲠᲚᲐᲜᲓᲘᲐ	7	4	1	2	12-8	13
4. LCCC3530000	6	3	0	3	15-11	9
5. უელსი ·	5	2	0	3	8-9	6
6. 33036060	6	1	1	4	9-16	4
7. ᲡᲐᲜ ᲛᲐᲠᲘᲜᲝ	5	0	0	5	1-30	0

მომდევნო ტური. 2 ივნისი. გერმანიასან მარინო; უელსი-ჩეხეთი.

#### E Rajon **ᲐᲜᲓᲝᲠᲐ-ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ**

**ანდორა**: კოლდო, სონეხე, ლიმა, აიალ ბერნაუსი, ესკურა, ვიეირა, გარსია, რუისი (89. ფერნანდესი), პუიოლი, ტოსკანო (90+3. მორე-ნო).

ინგლისი: რობინსონი, რიჩარდსი (62. დაისგლისი. ოობისსოსი, ოიჩარდსი (62. და-იერი), ტერი, ფერდინანდი, ე. კოული, ლენო-ნი, ჰარგრივზი, ჯერარდი, დაუნინგი, ე. ჯონ-სონი (80. ნაჯენტი), რუნი (62. დეფო). გოლები: 0:1 ჯერარდი (54), 0:2 ჯერარდი (76), 0:3 ნაჯენტი (90)

მაყურებელი: 10 000

NU633551-369M630M

ისრაელი: ავატე, ბენ ჰაიმი, გერშონი, სპუნ-ინი, ზივი, ბადირი, ბენაიოუნი, ტალი, ბენ შუშანი (70. ალპერმანი), კოლაუტი, ტამუზი (64

ესტონეთი: პოომი, ბარენგრუბი, კრუგ-ლოვი, ლემსალუ, ოპერი, შიშოვი, დმიტრიევი, კლავანი, ლინდპერი (80. კამსი), რანი (39. კინ-

კი), ნეემელო (61. კონსა). გოლები: 1:0 ტალი (19), 2:0 კოლაუტი (29), 3:0 საარი (77), 4:0 საარი (80) მაყურებელი: 23 658

ისრაელთან ფრის შემდეგ (0:0), რის გამოც ინგლისელმა ჟურნალისტებმა სტივ მაკლარენი კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარეს, ინგლისის ნაკრებს ანდორასთან ჰქონდა საქმე და ეჭვი არავის ეპარებოდა იმაში, რომ მაკლარენის გუნდი ხუთმატჩიან მოუგებელ სერიას შეწყვეტდა. ანდორელებმა ინგლისს ბარსელონაში, ესპანიოლს სტადიონ "მონჟუიკზე" უმასპინძლეს და მატჩსაც 10 ათასი გულშემატკივარი დაესწრო. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ინგლისელები უდიდეს სირცხვილს გადაურჩ-ნენ. ანგარიშმა შეცდომაში არ უნდა შეგიყვანოთ - თითქმის ერთი საათის მანძილზე ინგლისმა ანდორას გოლი ვერ გაუტანა! ბოლოს ნავსი სტივ ჯერარდმა გატეხა, რომელმაც მხოლოდ 54-ე ნუთზელა შეძლო ჯუჯა სახელმწიფოს პირველი გუნდის კარის დალაშქვრა, რასაც ლივერპულელმა 76-ე ნუთზე მეორე გოლიც მიაყოლა, ბოლოს კი, მესამე გოლო დევიდ ნაჯენტმა შეაგდო, რომელიც ინგლისის ნაკრების დებიუტანტი გახლავთ. სხვათა შორის, ეს უკანასკნელი ინგლისის პირველი დივიზიონის კლუბ "პრესტონში" თამაშობს. ბარემ აქვე გეტყვით, თუ როგორი გოლი გაიტანა ნაჯენტმა: მან ჯერმეინ დეფოს დარტყმის შემდეგ, ბურთს კართან მიუსწრო და მიუხედავად იმისა, რომ გოლი გადიოდა, მაინც თვითონ გაიტანა, რაც ალბათ მაინც ეპატიება, რადგან ინგლისის ნაკრებში პირველი თამაში ჰქონდა. მატჩის შემდეგ ნაჯენტს დეფოზე ჰკითხეს, ხომ არ გისაყვედურაო, რაზეც პრესტონელმა ასეთი პასუხი გასცა: "არა, დეფომ მითხრა, რომ ჩემს ადგილზე ისიც ასე მოიქცეოდა!"

ტრავმირებული **ფრენკ ლემპარდი** ძირითად შემადგენლობაში **სტიუარ**ტ დაუნინგმა შეცვალა. მაკლარენმა ეს უკანასკნელი ნახევარდაცვის მარჯვენა ფლანგზე გაამწესა და შესაბამისად, ჯერარდი ცენტრისკენ შესწია, სადაც ლივერპულელი ოუენ ჰარგრივსს შეუწყვილდა. ძირითადში ვიხილეთ მიკა რიჩარდსი და ეშლი კოულიც. ინგლისელები თავიდანვე დაეუფლნენ უპირატესობას, რაც ნამდვილად არაა გასაკვირი - ანდორას ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე ბოლო 22 მატჩი წაგებული აქვს. მიუხედავად ამისა, მაკლარენის ბიჭებმა პირველ ტაიმში ამაზრზენად ითამაშეს და თამამად შეიძლება ითქვას, რომ მეტოქეებს შორის კლასში სხვაობა არ იგრძნობოდა. მე-18 წუთზე ჯერარდს მეტ-ნაკლებად სახიფათო მომენტი შეექმნა, მაგრამ

ვერ ივარგა, მატჩის დაწყებიდან ნახე ვარი საათის შემდეგ კი**, ენდი ჯონსონს** მართებდა ანდორელთა კარის დარაჯის დამწუხრება, მაგრამ ვერაფერი გააწყო. ამრიგად, ანდორამ ამ შესარჩევში პირველად მოახერხა ის, რომ პირველი გაიმი არ წააგო.

ჯერარდმა პირველი გოლი მეორე ნახევრის დაწყებიდან 9 წუთში გაიტანა: ლივერპულელმა უეინ რუნის პასით იხეირა. ცოტა ხანში ანდორის მეკარე კოლდომ ჯერარდს დუბლი არ შეასრულებინა, მაგრამ სტივმა საფინალო სასტვენამდე 14 წუთით ადრე მეორე გოლის გატანა მაინც შეძლო. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჯერარდი ინგლისის ნაკრების მოტორი იყო და მოედანზე საუკეთესო გახლდათ. 6 ივნისს ინგლისელები ტალინში ესტონეთს დაუპი-რისპირდებიან, სადაც მათ რუნი არ ეყოლებათ - "მანჩესტერ იუნაიტედის" ფორვარდმა მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და დისკვალიფიცირებულია. ანდორა კი 2 ივნისს მოსკოვში ითამაშებს.

სხვათა შორის, მატჩის შემდეგ ჯერარდმა ინგლისის ნაკრების არადამაჯერებელ თამაშსა და კრიზისზე ისაუბრა. მან აღნიშნა, რომ ეს, პირველ რიგში, ფეხბურთელების ბრალია და არა მწვრთნელისა, რომელიც მაქსიმუმს აკეთებს იმისთვის, რომ გუნდმა ყველა თამაში მოიგოს. "დამნაშავეები მხო-. ლოდ ჩვენ, ფეხბურთელები ვართ. ისრაელთან რომელიმე მომენტი გოლად რომ გვექცია, მაკლარენს არავინ გააკრიტიკებდა. საერთო ჯამში კი ვფიქრობ, რომ ისრაელში დაფიქსირებული 0:0 ჩვენთვის არც ისე ცუდი შედეგია. ანდორასთან სამი ქულის მოპოვება ვალდებულება იყო და კარგია, რომ პროგრამა მინიმუმი შევასრულეთ. ამ ჯგუფში გადამწყვეტი მატჩები რუსეთთან გვექნება," - განაცხადა ჯერარდმა. ინგლისს ისრაელი არ ჩამორჩა - მე-

ტიც, ებრაელებმა ბრიტანელებზე გაცილებით უკეთესადაც ითამაშეს, გაცილებით ძლიერი მეტოქე (ესტონეთი რომ ანდორას სჯობია, ამას ბევრი ლაპარაკი არ სჭირდება) უფრო დიდი ანგარიშითაც გაანადგურეს (4:0) და ესეც არ იყოს, ინგლისს სატურნირო ცხრილშიც უსწრებენ - ორივეს 11 ქულა აქვს (6 თამაშში), ბურთების შეფარდებაც თანაბარია (+7), მაგრამ ისრაელს ინგლისზე მეტი გოლი აქვს გატანილი. ამრიგად, სულაც არაა გასაკვირი, რომ შაბათს ისრაელმა ინგლისთან ნულოვან ფრეს მიაღნია. ორი გოლი ბენ საარის ანგარიშზეა, რობერტო კოლაუტიმ და იდან ტალმა კი თითოჯერ იხეირეს.

	a	а	9	6	8	đ
1. ხ <b>ო</b> რ3ატია	5	4	1	0	15-4	13
2. 0ᲡᲠᲐᲔᲚᲘ	6	3	2	1	13-6	11
3. 068ლისი	6	3	2	1	9-2	11
4. ര്ഡ്ഡാനറ	5	3	2	0	7-1	11
5. assagemens	6	2	1	3	5-5	7
6. DU&M60000	5	0	0	5	0-10	0
7 SEROMES	5	0	0	5	1-22	0

მომდევნო ტური. 2 ივნისი. ესტონეთი ხორვატია; რუსეთი-ანდორა; მაკედონია-ისრა-



ანდორა-ინგლისი. სტივ ჯერარდმა დუბლი მიითვალა

## 03KM 2008. ᲡᲐᲙᲕᲐᲚᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘM ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ

F %adun

#### RAINACTOCOCCO-CONTRAR

ჩრ.ირლანდია: მ. ტეილორი, კრეიგანი, მ. დაფი, ა. ჰიუზი, ბრანტი (90+4. სპრული), ს.

დევისი, ევანსი, დ. ჯონსონი, მაკანი, ფინი (79. დევისი, ევანსი, დ. ჯონსონი, მაკანი, ფინი (79. ლაფერტი), პილი (89. უები). შვედეთი: ისაქსონი, ედმანი, ჰანსონი, მელბერგი (69. მაისტოროვიჩი), მ. ნილსონი, ალექსანდერსონი (61. ვილჰელმსონი), დ. ანდერსონი, ლიუნგბერგი, ა. სვენსონი (46. კალ-სტრიომი), ელმანდერი, იპრაჰიმოვიჩი.

გოლები: 0:1 ელმანდერი (26), 1:1 ჰილი (31), 2:1 ჰილი (58) მაყურებელი: 14 000

#### **型作を36883060-型38303**

ლიხტენშტაინი: იელე, ჰასლერი, მარტინ შტოკლასა, მიხაელ შტოკლასა, ტელსერი, რ. ბუჩელი, მ. ბუჩელი, ბურგმაიერი, ბეკი (76. ფიშერი), ფრიკი, რორერი (90. შ. ბუჩელი).

ლატვია: კოლინკო, გორკსი (79. პროხო-რენკოვსი), კაკანოვსი, კლავა, სტეპანოვსი, ბლეიდელისი, ლპიზანსი, მოროზსი (61. პერეპლიოტკინსი), ვიშნიაკოვსი, პაჰარსი, ვერ პაკოვსკისი (46. კარლსონსი). გოლი: 1:0 ფრიკი (17)

მაყურებელი: 1 680

#### 3P39E3QUU-UP659E6U9

ესპანეთი: კასილიასი, სერხიო რამოსი, მარჩენა, პუიოლი, კაპდევილია (46. კაპდევი-ლია), ინიესტა, ალბელდა (78. ჩაბი ალონსო) ჩავი, სილვა, ვილია, მორიენტესი (43. ფერ ნანდო ტორესი).

ისლანდია: არასონი, კ. სიგურდსონი (85. ვიდარსონი), ბიარნასონი, ინგიმარსონი, გ. აონარსონი, სტეინსონი, პრეიდარსონი, ბ. გუნარსონი, სტეინსონი, ჰრეიდარსონი, ბ. გუნარსონი, ჰალფრედსონი (74. ჰ. სიგურდ-სონი), ვ. გუნარსონი (56. გისლასონი), გუდი-

გოლი: 1:0 ინიესტა (80) მაყურებელი: 23 000

ესპანეთის ნაკრები სიკვდილს გადა-ურჩა. მასპინძლებისთვის მორიგი ქულების დაკარგვა მართლაც მომაკვ ნებელი იქნებოდა. ლუის არაგონესმა და მისმა შეგირდებმა ჩრდილოელებს ბალერაის კუნძულებზე უმასპინძლეს. თამაში თავსხმა წვიმის ფონზე მიმდინარეობდა. სპეციალისტები თავიდანვე ში-შობდნენ, რომ უამინდობა "სელექსიონს" სერიოზულ პრობლემებს შეუქმნიდა. ასეც მოხდა, ესპანელებს სველ მინდორზე ასპარეზობა საკმაოდ გაუჭირდათ. მართალია, ისინი თვალშისაცემ უპირატესობას ფლობდნენ, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ დამაგვირგვინებელ ფაზაში ბევრს ცოდავდნენ. მათ რამდენიმე 100-პროცენტიანი მომენტი ვერ გამოიყენეს. დროის გასვლასთან ერთად კი მღელვარებაც იზრდებოდა. საფინალო სასტვენამდე 10 წუთი რჩე-ბოდა. ხალხი უკვე იმ აზრს ეგუებოდა, რომ "ესტადიო ონოზე" კატასტროფა მოხდებოდა, მაგრამ ამ გადამწყვეტ მომენტში ანდრეს ინიესტამ სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე გოლი შეაგდო.

შეხვედრის პირველი წუთები ორმხრივი შეცდომებით აღინიშნა. ისლანდიელები და ესპანელები გადაბმულად სამი პასის გაკეთებასაც ვერ ახრეხებდნენ. ალბათ, ეს ფაქტი ძლიერი წვიმის ბრალი იყო. პირველი სახიფათო მომენტი სტუმრებმა შექმნეს. **ჰალფრესონის** მიერ დარტყმული ბურთი რამდენიმე სანტიმეტრით ასცდა კარს. ესპანეთმა კი ანგარიშის გახსნის რეალური შესაძ-ლებლობა მე-17 წუთზე გაუშვა ხელი-დან. **დავიდ ვილიამ** ძელი შეაზანზარა. მალიორკელი გუშლემატკივრები შოკში ჩავარდნენ, როცა 26-ე წუთზე ვიდარსონი კასილიასთან პირისპირ გასული იხილეს. ისლანდიელ ფორვარდს სიზუსტემ ოდნავ უმტყუნა. ბურთი კვლავ მცირე მანძილით აცდა კარს. არაგონესის შეგირდებმა საკუთარი თამაში დაახლოებით ათ წუთში იპოვეს. ისინი ინიციატივას დაეუფლნენ და სტუმართა საჯარიმოს გაუშინაურდნენ. ერთ-ერთი იერიშისას ფერნანდო მორიენტესმა სერიოზული ტრავმა მიიღო და მოედანი ფერნანდო ტორესს დაუთმო.

მეორე ტაიმი ფრანგი არბიტრის შეცდომით დაიწყო. **დუამელმა** "ელ ნი-ნიოს" წაქცევის გამო უდავო პენალტი არ დანიშნა. არადა, სამართლიანობა მოითხოვდა, რომ 11-მეტრიანის დანიშვნასთან ერთად, ისლანდიელი მცველი გაეძევებინათ. მასპინძლებმა შეტევა კიდევ უფრო გააძლიერეს. სერხიო რა-მოსმა ხელსაყრელ პოზიციაზე მყოფი დავიდ ვილია შენიშნა და პასიც არ დაუგვიანა. ვალენსიელმა ეფექტური თავური შეასრულა, მაგრამ სტუმრები იმ შემთხვევაშიც გადარჩნენ. ამის შემდეგ დავიდ ალბელდას მოეცარა ხელი. რამ დენიმე წუთში კი ვილიამ შეაგდო, თუმცა მსაჯმა წესების დარღვევა დააფიქ-სირა და გოლი გააუქმა. საზოგადოება აუტანელმა მღელვარებამ შეიპყრო.

ისინი ფიქრობდნენ, რომ "სელექსიონი" სამი ქულის მოპოვებას ვეღარ შეძლებდა. სხვათა შორის, მღელვარება ლუის არაგონესსაც დაეტყო... როგორც უკვე მოგახსენეთ, პირენეელთა მხსნელად ინიესტა იქცა. ბარსელონელმა დაუღალავი და შეუპოვარი დავიდ ვილიას მიერ წამოწყებული იერიში მიიყვანა ლოგიკურ დასასრულამდე.

არაგონესს მართლაც ჯოჯოხეთუ-რად ბევრი უნერვიულია: *"მიუხედავად* იმისა, რომ გამარჯვებაში ღრმად ვიყავი დარწმუნებული, ნერვიულობით კინაღამ გული გამისკდა. გეფიცებით, ეჭვი არ მეპარებოდა, ადრე თუ გვიან აუცილებლად გავიტანდით, თუმცა საფინალო სასტვენი მოახლოვებული იყო და აუტანელმა მღელვარებამ ამიტანა. შესაძლოა, ეს გარეგნულად არ მეტყობოდა, მაგრამ ინიესტას გოლამდე კინაღამ მოვკვდი. დამეთანხმებით, ანგარიშის გახსნა უფრო ადრე შეგვეძლო, მაგრამ რიგი მიზეზების გამო, ეს ვერ შევძე-ლით. არ მიყვარს მსაჯების წინააღმდეგ გალაშქრება, მაგრამ არ შემიძლია, არ ვთქვა, რომ ფრანგი არბიტრი სერიოზულად ცდებოდა. მან პენალტი არ მოგვცა. გარდა ამისა, ვილიას გოლი არ ჩაუთვალა. შესაძლოა, ამ ეპიზოდში წესები მართლაც დარღვეულიყო, მაგრამ პენალტის შემთხვევაში, 100 პროცენტით მართალი ვიყავით. ისლანდია დაცვაში 10 კაცით გვეთამაშებოდა. ყოველ თვის ძნელია ამ სიტუაციაში წინააღმდეგობა გადალახო და ბურთი შეაგდო. მეორე ტაიმში ჩვენი უპირატესობა კიდევ უფრო თვალშისაცემი გახდა. სისწრაფეს მოვუმატეთ და მომენტებიც შევქმენით. მსურს, შეგირდებსა და გულშემატკივრებს უღრმესი მადლობა გადა-ვუხადო. უმნიშვნელოვანეს გამარჯვებას ერთობლივი ძალისხმევით მივაღნიეთ. ბედნიერი ვარ, რომ დანიის დამარცხების შემდეგ ისლანდიასაც ვაჯობეთ. წინ დიდი სამუშაო და გზა გველის.


დევიდ ჰილი ჩრდილოეთ ირლანდი-ის ეროვნული გმირია. წინა ტრუში მან ლიხტენშტეინთან ჰეთ ტრიკი შეასრულა. ახლა კი შვედები დუბლით გაამწარა. სწორედ "ლიდსის" ფორვარდის დამსახურებაა, რომ ბრიტანელები ჯგუფის ერთპიროვნული ლიდერები არიან. თა მამად შეიძლება ითქვას, ჩრდილოირლანდიელებმა შესარჩევი ციკლის ერთერთი უმნიშვნელოვანესი ორთაბრძოლის მოგება შეძლეს. მოგეხსენებათ, ოთხშაბათამდე პირველ ადგილზე შვედეთი იმყოფებოდა. მისი დაქვეითება კი მხოლოდ მასპინძელთა გამაჯვების შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი. ადგილობრივი ჟურნალისტები ვარაუდობდნენ, რომ ჩრდილოეთ ირლანდიისთვის ფრე ყველაზე რეალური შედეგი იქნებოდა. შეხვედრის დებიუტმა საზოგადოებას აფიქრებინა, რომ ყაიმი მართლაც მაქსიმუმი იყო. შვედებმა თამაში საოცრად კარგად დაიწყეს და ერთმანეთის მიყოლებით რამდენიმე საგოლე მომენტი შექმნეს. სკანდინავიელებმა სამი მომენტის გაცუდების შემდეგ როგორც იქნა, იხეირეს კიდეც. 26-ე წუთზე **ანდრეს** სვენსონმა მარცხენა ფლანგზე ჩინებული დრიბლინგი განახორციელა. შემდეგ ნიკლას ალექსანდერსონი მონახა. მის თავურს კი **იოპან ელმანდერი** გამოეხია და შვედეთი დაანინაურა

სანჩესის შეგირდები არ გატყდნენ და უმალ მდგომარეობის გამოსწორება სცადეს. შედეგმაც არ დაახანა. 31-ე წუთზე დევიდ ჰილი მეკარის ბაქანზე მონინააღმდეგეებს დაუსხლტა და ნონასწორობა აღადგინა.

შესვენების შემდეგ შვედები ტერი-ტორიულ უპირატესობას დაეუფლნენ. მათ ფრე არ აწყობდათ და შეტევას დიდი ძალები მოახმარეს. სანჩესი მიხვდა, რომ ბედი კონტრიერიშებში უნდა ეძია. მასპინძელთა დამრიგებლის ჩანაფიქრმა შესანიშნავი შედეგი გამოიღო. 59-ე წუთზე ბრიტანელებმა მწვავე კონტრ შეტევა მოაწყვეს და მაქსიმალურ შედეგსაც მიაღნიეს. როგორც მოგახსენეთ, ის ბურთიც დევიდ ჰილის ანგარიშზე ჩაინერა. სხვათა შორის, მას ჰეთ ტრიკის შესრულებაც შეეძლოა, მაგრამ საფინალო სასტვენამდე რვა წუთით ადრე ისაკსონთან პირისპირ გასულ ფორ-ვარდს მეკარემ სასწაულებრივად აუღო. ლიხტენშტეინმა მიმდინარე შესარ-

ჩევ ციკლში პირველი გამარჯვება იზეამ წარმატებას ადგილობრივმა ჟურნალისტებმა ისტორიულიც უნოდეს. მართალია, ლატვია კონტინენტის გრანდთა კატეგორიას არასოდეს განეკუთვნებოდა, ის საშუალო კლასის კოლექტივადაც არ მიიჩნევა, მაგრამ ვერც იმას ვიტყვით, რომ ამ შეხვედრაში წინასწარ განწირული იყო. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ლატვიელებმა საკვალიფიკაციო ორ-თაბრძოლაში ისლანდიას 4:0 მოუგეს. სხვათა შორის, მედია სტუმრებს უპირობო ფავორიტადაც ასახელებდა. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ბევრი ვერ ნარმოიდგენდა, რომ ლიხცენშცეინი სერიოზულ უპირატესობას მოიპ ვებდა და საქმეს გამარჯვებამდე მიიყვანდა. შეხვედრის ერთადერთი ბურთი მარიო ფრიკის ანგარიშზე ჩაინერა. მან მე-17 წუთზე გამოიჩინა თავი.

	a	9	9	6	ð	đ
1.	6	4	1	1	10-7	13
2. 283049000	5	4	0	1	9.4	12
3. ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘ	5	3	0	2	9-6	9
4. ዊእ60১	4	2	1	1	7.2	7
5. ლა <del>ტ</del> 30ა	4	1	0	3	4-3	3
6. ᲘᲡᲚᲐᲜᲓᲘ <b>Ა</b>	5	1	0	4	4-9	3
7. ᲚᲘᲮᲢᲔᲜᲨᲢᲐᲘᲜᲘ	5	1	0	4	3-15	3



სლოვენია-ჰოლანდია. არიენ რობენი მეტოქეთა გარემოცვაში

მომდევნო ტური. 2 ივნისი. დანია-შვე-დეთი; ლატვია-ესპანეთი; ისლანდია-ლიხ-ტენშტაინი.

#### MANCAGCULCTP-NDC3NGCA

რუმინეთი: ლობონტი, კონტრა, გოიანი, რადოი, რადუ, ტამაში (87. სტოიკა), კოჩიში, როსუ (46. კრისტეა), ზიკუ, მუტუ, ნიკულაე (65. მარიცა).

ლუქსემბურგი: ჟუბერი, ბიგარი, ჰოფმა-ნი, რაიტერი, შტრასერი, ბეტმერი (46. პეია-ლი), ლომბარდელი (81. ფერეირა), მუტჩი, პე-ტერსი, რემი, კოლეტი (46. საგრამოლა). გოლები: 1:0 მუტუ (26), 2:0 კონტრა (45),

3:0 კონტრა (56) მაყურებელი: 12 000

#### GENERAL PROPERTY OF THE PROPER

სლოვენია: ჰანდაროვიჩი, სესარი, ილიჩი, იოკიჩი, მავრიჩი, მ. ჩეხი, კომაცი, კორენი, აჩიმოვიჩი (6 1. სუკალო), ლავრიჩი (83. ბირსა), რაკოვიჩი (64. ნოვაკოვიჩი).
პოლანდია: ვან დერ სარი, ბუმა, ემანუელსონი, ჰეიტინვა (73. დე ზეუვი), მატიისენი, ვან ბრონკჰორსტი, აფელეი (84. ზეედორფი), სნეიდერი, ბაბელი (72. კოევერმანსი), აუგაი რობენი

სი), კუიტი, რობენი. გოლი: 0:1 ვან პრონკჰორსტი (85) მაყურებელი: 10 000

#### 936.90UU-96.90UU

**ბულგარეთი**: ივანკოვი, კიშიშევი, ტომა შიჩი, ტუნჩევი, ლუსიო ვაგნერი, პეევი (65. ბოჟინოვი), ს. პეტროვი, ჩ. იანკოვი, იოვოვი (46. ტელკიისკი), ბერბატოვი, იანკოვიჩი (46.

ალბანეთი: ბეკაი, ბეკირი, კური, დალკუ, დედე, კანა, დურო (68. ბულკუ), ჰაქსი (54. კაპლანი), ლალა, ბერიშა (79. ბუში), ბოგდანი.

მაყურებელი: 25 000

ჰოლანდიის ნაკრები ბოლო წუთებზე გადარჩა. **მარკო ვან ბასტენის** გუნ დი ჯოვანი ვან ბრონკჰორსტის შორეულმა დარტყმამ იხსნა. ლეგენდარული პოლანდიელის ნაკრებს მომენტების გა-მოუყენებლობის სენი აწუხებს. ჯერ კიდევ წინა ტურის შეხვედრაში, რუმინეთთან მათ გოლის გატანის მრავალი შე-საძლებლობა გაუშვეს ხელიდან და საბოლოოდ საშინაო დაპირისპირებაში ფრე იკმარეს. ვინც იმ თამაშის მიმო-ხილვას გაეცნო, ემახსოვრება, რომ ვან ბასტენი ჟურნალისტებმა კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარეს და სლოვენი-ასთან მატჩის წინ სასწრაფო ცვლილებების განხორციელება მოსთხოვეს მთავარმა მწვრთნელმა საზოგადოების ხმა შეისმინა და შეტევა კიდევ უფრო გააძლიერა. კუიტის, სნეიდერისა და რობენის ტრიოს დაცვის დახმარება ფაქტობრივად, არ უწევდა. ისინი მხოლოდ თავდასხმაზე იყვნენ პასუხისმგებლები. სტუმრებმა უამრავი მომენტი შექმნეს. ამ თამაშის შემხედვარე ადამიანს, შეუძლებელია არ ეფიქრა, როგორ ახერხებდნენ ვან ბასტენის ბიჭები ამდენი შანსის გამოუყენებლობას. ზემოთ ხსენებულმა სამეულმა სლოვენია სულ მცირე ოთხი გოლისგან დაინდო. საოცრად დამაჯერებლად თამაშობდა მასპინძელთა მეკარე, **ჰანდანოვიჩი**. მან პირისპირ გასულ მეტოქეებს სამი დუელი მოუგო. მის ტრავმამოშუშებულ ვიზავის კი საქმე ფაქტობრივად, არ მისცემია. **ვან დერ** სარი თითქმის მთელი თამაშის განმავლობაში არხეინად იყო. შუახაზელები და ფორვარდები კი ამაოდ უტევდნენ. დრო გადიოდა, გაფუჭებული მომენტები ერთმანეთს მისდევდა. სტუმრები სა-სოწარკვეთილებამ შეიპყრო. საფინალო სასტვენს არაფერი უკლდა. სულ რაღაც ხუთი წუთი და მსაჯი ჰოლანდიელთათვის წაგების ტოლფას ფრეს დააფიქსი-რებდა. აღსანიშნავია, რომ ნარინჯისფრებს დაღლაც დაეტყოთ. ერთი სიტყ-ვით, ვან ბრონკჰორსტის მიერ 30 მეტრიდან შესრულებულმა დარტყმამ მათ სულზე მოუსწრო. ბურთი გზად მცველს შეეხო და გოლკიპერმა რიკოშეტს ვერაფერი მოუხერხა.

ვან ბასტენმა ასეთი ანალიზი შემოგვთავაზა: "რამდენიმე პოზიციაზე ფეხბურთელები შევცვალე. მცირე დროში ორი საკვალიფიკაციო ორთაბრძოლის ჩატარება დიდ ენერგიას მოითხოვს. ამი-ტომ, როტაციებს მივმართე. სამწუხაროდ, ჩვენს მიერვე შექმნილი მომენტების გამოყენება გაგვიჭირდა. ცენტრ ფორვარდები უამრავ შეცდომას უშვებდნენ. ძალიან ბევრი მომენტი გავაფუჭეთ. ალბათ, ღირსები ვიყავით, ბედს დავესაჯეთ, მაგრამ გაგვიმართლა და შინ სამი ქულა მიგვაქვს. ჯოვანიმ დარტყმაში მთელი მონდომება ჩააქსოვა. მომდევნო ტურების წინ კიდევ უფრო დიდი ენთუზიაზმით მუშაობა მოგვიწევს." სლოვენიური გამარჯვების წყალობით, ჰოლანდიამ G ჯგუფში ლიდერის პოზიცია შეინარჩუნა. მეორეადგილოსანი

რუმინეთი მას სამი ქულით ჩაში თუმცა იმასატ ენდა გაესვას ხაბი ართე რუმინელებს ერთი თამაში თადარიგში

შესაძლოა, ცხოვრებამ ისე მოიტანოს, რომ ალბანეთის ნაკრებთან დაკარგული ორი ქულის გამო, ბულგარეთის ეროვნულმა გუნდმა ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე გასვლა ვერ შეძლოს. დიდი გულთმისნობა არ იყო საჭირო იმის მისახვედრად, რომ ამ შეხვედრის ფავორიტები მასპინძლები იქნებოდნენ. ისინი მართლაც უდიდეს უპირატესობას ფლობდ-6ე6, მაგრამ საქმე გამარჯვებამდე ვერ მიიყვანეს. ხრისტო სტოიჩკოვის შეგირდებმა ყველაფერი საკუთარ თავს უნდა დააბრალონ. საქმე ის არის, რომ მათ ექვსი ათასპროცენტიანი მომენტი გააფუჭეს. დაგვეთანხმებით, ერთი თამაშის კვალობაზე გოლის გატანის ექვსი რეალურზე რეალური შესაძლებლობა ცოტა არ არის. მასპინძლებს პირველად მაშინ მოეცარათ ხელი, როცა სტილიან პეტროვმა ბურთი ძელს გაარტყა. ალბანელთა კარის ძელი შეცვლაზე შესულმა სვეტოსლავ ტოდოროვმაც შეაზანზარა. მან თავური დარტყმით სცადა ბედი.

ექიმებმა სტუმართა დამრიგებელს ნება დართეს, სამუშაოს დაბრუნებოდა (წინა ტურში ის თანაშემწეებმა შეცვალეს). ოტო ბარიჩმაც არ დაახანა და გუნდს სოფიაში გაჰყვა. გამოცდილი სპეციალისტი ხვდებოდა, რომ მასპინძლები თავდასხმას დიდ ძალებს მოახმარდნენ, ამიტომ მან დაცვაში ხუთი კაცი დააყენა. უკანა ხაზის გაძლიერების მიუხედავად, ბულგარელები საჯარიმოში საკმაოდ ხშირად შედიოდნენ, თუმცა იქ მეკარის შეუდრეკელ წინააღმდეგობას აწყდებოდნენ. არიან ბეგაიმ

ურთულესი ოთხი დარტყმა მოიგერია. მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე მისულ ხრისტო სტოიჩკოვს დანა პირს არ უხსნიდა: "ჯერაც ვერ ვაცნობიერებ, რომ ეს თამაში ვერ მოვიგეთ. ამდენ მომენტს ზოგჯერ რამდენიმე შეხვედრის ჯამში ვერ ქმნიან. სასოწარკვეთილი გახლავართ. გამორიცხული არ არის, დღეს გაფლანგული ორი ქულა სასტიკად ძვირად დაგვიჯდეს. საუბედუროდ, ახლა ვეღარაფერს შევცვლით. ისღა დაგვრჩენია, რომ უმტკივნეულესი წარუმატებლობა დავივიწყოთ. შესარჩევი ციკლის დასრულებამდე დიდი დროა დარჩენილი. კეთილი უნდა ვინეპოთ და ევროპის ჩემპიონატის ფინალუ-რი ეტაპის საგზური დავისაკუთროთ."

ოტო ბარიჩი, რა თქმა უნდა, კმაყო ილი დარჩა: "მიუხედავად იმისა, რომ ბატონმა სტოიჩკოვმა საკუთარი გუნდის უპირატესობაზე ისაუბრა, მე მაინც ჩემი ბიჭების დამსახურებას გავუსვამ ხაზს. ჯერ ერთი, რომ ბულგარელებს გოლის გატანაში ბეგაი უშლიდა ხელს. შესაძლოა, პევრი გალიზიანდეს, მაგრამ მეკარეც ხომ გუნდის სრულუფლებიანი წევრია? ყველაზე მეტად კი ის მახარებს, რომ ალბანეთის ნაკრებმა ორგანიზებული თამაშის დემონსტრირება შეძლო. მიხარია, რომ ლირსეულად ვიასპარეზეთ."

ლუქსემბურგისგან სასწაულს არავინ ელოდა. რუმინეთი უდავო ფავორიტად გახლდათ შერაცხული, ამიტომ მი-სი შთამბეჭდავი გამარჯვება არავის გაკვირვებია. მასპინძლები ჰოლანდიაში მოპოვებული ქულით მეტისმეტად კმაყოფილები და ბედნიერები იყვნენ. კარგ განწყობაზე მყოფმა ვლახებმა მეტოქეს ავიდანვე შეუტიეს და სერიოზული პრობლემები შეუქმნეს. მათ ოდნავ მეცად, რომ გამართლებოდათ, ანგარიშს ჯერ კიდევ მეხუთე წუთზე გახსნიდნენ. იმ ეპიზოდში **ადრიან მუტუს** არ გაუმართლა, თუმცა მოგვიანებით მან დანაკლისი აინაზღაურა, "ფიორენტინის" ფორვარდმა ლანის ზიკუს პასით ისარდებიუტში გავიდა. კოზმინ კონტრამ ფანტასტიკური ინდივიდუალური გარღვევა ლუქსემბურგელთა კარის დააშქვრით დააგვირგვინა. ბოლოს კი ჩიპრიან მარიცამ იყოჩალა. მან მსაჯის მიერ დამატებულ დროში იხეირა

	Ø	9	9	E	ð	đ
1. პოლანდია	6	4	2	0	8-2	14
2. ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘ	5	3	2	0	10-3	11
3. ᲒᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘ	5	2	3	0	7-3	9
4. ᲒᲔᲚᲐᲠᲣᲡᲘ	5	2	1	2	9-11	7
5. LᲚM30605	5	1	1	3	4-8	4
6. ᲑᲚᲒᲐᲜᲔᲗᲘ	5	0	3	2	3-6	3
7. ლუძსემგურგი	5	0	0	5	1-9	0

მომდევნო ტური. 2 ივნისი. სლოვენიარუმინეთი; ალბანეთი-ლუქსემბურგი; ბელა-რუსი-ბულგარეთი. ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲣᲠᲘ ᲛᲐᲢᲩᲘ

## TOMBOL. 3**ന**ക്കാട് a3~ukn

**გუნ**ფესგუნფის კარი 2010 წლის ᲛᲣᲜᲓᲘᲐᲚᲖᲔᲪ ᲚᲔᲛᲐᲜᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲘᲪᲕᲐᲡ?

0:1

83497eu7-67eu7

**გერმანია**: ენკე, კ. ფრიტცი, მადლუნგი, მ. ფრიდრიხი, იანსენი, ჰიტცლშპერგერი, როლ-ფსი (71. კასტრო), ჰილბერტი (58. ფრაიერი), ტროხოვსკი, კურანი (46. კისლინგი), შლაუდრაფი (78. ჰელმესი).

რაფი (78. ჰელმესი).

დანია: ტ. სიორენსენი (46. კრისტიანსენი), პრისკე, გრავგაარდი, აგერი, იაკობსენი,
დ. იენსენი (46. ვიურტცი), კ. პოულსენი (46.
ანდრეასენი), რომედალი (76. ბ. პოულსენი),
ტომასონი (56. დ. სიორენსენი), კალენბერგი
(46. გრონკიაერი), ბენდტნერი.
გოლი: 0:1 ბენდტნერი (81)
მაყურებელი: 31 000

გერმანიის ნაკრების თავკაცმა nmახიმ ლიოვმა აუტკივებელი თავი აიტ-კივა - იოგის ბუნდესმწვრთნელის რანგში დღემდე ნაგება არ ჰქონდა (8 თამაში, 7 მოგება, 1 ფრე) და პირველი მარცხი დანიის ეროვნულ ნაკრებთან ამხანაგურ შეხვედრაში განიცადა (0:1, დუისბურგში). მარცხის უმთავრესი მიზეზი კი ის გახლდათ, რომ გერმანელებმა მეორე შემადგენლობით ითამაშეს. თავად გან საჯეთ, იმ ფეხბურთელთაგან, რომლებსაც ბუნდესნაკრების ძირითად შემად-გენლობაში მოხვედრის შანსი აქვთ ხოლმე, დანიასთან მოედანზე მხოლოდ კევინ კურანი, პიოტრ ტროხოვსკი და თომას ჰიტცლშპერგერი იყვნენ. თუმცა სასტარტო შემადგენლობის წევრად არცერთი მათგანი არ ითვლება. სამაგიეროდ, თავის გამოჩენის შანსი მიეცათ "ჰანოვერის" კარის დარაჯ **რობერტ ენ-**კეს, "ვერდერის" მარჯვენა მცველ კლე-მენს ფრიტცს და "ალემანიის" ფორვარდ იან შლაუდრაფს. ლიოვმა დანიასთან კიდევ ეს ფეხბურთელები ათამაშა: მადლუნგი, მანუელ ფრიდრიხი, იანსენი, როლფესი, კასტრო, ჰილბერტი, ფრაიერი, კისლინგი და კიოლნელი ჰელმესი. არცაა გასაკვირი, ოთხშაბათს გერმანიის ნაკრები დანიელთა დასაცინი რომ გახდა. სხვათა შორის, მატჩის წინ სკანდინავიელთა თავკაცმა მორტენ ოლსენმა თქვა, ის, რომ გერმანელები მეორე შემადგენლობით თამაშს აპირებენ, ჩვენი გუნდის მიმართ დიდი უპატივცემულობააო.

"მინდოდა, ახალგაზრდა ფეხპურთელების შანსი მიმეცა. დანიელებმა აშკარად გვაჯობეს და ბიჭებს აშკარად შეეტყოთ, რომ სანაკრებო გამოცდილება არ აქვთ. მეორე ტაიმში საერთოდ ავირიეთ და გოლიც გავუშვით," - განაცხა-და ლიოვმა, რომელმაც მეორე შემადგენლობით თამაშით გულშემატკივრებიც გაანაწყენა - ეს ქალაქი ასეთი მნიშვნელოვანი მატჩების მასპინძლობით გა-ნებივრებული არ არის და იმიტომ. აღსანიშნავია, რომ ბუნდესგუნდს კურანი კაპიტნობდა. ლიოვმა შალკელი შესვენეგაზე შეცვალა.

დანიელებმა ბუნდესგუნდის მეორე შემადგენლობას მხოლოდ ერთი გოლი გაუტანეს, რაც მათთვის ნამდვილად არაა სახარბიელო შედეგი, რადგან მთელი 90 წუთის განმავლობაში ჩანდა, რომ მადლუნგს და მანუელ ფრიდრიხს დაც-ვის ცენტრში ერთად არასდროს უთამაშიათ. მატჩის კომიკურობას ხაზი მე-11



კურიოზი მატჩის მე 11 წუთზე, დუისბურგის სტადიონზე სარწყავი სისტემა ჩაირთო

წუთზე მომხდარმა ფაქტმაც გაუსვა ხსენებულ დროს მინდვრის სარწყავი სისტემა ჩაირთო და ფეხბურთელები განუნა. როგორც გაირკვა, ერთ-ერთ მოხელეს სარწყავი აპარატურის პულტი სულ სხვა პულტში აერია (?!).

გოლზეც ვთქვათ: 81-ე წუთზე იესპერ გრონკიაერმა მადლუნგს აჯობა, ბენდტნერს უპასა, ეს კი იანსენს გაცდა და ანგარიში გახსნა. ენკეს ბურთის მო-გერიების შანსი არ ჰქონდა. სხვათა შორის, ამ უკანასკნელს დიდი იმედი აქვს, რომ **იენს ლემანი** სანაკრებო კარიერას მალე დაასრულებს, რის შემდეგაც ბუნ-დესნაკრების პირველი გოლკიპერი გახ-დება. ჰანოვერელი მართლაც შესანიშნავ

ფორმაშია და ბუნდესლიგაში არცერთ სხვა მეკარეს არ აქვს მასზე უკეთესი შედეგები, მაგრამ ლემანი, როგორც ირკვევა, კარიერის დამთავრებას კიდევ დიდვა, კარიერის დამთავრებას კიდევ დიდ-bs6ს არ აპირებს. "ჯერ არ ვიცი, როდის წავალ ნაკრებიდან და საერთოდ ფეხ-ბურთიდან. თეორიულად ისიც შესაძლე-ბელია, რომ 2010 წლის მსოფლიოს ჩემ-პიონატზეც ვიასპარეზო. ეს იმაზეა და-მოკიდებული, რამდენად მომცემს სხეუ-ლი ამის საშუალებას," - ამბობს ლემანი "ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში. აქვე უნდა შიჯახსინოთ, რომ ლიმანი 37 აქვე უნდა შეგახსენოთ, რომ ლემანი 37 წლისაა და მუნდიალის დაწყების დროს მისი ასაკი 40 წელი და 7 თვე იქნება...

გოტფრიდ ლენცი

**とかしつちと四つ** 

## 33683KN: road akaena

**ᲢᲘᲔᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲗᲐᲜ ᲗᲐᲛᲐᲨᲘᲡ ᲘᲛᲔᲓᲘ ᲐᲠ ᲐᲥᲕᲡ, ᲠᲘᲑᲔᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ** ᲛᲔᲗᲝᲤᲔᲔᲑᲛᲐ ᲐᲒᲘᲓᲐᲚᲘᲪ ᲛᲝᲘᲡᲣᲠᲕᲔᲡ. ᲝᲠᲘ ᲔᲛᲐᲜᲣᲔᲚᲘ ᲐᲮᲐᲚ ᲙᲝᲜᲢᲠᲐᲥᲢᲡ ᲒᲐᲐᲤᲝᲠᲛᲔᲑᲡ...

გადათამაშებაზე აღარ უნდა გვეფიქრა. როცა საში-ნაო თამაშს 60 ათასი მაყურებელი ესწრება, რა თქმა უნდა, ძნელია, თავს გაუფრთხილდე... ნამყვანი ფეხბურთელები ლიგის თასზე გაისადაც არ ითამაშებენ, მაგრამ ასოციაციის თასი სხვაა. ასევე, ვფიქრობ, უმთავრეს ამოცანად ჩემპიონთა ლიგის ფლეი ოფში გას-ვლა დავისახოთ და ყველაფერ დანარჩენზე მერე ვი-ფიქროთ. იმედია, მომავალში აღარასოდეს აღმოვჩნ-დებით ისეთ ვითარებაში, როცა ორი თავდამსხმელი დაშავებული გვეყოლება და ერთი დასჯილი და მთე-ლი სიმძიმე თითო-ოროლა ფეხბურთელის მხრებზე გადაივლის. ჩემს ლონდონურ კარიერაში პირველად ხდება, როცა მარტის მინურულია, სათამაშო კი ადარაფრისთვის გვაქვს. ყოფილა წლები, როცა ვერაფე-რი მოგვიგია, მაგრამ იმ სეზონებში წინ ყოველთვის თასის ფინალები გვქონია, ანდა ბოლომდე საჩემპიონო მარათონში ვყოფილვართ.

ერთ-ერთი თავდამსხმელი, რომელიც ვენგერმა იგულისხმა, **ტიერი ანრია**. მოგეხსენებათ, მას ბარძაყის კუნთი აქვს დაზიანებული და სეზონი ნაადრევად დაასრულა. საფრანგეთის ნაკრების თავკაცმა რაი**მონ დომენეკმა** იმედი გამოთქვა, რომ ფორვარდი უკ-რაინასა და საქართველოსთან ივნისის საკვალიფიკაციო მატჩებამდე გამოჯანმრთელდება. ტიერიმ კი პასუხად მიუგო, ერთადერთი, რაც ამ წუთისათვის ვიცი, ის არის, რომ სეზონის ბოლომდე ვერ ვითამაშებო.

გავაგრძელოთ "არსენალზე" საუბარი. ფრანსესკ ფაბრეგასი დასვენებას ითხოვს, თორემ შეიძლება, მძიმე ტრავმა მივილოო, ნუხს ახალგაზრდა ესპანელი. ის ერთადერთი ფეხბურთელია, რომელმაც პრემიერლიგასა და ჩემპიონთა ლიგაში "მეთოფეების" ყველა შეხვედრაში ითამაშა: *"მოუთმენლად ველოდები* ზაფხულის დადგომას. მართალია, სეზონის დასრულების შემდეგ, ივნისში, ნაკრების მატჩები გველის, მაგრამ სულის მოთქმას მაინც მოვასწრებ. ხანდახან მეჩვენება, რომ ენერგიის აღსადგენად მთელი ზაფხული დამჭირება. როცა 16-17 წლისა ვიყავი, დასასვენებლად მხოლოდ შვიდი კვირა მქონდა, მაგრამ ახალ სე-ზონს ყოველთვის მხნედ ვხვდებოდი. განსხვავება მაშინდელსა და დღევანდელს შორის ის არის, რომ მაშინ რეზერვისტი ვიყავი და ამდენს არ ვთამაშობდი. როცა ბევრ მატჩს ატარებ და განუწყვეტლივ წნეხის ქვეშ იმყოფები, დასვენება აუცილებელია, მაგრამ მე მიყვარს ფეხბურთი და თამაშზე უარს არასოდეს ვიტყვი.


გუშინდელ ნომერში ფრანკ რიბერით "არსენა-ლის" დაინტერესების ამბავი გაუწყეთ. ირკვევა, რომ ვენგერს კიედვ ერთი თანამემამულის შეძენა სურს. "ფრანს ფუტბოლის" მტკიცებით, "მეთოფეები" "ლიონის" მარცხენა მცველს, **ერიკ აბიდალსაც** აკვირდებიან. საფრანგეთის ნაკრების წევრი 11 მილიონი ევრო ღირს. მისი კონტრაქტი კი 2009 წელს ინურება. "არსენალის" გარდა, აბიდალზე "ბარსელონაც" აცხადებს

ლონდონელებმა "ეინდჰოვენის" თავდამსხმელ ჯეფერსონ ფარფანსაც დაადგეს თვალი, მაგრამ ამ ბიჭის ტრანსფერი "ჩელსიზეა" დამოკიდებული. "ჩელსის" პსვ-სთან განსაკუთრებული ურთიერთობა აკავშირებს. ამიტომ ჰოლანდიელები თავიანთ ფეხბურთე-ლებს პირველ რიგში "არისტოკრატებს" სთავაზობენ ხოლმე. ინგლისის ჩემპიონებს "ინტერში" იჯარით მო-თამაშე ერნან კრესპოს დაბრუნება სურთ, მაგრამ თუ არგენტინელი იტალიას აირჩევს, "ჩელსი" ფარფანზე გადაიტანს ყურადღებას.

ამასობაში, ვენგერმა უარყო ინფორმაცია ჟილ**ბერტო სილეას** მოსალოდნელი აბარგების შესახებ. მან მიმომხილველებს შეახსენა, რომ ბრაზილიელი "არსენალთან" კონტრაქტითაა დაკავშირებული: "იტალიური პრესა ინტენსიურად განიხილავს ჟილბერტოს საკითხს, გერმანული ლემანის წასვლას წინასწარმეტყველებს, ესპანური ჟულიო ბაპტიშტას მომავლის გარკვევას ცდილობს, ხოლო შვედური პატრიკ ლიუნგბერგზე წერს. დამეთანხმებით, მე არ შემიძლია

თითოეული ამ გამოცემის გაკონტროლება."

"არსენალზე" საუბრის დასასრულს, გეტყვით, რომ ახალ კონტრაქტებს შესთავაზებენ კამერუნელ მცველ ე**მანუელ ებუესა** და ტოგოელ თავდამსხმელ ემანუელ ადებაიორს. გარიგებათა ფინანსური დეტალები არ ხმაურდება. ამასობაში, "რეალში" იჯარით გაშვებულმა ხოსე ანტონიო რეიესმა კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ ლონდონში დაბრუნებას არ აპირებს და თუ მადრიდელები ხანგრძლივ კონტრაქტს არ შეს-თავაზებენ, სხვა ესპანურ კლუბში მოეწყობა.



ക്യാട്ര

**ᲓᲐᲮᲐᲠ**ᲯᲐᲕᲡ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ **კალფერ**ტნ0 122 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲖᲔ ᲛᲔᲢᲡ?

"რეალი" შემადგენლობის გასაძლიერებლად 100 მილიონ ევროზე მეტს დახარჯავს. ეს ინფორმაცია გაზეთმა "მარკამ" გაავრცელა. სამეფო კლუბის სასურველი ფეხბურთელების სიაში პირველი ადგილი ისევ **კრისტიანო** რონალდოს უკავია, მაგრამ მის სანაცვლოდ ნამდვილად არ გადაიხდიან 80 მილიონ ევრო, როგორც ამას მიმომხილველთა ერთი ნანილი ვარაუდობს. გასულ ზაფხულს პრეზიდენტმა **რამონ** კალდერონმა 106 მილიონი ევრო გაი-ლო. მან რუუდ ვან ნისტელროი, ფაბიო კანავარო, მაჰამადუ დიარა, ემერსონი, ფერნანდო გაგო და გონსალო იგუაინი შეიძინა. მაგრამ ხელგაშლილობას შედეგი არ მოუტანია. ცოტაც და "რეალი" ზედიზედ მეოთხე

სეზონს დაასრულებს უტიტულოდ. რაც შეეხება "მანჩესტერ იუნაიტედის" ვარსკვლავს, სენიორ კალდერონმა მის ტრანსფერთან დაკავშირებით საგანგებო კომენტარი გააკეთა: "კრისტიანო ძალიან მოსწონს, მაგრამ ის "იუნაიტედის" საკუთრებაა. თუ მანჩესტერელები ფეხბურთელის გაყიდვას გადაწყვეტენ, მოლაპარაკებათა მაგიდას პირველები ჩვენ მივუსხდებით. მაგრამ ნურავინ იფიქრებს, რომ მის სანაცვლოდ გიჟურ ფულს გავიღებთ. 80 მილიონი ევრო არცერთი ფეხბურთელი არ ღირს."

პრეზიდენტის სატრანსფერო ამბიციები ამით არ ამოიწურება. ინტენსიურად განიხილება მილანელი **კაკას,** აგ-რეთვე, "პორტუსა" და "რომას" მცველების, პეპესა და კრისტიან კივუს საკითხები. თითქმის გადაწყვეტილია "დორტმუნდისა" და ბუნდესნაკრების მცველ კრისტოფ მეტცელდერთან კონტრაქტის გაფორმება, თუმცა ის მადრიდელებს ერთი ცენტიც კი არ დაუჯდებათ. ივნისში კრისტოფი თავისუფალი აგენტი გახდება. "მარკა" იმასაც ვარაუდობს, რომ

მადრიდელები ერთი წლის განმავლობაში დახარჯული ფულის რეკორდს სწორედ აგვისტოს ტრანსფერებისას დაამხობენ. 2000-01 წლების სეზონის ნინ ფლორნტინო პერესმა ახალ ფეხბურთელებში 122 მილიონი ევრო გადა-იხადა. იმ ზაფხულს "რეალმა" მოსისხ-ლე "ბარსელონის" ვარსკვლავი **ლუიშ** ფიგუც შეიძინა.



რამონ კალდერონი



არსენ ვენგერი

არსენ 3068ერი ამბობს, რომ "არსენალის" უტიტულო სეზონი მისი ბრალია. "მეთოფეთა" ჟურნალისათვის მიცემულ ინტერვიუში ფრანგმა სპეციალისტმა საინტერესო განცხადებები გააკეთა: "ასოციაციის თასზე ენერგია უნდა დაგვეზოგა. შარშან მას ნაადრევად გამოვეთიშეთ. სამაგიეროდ ჩემპიონთა ლიგის ფინალში გავედით. წელს ლიგის თასის ფინალში მოვხვდით. კარგი იქნებოდა, მეორე სათასო ტურნირში ძალები შემოგვენახა. "ბლექბერნთან" შეხვედრა "ეინდჰოვენთან" პირველი მატჩის წინ მოგვიხდა, გადათამაშება კი - განმეორებით თამაშამდე რამდენიმე დღით ადრე. იქამდე უმძიმესი დეკემბერი და იანვარი გვქონდა. ორი თვის განმავლობაში 17 მატჩი ჩავატარეთ. ტრავმებისა და დისკვალიფიკაციების გამო როტაციის საშუალებაც კი არ გვქონია. ვფიქრობ, ეს ჩემი შეც-დომა იყო. როცა "ბლექბერნთან" შინ 0:0 ვითამაშეთ,

CIC.

## am&nossoun ՍՐՅՅԵՅԳՐ

ᲙᲐᲡᲘᲚᲘᲐᲡᲘ ᲚᲔᲒᲔᲜᲓᲐᲠᲣᲚ ᲐᲠᲙᲝᲜᲐᲓᲐᲡ ᲒᲐᲣᲗᲐᲜᲐᲒᲠᲓᲐ

**იკერ კასილიასმა** ისლანდიის ეროვნული გუნდის წინააღმდეგ 68-ე სანაკრებო მატჩი ჩაატარა და ამ მაჩვენებლით ლეგენდარულ **ლუის მიგელ არკონადას** გაუთანაბრდა. მადრიდის "რეალის" 25 წლის გოლკიპერს "სელექსიონში" დებიუტი 2000 წლის 3 ივნისს ჰქონდა. მაშინ პირენეელები გიოტებორგში

შვედეთის ნაკრებს ამხანაგურ შევედრაში დაუპირისპირდნენ. როგორც გითხარით, იკერი არკონადას მაჩვენებელს გაუ-თანაბრდა, თუმცა წინ კიდევ უფრო ამბიციური მიზანია. კასილიასმა **ანდონი სუპისარეტასაც** უნდა აჯობოს და ნაკრებში ჩატარებული პაექრობების რაოდენობით აბსოლუტური რე-კორდი დაამყაროს. ლეგენდარულმა ბასკმა გოლკიპერმა ეს-პანეთის ღირსება 126-ჯერ დაიცვა. ერთი შეხედვით, კასილიასს რთული ამოცანა აქვს, მაგრამ მის ასაკს თუ გავითვალისწინებთ, მივხვდებით, რომ შეუძლებელი არაფერია. მით უმეტეს, იკერი ჩინებულ ფორმას ინარჩუნებს და ძირითად შე-მადგენლობაში, ფაქტობრივად, უპრობლემოდ ხვდება.

ფრენკ ლემპარდი

ფოენპ ლემპაოლმა ანდორასთან

მატჩი გამოტოვა. ორშაბათის ვარჯიშზე

უეინ რუნიმ მას ბურთი მოარტყა და მა-

ჯა მოსტეხა. ექიმთა შეფასებით, ტრავმა

არ იყო სერიოზული. ამის მიუხედავად,



ფერნანდო მორიენტესი

სამეფო კლუბის კარის დარაჯისგან განსხვავებით ისლანდიასთან მატჩი ფერნანდო მორიენტესისთვის წარმოუდგენლად უიღბლო აღმოჩნდა. 42-ე წუთზე მორომ ბეჭის სერი-ოზული ტრავმა მიილო და შესაცვლელი შეიქნა. სამედიცინო გამოკვლევის შემდეგ დადგინდა, რომ "ვალენსიის" ფორვარდს სამკურნალოდ ოთხი კვირა დასჭირდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მორო "ღამურებს" "ჩელსისთან" საჩემპიონთალიგო დაპირისპირებაში ვერ დაეხმარება.

068500 10105830

## MJ&MB JM NODJBJBJ പ്പാദ്യായില്ലാട്

ᲛᲐᲙᲚᲐᲠᲔᲜᲡ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲣᲙᲔᲗᲔᲑᲘᲐ...

"ჩელსის" ვარსკვლავი ძირითადს მიღმა დარჩა. ასოციაციის პრესმდივანმა უთა-მაშებლობის მიზეზად ტრავმა დაასახელა. ინგლისელთა ბანაკიდან კი სხვა ინფორმაციამ გამოჟონა - ლემპარდი იმიტომ არ ათამაშეს, რომ მაკლარენს ცენტრში სტივ ჯერარდისა და ოუენ ჰარგრივსის დაყენება სურდაო. მწვრთნელს კომენტარი არ გაუკეთებია. სხვათა შო-რის, ფრენკს "უოტფორდთან" ხვალინ-დელ მატჩში ძირითადში ვიხილავთ.

ინგლისურ ტაბლოიდებში ასეთი ინფორმაციაც დაიბეჭდა: როცა ლემ-პარდმა შეიტყო, რომ არ ათამაშებდ-6ენ, საღამოს რეისზე ბილეთის დაჯავშნა და გუნდიდან წასვლა გადაწყ-ვიტაო. "დეილი მეილმა" განმარტა, ფრენკს გუნდიდან წასვლა კი არა, ლონდონელი ექიმის მონახულება სურდაო. საბოლოოდ, ლემპარდმა თამაშს სათადარიგოთა სკამიდან მიადევნა თვალი.

7083. 636430340

## 336339%3 6nm6a

ᲝᲠᲘ ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲜᲐᲩᲮᲣᲑᲐᲠᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲔᲑᲘ ᲔᲠᲗ ᲛᲐᲒᲘᲓᲐᲡ ᲛᲘᲣᲡᲕᲔᲡ...

შეფამ "ვალენსიისა" და "ინტერის" ფეხბურთელთა აპელაციები განიხილა. საქმე ეხებოდა ჩემპიონთა ლიგის გან-მეორებითი მერგედფინალისას (0:0) მომხდარ ინციდენტებს. თავდაპირველად, მასობრივი არეულობის მოწყობისათვის, ვალენსიელ დავიდ ნავაროს შვიდთვიანი დისკვალიფიკაცია მიუსა-ჯეს, მის თანაგუნდელ **კარლოს მარჩე**ნას ოთხმატჩიანი, ინტერელ ნიკოლას ბურდისოს ექვსმატჩიანი, ივან კორ-დობას სამმატჩიანი, ხოლო მაიკონი ექვსი მატჩით გაისტუმრეს ტრიბუნაზე.

აპელაციის შემდეგ, სანქციები რამდენადმე შეიცვალა. ასე მაგალითად, უმთავრესი დამნაშავე ნავარო შვიდის ნაცვლად ექვსი თვე ვერ ითამაშებს. სამაგიეროდ მას დაემატა ორთვიანი პირობითი სასჯელი და თუ მომდევნო ორი წლის განმავლობაში რაიმე მსგავს სკანდალში გაჰყოფს თავს, იმ ორ თვესაც უსაქმოდ გაატარებს.ნავარომ თავი იმით გამოიჩინა, რომ სათადარიგოთა სკამიდან მოედანზე შეიჭრა, ბურდისოს ცხვირი გაუტეხა და შემდეგ თავქუდმოგლეჯილმა მოუსვა გასახდელისკენ, რადგან ინტერელები სამაგიეროს გა-დასახდელად გამოეკიდნენ. ვალენსიელი მცველის დისკვალიფიკაცია 14 სექ-ტემბერს ამოიწურება. ფეხბურთელმა მიმომხილველებს განუცხადა, რომ სას-ჯელის შემცირებით კმაყოფილია. მარ-



უეფამ მოჩხუბრები ერთმანეთს გვერდში მიუსვა

ჩენა ოთხის ნაცვლად, ორ მატჩს გამოტოვებს, დანარჩენი ორი მატჩი პირობით სასჯელად ჩაეთვლება და ისიც ორწლიანი გამოსაცდელ პერიოდს მო-იხდის. აღსანიშნავია, რომ კარლოსი ნიონში გამართულ მოსმენას არ დასწრებია. სასამართლომ მისი განმარტებები ტელეფონის საშუალებით მალიორკი-დან მოისმინა. მარჩენა ესპანეთის ნაკრების შეკრებაზე იმყოფებოდა. ოთხშაბათს სელექსიონმა ისლანდიას მალი-ორკაში უმასპინძლა და მინიმალური ანგარიშით მოუგო. კარლოსი "ჩელსის-

თან" ორივე მეოთხედფინალს გამოტო-ვებს. ბურდისოს ექვსმატჩიანი დისკვა-ლიფიკაცია ძალაში დარჩა. კორდობა, სამის ნაცვლად, ორ თამაშს გამოტოვებს, მაიკონი - ექვსის ნაცვლად, სამს. სამივე ფეხბურთელს გამოსაცდელი პერიოდი დაუნესდა, რაც იმას ნიშნავს, აუაროლი დაუტედდა, ოაც ითას იითავს, რომ მორიგი დარღვევების შემთხვევა-ში, მათი სასჯელი დამძიმდება. უეფას კლუბებისთვის მისჯილი ფინანსური სანქცია არ შეუცვლია. "ვალენსიაცა" და "ინტერიც" 250 ათას შვეიცარიულ ფრანკს (206 600 დოლარი) გადაიხდიან.

3500M60

#### **733267807** GyPuar

ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝᲓ ᲒᲐᲘᲠᲙᲕᲐ, ᲛᲘᲚᲐᲜᲗᲐᲜ ᲒᲐᲘᲔᲠᲜᲡ ᲠᲔᲜᲖᲘᲜᲒᲘ ᲓᲐᲘᲪᲐᲕᲡ

**ოლივერ პანი** აპელაციისთვის ემზადებოდა. შარდის გახმაურებული სკანდის გამო უეფამ "ბაიერნის" გოლკიპერს ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუნერა. "რეალთან" განმეორებითი მერვედფინალის შემდეგ, რუტინული დოპინგტესტისას, "ტიტანი" ექიმებს ეჩხუბა. შესაბამისად, "მილანთან" პირველი მატჩის გამოტოვების საფრთხე დაემუქრა. ამას გარდა, ოლის 10 ათასი შვეიცარიული ფრანკის გადახდაც დააკისრეს.

"მილანი"-"ბაიერნი" 3 აპრილს უნდა გაიმართოს უეფამ კანის აპელაციის განხილვა 2 აპრილის დილის 9 საათზე და-ნიშნა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ბავარიელები მხოლოდ თამაშის წინა დღეს შეიტყობდნენ, ითამაშებდა თუ არა კაპიტანი. თუ დისკვალიფიკაცია ძალაში დარჩებოდა, მის ადგილს 22 წლის მიხაელ რენზინგი დაიკავებდა. ახალგაზრდა მეკარე ამბობს, რომ იტალიურ გრანდთან "სან სიროზე" თამაში მისთვის ოცნების ახდენის ტოლფასი იქნება: "მე ბუნდესლიგაშიც მითამაშია და გერმანიის ახალგაზრდულ ნაკრებშიც, მაგრამ "მილანის" დონის თამაში იშვიათად მქონია.

და აი, როგორც წუხელ გახდა ცნობილი, "ბაიერნმა" აპე-ლაცია უკან გამოიხმო, "შალკესთან" თამაშის წინ ფეხბურთელს კონცენტრაციაში ხელი არ შეეშალოსო.

360250050000035

## BURDELLE COLLECTE nLJ3 Tale of the second

ᲡᲐᲨᲘᲨᲘ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘᲐ, ᲚᲔᲒᲔᲜᲓᲐᲛ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲛᲘᲘᲠᲗᲕᲐ ᲓᲐ ᲖᲔᲓᲛᲔᲢᲘ ᲬᲝᲜᲐ ᲐᲬᲣᲮᲔᲑᲡ...

**ოთხშაბათს დიეგო მარადონამ** თავი შეუძლოდ იგრძნო. დაუყოვნებ-ლივ გამოიძახეს სასწრაფო და ლეგენდა გუემესის კლინიკაში გააქანეს. რამდენიმე წუთში საავადმყოფოში მივიდნენ დიეგოს ქალიშვილები, და-ლმა და ჯანინა. კლინიკის წინ ასობით მიმომხილველმა და გულშემატკივარმა მოიყარა თავი. მოგვიანებით, მარადონას ექიმმა **ალფრედო კაემ** ოფიციალური განცხადება გააკეთა: "დიეგოს სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. ის ჩვეულზე 8.8 ფუნტით მეტს იწონის. ეს არის და ეს. უნდა მოგახსენოთ, რომ საავადმყოფოში მისი ნების საწინააღმდეგოდ წამოვიყვა-ნეთ. თავს შესანიშნავად გრძნობდა, არც გული ანუხებდა და არც მაღალი არგერიული წნევა. უბრალოდ, ბოლო დღეებში არაერთხელ დაარღვია რეჟიმი, მიილო ბევრი საკვები, სასმელი

და მოწია ძალიან ბევრი სიგარეტი." კაემ განმარტა, რომ მარადონას შინ რამდენიმე დღეში გაისტუმრებენ. იქ-ამდე კი საფუძვლიან სამედიცინო შემოწმებას გაივლის.

ინფორმაციამ მარადონას ჰოსპიტალიზაციის შესახებ, დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. ეს თემა ყველა საინფორ-მაცია საშუალებამ პირდაპირ ეთერში გააშუქა. ახალი ცნობების მოპოვება შეუძლებელი იყო. პოლიციას კლინიკასთან მისასვლელი გზები გადაკეტილი ჰქონდა. ალფრედო კაეს განცხადე-ბამდე, საზოგადოებას დაუბალანსებე-ლი და გადაუმოწმებელი ამბები მიენოდებოდა. გასულ უქმეებზე პოპულა-რულმა გაზეთმა "კლარინმა" პირველად აუწყა მკითხველს, რომ მარადო-ნას ზედმეტი წონა აწუხებდა, რის გამოც დასასვენებლად შვეიცარიაში გამგზავრება სურდა.

#### **ᲚᲐᲜᲘᲔᲚ ᲥᲐᲠᲕᲐᲚᲘᲝ ᲞᲝᲠᲒᲣᲨᲘ**

ცსძას ფლეიმეიქერი დანიელ კარეალიო, შეიძლება, "პორტუში" ნავიდეს. პორტუგალიელებს შემტევი ნახევარმცველი სჭირდებათ. აგვისტოს ტრანსფე-რებისას ისინი რიკარდო კვარეშმასა და ანდერსონის გაყიდვას აპირებენ. "პორტუგალიელებს შემტევი ნახევარმცველი სჭირდენ და მოლაპარაკებების გამას პარგალიოს მამას, ალბიოს დაუკავშირდნენ და მოლაპარაკებების გამართვა შესთავაზეს. ბრაზილიელს მოსკოვური კონტრაქტი 2007 წლის ბოლოს უმთავრდება. არმიელებმა მას თანამშრომლობის გაგრძელება და თვეში 150 ათა-სი ევრო შესთავაზეს. ფებბურთელმა მინიმუმ 200 ათასი მოითხოვა, უარი მიილო და საბოლოოდ, რუსეთიდან აბარგება გადაწყვიტა. ცსკას ისღა დარჩენია, თავ-დამსხმელი აგვისტოს ტრანსფერებისას გაყიდოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, იან-აარში კომპენსაციას სახით ერთ კენაცსაც. აც ვერ მიილებს. ვარში კომპენსაციის სახით ერთ ცენტსაც კი ვერ მიიღებს

#### **ᲙᲐᲠᲚᲝᲡᲡ ᲖᲐᲚᲪᲑᲣᲠᲒᲨᲘᲪ ᲣᲮᲛᲔᲡ**

რობერტო პარლოსს კიდევ ერთი მსურველი გამოუჩნდა. ზიკოს "ფენერბაკ-ჩეს" შემდეგ, ვეტერან ბრაზილიელს ზალცბურგის "რედ ბულიც" დაუკავშირდა. ავსტრიელთა ბოსმა დიტრის მატეშიტცმა მას ორწლიანი კონტრაქტი და თურქებზე გაცილებით მიმზიდველი კონტრაქტი შესთავაზა. კარლოსს ამ ვარიანტ-თან დაკავშირებით კომენტარი ჯერ არ გაუკეთებია.

#### ᲒᲚᲐᲓᲑᲐᲮᲘ: 6MᲘᲕᲘᲚᲘ 2009 ᲬᲚᲐᲛᲓᲔ!

გერმანიის ნაკრების ვეტერანმა თავდამსხმელმა ოლივერ ნოივილმა მიონ-ხენგლადბახის "ბორუსიასთან" კონტრაქტი 2009 წლამდე გააგრძელა. ახალი ხელშეკრულება მეორე ბუნდესლიგაზეც ვრცელდება. როგორც იცით, "გლადბა-ხი" ბუნდესლიგაში ბოლო ადგილზეა და ელიტიდან გავარდნის საფრთხე სერიო-ზულად ემუქრება. მიუხედავად ამისა, ნოივილმა კონტრაქტი მაინც გაგაგრძელა და ამბობს, რომ "ბორუსიას" მეორე ბუნდესლიგაშიც სიამოვნებით ჩაჰყვება. "გლადბახში" თავს შესანიშნავად ვგრძნობ. მჯერა, რომ მეორე ბუნდესლიგაში არ დავქვეითდებით, მაგრამ თუ მაინც ასე მოხდა, პრობლემა არ არის, გუნდს ეუერ-თგულებ," - ამბობს 33 წლის ნოივილი, რომელიც "გლადბახში" 2004 წლიდან თა-მაშობს. მანამდე ის ლევერკუზენის "ბაიერის" დირსებას იცავდა.

ლറദാക്രായ്യ

## **ᲙᲘᲣᲔᲚᲘ ᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲐ**

ᲡᲘᲡᲝᲙᲝᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲝᲜᲢᲠᲐᲥᲢᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲠᲘᲒᲘ ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲚᲘ ᲛᲔᲠᲡᲘᲡᲐᲘᲓᲔᲚᲗᲐ ᲒᲐᲜᲐᲙᲨᲘ

3560 პიუელი მინდორს აპრილის დასაწყისში დაუბრუნდება. ავსტრალი-ელ თავდამსხმელს შარშანდელი მუნდიალის შემდეგ არ უასპარეზია. "ლივერპულის" მაისურა კი უკანასკნელად მაისში, "არსენალთან" ასოციაციის თა-სის ფინალში მოირგო. სარეაბილიტა-ციო პერიოდი დასასრულს მოუახლოვ და. კიუელმა განაცხადა, რომ 10 აპრილს, მერსისაიდელთა სარეზერვო გუნდის შემადგენლობაში, "შეფილდ იუნაიტედს" შეხვდება. თუ ყველაფერი ნორმალურად ჩაივლის, მას 14 აპრილს, "მანჩესტერ სიტისთან" მატჩის განაცხადში შეიყვანენ. 28 წლის ფეხბურთელმა ტერფის, კოჭისა და საზარდულის ოპერაციები გადაიტანა. მის გამოჯანმრთელებას მოუთმენლად ელოდება ავსტრალიის ნაკრების ხელმძღვანე-

როგორც გაუწყეთ, "ბარსელონამ" მომო სისოკო მოიკითხა. ლივერპულელები ფეხბურთელთან გამოთხოვებას არ აპირებენ. გადაწყვეტილია, რომ 22 წლის ნახევარმცველს ახალ კონტრაქტს შესთავაზებენ. მისი ხელფასი გაორმაგდება და კვირეულ 40 ათას გირვანქას მიაღწევს.

და კიდევ, რაფა ბენიტესი ტრადიციას არ უღალატებს და შემადგენლო-ბის გაძლიერებას ისევ ესპანურ ბაზარზე შეეცდება. ის "დეპორტივოს" თავდამსხმელ ხავიერ არისმენდით დაინტერესდა. რაფას, შეიძლება, მადრიდის "ატლეტიკო" შეეცილოს. არისმენდი ამ გუნდის ყოფილი ფეხბურთელია. მის კონტრაქტში ჩადებულია პუნქტი, რომლის თანახმად, დედაქალაქელებს ფორვარდის გამოსყიდვა 2 მილიონ ევროდ შეუძლიათ.








# LYJYYY DAMSEJEU WEUSYJYY JManajan Gyaamangajan

anaminimoso

ansem

06&0K307 CM30K 4MK4MC0560056

# **6717227017**0 **334803, 33500 ᲑᲔᲚᲒᲠᲐᲦᲘᲦᲐᲜᲐᲪ**



ლომერ ჟორჟოლიანი

**1100)** שראשתיים (100) להუდოისტთა ნაკრების ახალი, იმედისმომცემი წევრია. არავინ იცის, რამდენს მიაღწევს იგი თავის კა-რიერაში, მაგრამ თვითნაბად ტალანტთან საქმე ნამდვილად გვაქვს. თავად განსა-ჯეთ - პოლონურ სპალაში, მსოფლიო თასზე მან მსოფლიოს ბოლო პირველობის სამი მედალოსანი დაამარცხა - უკრა-ინელი ვიცე-ჩემპიონი ვიტალი ბუბონი, რუსი ბრინჯაოს პრიზიორი დმიტრი ნოსოვი და იმავე მედლის ბრაზილიელი მფლობელი ლუსიანო კორეა. თბილისის წლევანდელი ტურნირის ფინალში ლომერმა იაპონელ ტაკამასა ანაისაც მოუგო ლამაზი გდებით. ცხადია, ყველა ტურნი-რი ასე წარმატებული არ ყოფილა, მაგრამ დაგვეთანხმებით, ერთ სეზონში 22 წლის ახალბედისთვის ჩინებული კოლექციაა.

უცნაურია, კაცმა ევროპის პირვეიბაზე გამოსვლის უფლება მოიპოვა, მაგრამ თითქმის არ იცნობს ქომაგი. ჟორჟოლიანმა არც ისე დიდი ხნის წინ დაიწყო სერიოზული ვარჯიში და ნაკ-რებში იმდენად სწრაფად დამკვიდრდა, გამორჩეული წარმატებების მოპოვება ჯერ ვერ მოასწრო. ამის მიუხედავად, კარსმომდგარ ევროპის პირველობაზე 7-8 აპრილს ბელგრადში გაიმართება, მისი გამორჩეულად გვეიმედება, თუმ-ცა ყველაფრისთვის მზად უნდა ვიყოთ. ღმერთმა ქნას, ბელგრადიდან იგი ჩემ-პიონად დაბრუნდეს, მაგრამ ნურც მარცხი გაგვაკვირვებს და ახალგაზრ-და ფალავანს ნუ ჩამოვნერთ.

ჟორჟოლიანი თავიდან 90 კილოგრამში ჭიდაობდა და 100-ში ცოტა უცნაურად მოხვდა. 2005 წლის შემოდგომაზე კიევში, 23-წლიანთა ევროპის პირველობაზე მესამე ადგილი მოიპოვა, ერთ კვირაში კი საქართველოს ჩემპიონატი ინყებოდა. სრულიად სამართლიანად, მწვრთნელებმა წონა არ დააკლებინეს - ტურნირით ისედაც გადაღლილს ეს დატვირთვა საერთოდ გამოფიტავდა და ქვემძიმეში აჭიდა-ვეს, იქ კი ეს ახალგაზრდა ფალავანი ჩემპიონი გახდა. მართალია, წონის მაშინდელი ლიდერები - ივერი ჯიქურაული და გიორგი ყიზილაშვილი მძიმეში ჭიდაობდნენ, მაგრამ პატარა ბიჭისგან ასეთი წარმატება მაინც მოულოდნელი გახლდათ...

-ლომერ, მოდით, თავდაპირველად გაეცანით ქომაგს. ისინი თითქმის არ

წარმოშობით მესტიის რაიონის სოფელ მულახიდან ვართ, საიდანაც სტიქიური უბედურების გამო - სვანეთის ცნობილი დიდთოვლობის შემდეგ მარნეულში გადაგვასახლეს. ჭიდაობაც იქვე დავიწყე დაახლოებით 10 წლისამ. თავიდან ნესტორ ხერგიანის ძმებთან დავითსა და თემურთან ვვარჯიშობდი, თუმცა იყვნენ სხვა მწვრთნელებიც. სისტემატურად ვარჯიშს ამ ხუთიოდე

ნლის წინ შევუდექი, როცა თბილისში გადმოვედი გურამ მოდებაძესთან. - ვიცი, რომ ჭიდაობს თქვენი ბი-ძაშვილი - ბეთქილ ნავერიანი. ჭიდაო-ბა, ზოგადად სპორტი ოჯახური ტრადიცია ხომ არაა?

- დედაჩემის ძმები - თენგიზ და თამაზ ნავერიანები ჭიდაობდნენ. მამაჩემი პროფესიონალი მთამსვლელი არ ყოფილა, მაგრამ როგორც მონადირეს, ძალიან უყვარდა მთები და ბუნება. სპორტს რომ გავყოლოდი, მისი დიდი სურვილიც იყო. სამწუხაროდ, იგი ვერ მოესწრო ჩემს წარმატებებს. ბიძებმა დამაყენეს გზაზე.

რომ არა ერთმანეთის მიყოლე ბით ჩასატარებელი ის ორი ტურნირი - 2005-ის შემოდგომაზე - ევროპის პირველოშა და საქართველოს ჩემპი-ონატი, გადახვიდოდით 100-ში?

სამომავლოდ კი ვგეგმავდით, მაგ რამ მაშინ მართლა უცაბედად გადამიყვანეს. კიევში, 23-იანთა ევროპის პირველობაზე 90-ში ისედაც დავიკელი რამდენიმე კილოგრამი, თუმცა ბრიხჯაო მაინც მოვიპოვე. იქიდან ჩამოვედი და სულ რაღაც 4 დღეში საქართველოს ჩემ-პიონატზე უნდა მეჭიდავა. მწვრთნელებმა შემიცოდეს, წონა არ დამაკლებინეს და 100 კილოში მაჭიდავეს. მაშინ ჯიქურაულმა და ყიზილაშვილმა მძიმეში იჭიდავეს, მე კი ჩემპიონი გავხდი. მოკ-ლედ, წონას იმ ტურნირისთვის თუ არა,

სამომავლოდ მაინც შევიცვლიდი. - მაშინ თუ იფიქრებდით, რომ ასე სწრაფად დამკვიდრდებოდით ნაკრებში?

ნაკრებში დამკვიდრებაზე კი ვფიქრობდი, მაგრამ ასე მალე მოვხვდებოდი თუ არა, ცოტა მიჭირს ამ თემაზე ლაპარაკი. აჯობებს, ამაზე მწვრთნელებმა ისაუბრონ.

- წლევანდელი სეზონი თქვენთვის განსაკუთრებულია - თბილისში უგებთ იაპონელ ანაის, პოლონურ სპალაში ერთმანეთის მიყოლებით ამარცხებთ მსოფლიო ჩემპიონატის სამ მედალოსანს. როგორ გაიხსენებთ ამ შეხვედრებს, ძალიან გაგიჭირდათ?

- ცხადია, ასეთ ფალავნებთან მოგება იოლი არაა, მაგრამ თუ მოინდომებ, ყველაფერს მიაღწევ. ძლიერებთან უკეთ ვჭიდაობ. თუ რაშია საქმე, ზუსტად ვერ გეტყვით, მაგრამ ფაქტია მსოფლიოს სამ მედალოსანს მოვუგე. საერთოდ, პოლონეთში ძალიან ძლიერი შემადგენლობა შეიკრიბა. იაპონელი და კიდევ ერთი-ორი ლიდერი თუ აკლდა,

თორემ სხვები უკლებლივ იყვნენ.
- იქნებ არ გიცნობდნენ მეტოქეები და ესეც დაგეხმარათ?

- არც მთლად ეგრეა საქმე. იმ მედა-ლოსნებიდან ბრაზილიელმა შარშან ლისაბონში ნახევარფინალში მომიგო, კაბანოვსა და ბიბონს კი მართლაც არასოდეს შევხვედრივარ. იმ ტურნირიდან ფრანგი სირილ მარეტიც მიცნობდა და სხვებიც, რომლებსაც ასევე მოვუგე.

- თბილისში ანაისთან მოგებას როგორ იხსენებ? ბრძოლის შემდეგ გაოგნებული სახე გქონდა, თითქოს არ გჯეროდა მოგებისა...

არ დაგიმალავთ, ანაი მართლაც დაუმარცხებელი მეგონა. მისი ჭიდაობა შარშანაც ვნახე, როცა ჩვენი ტურნირი მოიგო და მერე სხვა ძლიერ შეჯიბრებებზეც მოიპოვა მედლები. წლეულსაც მაგარ მეტოქეებს მოუგო და ძლიერი მოჭიდავეა. არაა გამორიცხული, თავის ნაკრებში მსოფლიო და ოლიმპიური ჩუმპიონი კეიძი სუძუკიც შეცვალოს. ცხადია, ძალიან გამიხარდა მასთან მოგება. ემოციებისგან იმდენად დავიღალე, ის კი დავინახე, მსაჯმა ხელი ჩემს-კენ რომ გამოიშვირა, მაგრამ მერე არაფერი მახსოვს.

- დავუბრუნდეთ ისევ სპალას ტურნირს, სადაც წააგეთ იტალიელ ფრანჩესკო ლეპრესთან. მართალია, იგი ევროპის ჩემპიონია, მაგრამ ეს ნარმატება 2004 ნელს მოიპოვა და ისიც 90-ში. პოტენციურად იგი ბევრად სუსტია მსოფლიოს იმ მედალოსნებზე, რომლებსაც იქ მოუგეთ, და ანაიზეც. ამ მარცხს როგორ ახსნით?

- ის მართლაც ბევრად სუსტია ჩამოთვლილებზე. თავიდან იყო უნებლიე ინციდენტი და, ეტყობა, მსაჯი ამან ჩემ მიმართ ცუდად განაწყო. ტატამზე რომ შევედით, ერთმანეთისკენ ზურგშექცევით აღმოვჩნდით. მოტრიალებისას უნებლიედ ხელი მომიხვდა, ლეპრემ კი ეს ისე გააფორმა, თითქოს ხელი ვუბიძგე და პირდაპირ მსაჯთა მაგიდას დაეჯახა. ვფიქრობ, მან მსაჯზე იმუშავა და მიზანსაც მიაღნია - ორჯერ სწრაფად გამაფრთხილეს. რაკი უპირატესობა მოიპოვა, იტალიელმა წმინდა ევროპული ანუ ტაქტიკური ჭიდაობა წამოინყო ერთთავად ძირს კოტრიალობდა და დრო გაჰყავდა.

- ევროპის ჩემპიონტზე უცნობი არავინ გელოდებათ. როგორ აფასებთ თქვენს შანსებს?

უცნობი მართლაც არავინაა და დიდ ბრძოლებს ველოდები. დღეს ჭიდაობა ყველამ ისწავლა და კონკურენცია ძალიან გაიზარდა. რომ ინატრო, ნეტავ, იმ ქვეყნის წარმომადგენელი შემხვდესო, ასე არაა - უბრძოლველად არავინ არაფერს დაგითმობს, ყველასთან ჭიდაობაა საჭირო. ამიტომ შანსებზე ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ მთელი გუნდი სუმი გავიღი ქართველო ვასახელოთ.

- ცხადია, ევროპაზე ყველა ბევრად უკეთ მომზადებული გამოვა. თან, თქვენს ჭიდაობასაც საგულდაგულოდ შეისწავლიდნენ ანუ იქ წარმატებისთვის ბევრად მეტია საჭირო. გაქვთ სიურპრიზები მეტოქეებისთვის?

- ბუნებრივია. ამისთვის მზად ვართ და ვარჯიშებზე საგულდაგულოდ ვამუშავებთ ახალ ილეთებს. მეტოქეთა კასეტები ჩვენც მოგვეპოვება და ნაკრების თავკაც შოთა ხაბარელის მეთვალყურეობით მათ ჭიდაობასაც ვარჩევთ. ამდენად, კონცენტრირებულნი ვართ ამ პირველობაზე.

#### 36M@JUNJEN 36N3N

### 8639V 938W93PW98 മു ദാദാഷാമാന്ത്യാട

საძართველოს პროფესიული კრი-ვის ასოციაციამ გუშინ მორიგი სარეიტინგო ბრძოლები და ერთიც საქამრე ჩხუბი ჩაატარა.

პირველად რინგზე გამოვიდნენ ბო-რის მდინარაძე და ნოდარ ცხოვრებაძე (62 კგ). მდინარაძემ მთელი ოთხი რაუნდის განმავლობაში ურტყა კახელ მეტოქეს, ერთხელ დაანოკდაუნა კიდეც, მაგრამ ბოლოს მაინც ქულებით გამარჯვებას დასჯერდა. ამავე წონაში, დიმიტრი გულიაშვილისა და უშანგი რურუას ბრძოლა თანაბრად წარიმართა. საბოლოოდ, მცირე უპირატესობით იმარჯვა რურუამ. 66 კილოგრამში კობა ქარქაშაძემ სამ რაუნდში დაასისხლიანა დავით ქადაგიძე, მეოთხე რაუნდში კი ქადაგიძის სეკუნდანტმა დანებების მანიშნებელი პირსახოცი ისროლა რინგზე.

და ბოლოს - დღის დამაგვირგვინებელი ორთაბრძოლა შალვა ჯომარდაშვილსა და ლევან შონიას შორის. შალვას გუშინდლამდე ზედიზედ 23 ბრძოლა ჰქონდა მოგებული. ბოლო ორ სეზონში, ერთადერთი ქართველი, ვისაც ნოკაუტით ვერ მოუგო, ლევან შონია იყო. მთელი 10 რაუნდი ჯომარდაშვილი საგრძნობ უპირატესობას ფლობდა, უამრავი დარტყმაც მიაყენა მეტოქეს, მაგრამ თითქოს რკინისგანაა ჩამოსხმულიო, შონია ცოცხალი თავით არ ეცემოდა. ნოკაუტს ვინ ჩივის, ნოკდაუნიც კი არ ყოფილა. დროდადრო, ლევანიც გამოიღებდა ხოლმე ხელს და ხან საპასუხო დარტყმებით, ხან სახის

სასაცილო გრიმასების მაყურებელს გვარიანად ახალისებდა, ჯომარდაშვილს კი პირდაპირ აცოფებდა.

მთლიანობაში, ბრძოლა საკმაოდ თვალსასეირო კი იყო, მაგრამ სამწუხაროდ, ბინძურიც. ხშირი იყო აკრძალუ ლი დარტყმები და რეფერის სიგნალის შემდეგ დარტყმები. მეოთხე რაუნდში, ჯომარდაშვილმა ნერვები ვერ მოთოკა და ფეხი ამოარტყა მეტოქეს, ხოლო კულმინაცია ბოლო რაუნდში დადგა. ერთ მომენტში, შალვას სველ რინგზე ფეხი დაუცდა და წაიქცა. შონიამ წაქცეულ მეტოქეს ზემოდან მოუქნია ხელი. საპასუხოდ, ჯომარდაშვილმა ფეხი ამოარტყა და გამწარებული წამოხტა რინგის კიდეზე, გარედან ეგრევე ამოხ**გ**ნენ ორივე მოკრივის სეკუნდანტები. არ ვიცი, რა უთხრა ჯომარდაშვილს შონიას ერთმა გულშემატკივარმა, მაგრამ შალვა გაქანდა და მამაპაპურად შემოჰკრა სახეში. ბრძოლა გაგრძელდა და ბოლო წამებზე მოკრივეებმა ისე დასცხეს ერთმანეთს, რომ რეფერი კოტე ბერძენიშვილი მათ გაშველებასაც ვერ ბედავდა. საბოლოოდ, ქულებით გამარჯვება და საქართველოს ქამარი შალვა ჯომარდაშვილს დარჩა.

შალვას ვულოცავთ ქამარს და ამერი-კაში წასვლის წინ დიდ წარმატებებს ვუსურვებთ, თუმცა მეგობრულად ვურჩევდით, რომ ნერვების მოთოკვა ისწავლოს, თორემ ასე ლას-ვეგასში ჩხუბი ძალიან გაუჭირდება.

კობა ხატისაშვილი

36030

საპრთაშორისო &ურნირი

## **43720 93401436202763**

ბაძოსა და დონეცკში, პარალელურად მიმდინარეობს საერთაშორისო ტურნირები უფროსებსა და ახალგაზრდებში.

ბაქოში მოკრივეთა ეროვნული ნაკრები "სილქ როუდის" დიდ საერთაშორისო ტურნირზე ასპარეზობს. როგორც საქართველოს ნაკრები გუნდების უფროსმა თამაზ ქართველიშვილმა გვაცნობა, ჩვენი გუნდის 13 წევრიდან, 8 მოკრივე მეოთხედფინალშია და ერთი ნაბიჯი აშორებთ, მინიმუმ, ბრინჯაოს მედლების გასანაღდებლად. როგორც იცით, ორ წონით კატეგორიაში, ჩვენი მოთხოვნით, ქართველი მოკრივეები პირველსავე რაუნდში შეხვდნენ ერთმანეთს. ეს იმად გვჭირდებოდა, რომ 75 და 81 კილოგრამში, შიდა კონკურენციის ამბავი გარკვეულიყო. 75 კილოგრამში გიორგი ნაკანმა საქართველოს წლევანდელ ჩემპიონ რევაზ ქარელიშვილს მოუგო და მეოთხედფინალში გავიდა. ჩემპიონატის ფინალში წაგებისთვის ბაქოში იყარა ჯავრი დავით წიკლაურმა, რომელმაც თორნიკე იველაშვილი დაამარცხა.

დანარჩენ წონებში, მეოთხედფინალში არიან: **ზვიად ხადური** (48 კგ), კობა ფხაკაძე (57), ვასილ ყაზიშვილი (60), ლევან ღვამიჩავა (64), კახა ჟვანია (69) და ბექა ლობჟანიძე (+91).

რაც შეეხება ახალგაზრდულ ნაკ რებს, იგი დონეცკში ხუთკაციანი გუნდით ჩავიდა. აქედან 2 ნახევარფინალშია: გაგა ელიაშვილი (69) და დავით გოგიშვილი (81).

კობა ხატისაშვილი

#### AMAATAMA

### **ᲡᲝᲤᲘᲝ. ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲓᲐ**



ნენ, ერთმანეთს არ შეწყვილებიან.

ლოს ანპბელეს ის გარეუბან ჰემონდში ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირში (25 ათასი ლარი) ორმა ქართველმა ჩოგბურთელმა ითამაშა. 19 წლის სოფიო მელიქიშვილმა (338) ძირითად ბადეში თამაში საკვალიფიკაციოში გამარჯვებით გაინაღდა, 20 წლის სალომე დევიძემ (533) კი ტურხირის ორგახიზატორებისგახ "უაილდ ქარდი" მიიღო. სამწუხაროდ, ჩვენებურები ტურნირის პირველივე წრეში დამარცხდნენ. სოფიომ ბრაზილიელ ჯენიფერ ვიჟაიასთან (200) წააგო - 3:6, 6:3, 6:2. დევიძემ მე-7 ნომრად განთესილ ტაივანელ **ჩინ-ვეი** ჩანთან (164) დათმო - 6:7, 1:6. დევიძემ და მელიქიშვილმა წყვილთა თანრიგშიც პირველ რაუნდში წააგეს, ოლონდ ისინი სხვადასხვა დუეტში თამაშობდ-

16 წლის **ოქსანა კალაშნიკოვას** წარმატების მოპოვება კვლავ ჰოლანდიელმა ჩოგბურთელმა მიშელ ხერარდსმა (525) არ დაანება. ოქსანა ეგვიპტეში 10-ათასიანი ტურნირის ძირითად ბადე-

ში წინა კვირაში სუეცში ნახევარფინალში გასვლის წყალობით მოხვდა. პირველ წრეში ოქსანამ ესპანელი **მელისია კაბრერა** (774) დაამარცხა - 1:6, 6:1, 6:2. მეორე წრეში კალაშნიკოვამ ხერარდსთან სამ სეტში წააგო - 3:6, 6:4, 6:1.

ნიკოლოზ ნეფარიძე



30 35 60 35 65 2007



### LYJYYYU JYWYY UZUSENYC JYZCEONYCELY JManajan bykamangajem ommost mad

ins sin models

Cômcagnesoco

ბურულებთან ჩემი ურთიერთობიდან გამომდინარე, თხრობა გამიადვილდება. თავდაპირველად, მინდა შეგახსენოთ ჩვენი სასიქადულო მწერლის ნოდარ დუმბაძის უაღრესად გულთბილი სიტყვები მისი ერთი ლექსიდან "გურია": "სიცოცხლის სამოსახლოა ჩემი პატარა გურია"...

იმერეთიდან საჯავახოზე ავლით, საიდანაც ხელისგულზე ჩანს დასავლეთის მხარე, გული თბილად აგიჩქროლდება. ბედნიერია ადამიანი, ვინც ამ წიაღში დაიბადება. ბერძნისწყარო, შემდეგ დიდი აკაკი შანიძის ნოღა, სადაც მისი აკვანი დაირნა და გადადიხარ ძვირფასი ნოდარის "სიცოცხლის სამოსახლოში".

მრა3ალმხრი3 ნიჭიერ და ცნობილ ხალხს რა გამოლევს ქვეყნის ამ უმშვენიერეს კუთხეში. ყოველ წელს, 19 აგვისტოს, ფერისცვალებას ბახმაროში ვხვდები ღვთის მადლით, იქაური ფიჭვით აგებულ ეკლესიაში. 28-ში კი მარიამობას დღესასწაულობს მთელი გურია და იქ უამრავი ჩამობრძანებული სტუმარი იკრიბება. ბახმაროში საყორნიის მთიდან დანახული საქართველო ვის არ აღაფრთოვანებს თავისი ზღაპრული სილამაზით. ამ წალკოტის შემოფრენას ინატრებს კაცი. სხვათა შორის, "ლელოს" რედაქციაში შემთხვევით შევხვდი საქართველოს საავიაციო ფედერაციის პრეზიდენტ გია გეგენავას, რომელსაც ძალიან მოენონა ბახმაროში დელტაპლანერიზმის დანერგვა-განვითარების იდეა..

ზაფხულობით გურული მოჭიდავეები ბახმაროში გადიან წვრთნას საერთო ფიზიკურ მომზადებაში, თავისივე ხელითა და ძალებით აგებულ დარბაზში. თითქმის წელიწადია, რაც ჩამოყალიბდა ჭიდაობის სახეობათა რეგიონული ფედერაცია, რომლის პრეზიდენტად ჩოხატაურის მაჟორიტარი დეპუტატი ვასილ ჩიგოგიძე აირჩიეს. მანამდე, პრეზიდენტი ამაგდარი პიროვნება, **ვიქტორ** გობრონიძე იყო. პირველ მოადგილედ კი ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი რეგიონის სახელმწიფო რწმუნებულის თანაშემწე ზვიად უნგიაძეს, რომელიც ზრუნვასა და ყურადღებას არ აკლებს სპორტის ამ სახეობის ტრადიციების შენარჩუნება-გაღრმავებას. მასთან ერთად, გურულ მოჭიდავეებზე სრუ ლი მონაცემები მომანოდეს ოზურგეთის №9 კომპლექსური სასპორტო სკოლის დირექტორმა გოჩა კვირჩილაძემ, ოზურგეთის სპორტის განვითარების ცენტრის დირექტორმა ვლადიმერ ზურაბიანმა, მისმა მოად გილე რეზო მუჯირმა და ელგუჯა დარჩიამ. რეგიონული ფედერაციის გენერალური მდივანია მსოფლიო თასის მფლობელი, მრავალ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული გურამ მაჭარაშვილი. ვიცე-პრეზიდენტი კი, წარსულში ცნობილი მოჭიდავე **ალექსანდრე** ბოლქვაძე. ფედერაციას ღირსეულად უდგანან მხარში ბიზნესმენები და ამავე დროს, საპატიო პრეზიდენტები - გოგიტა ცეცხლაძე და გიორგი მიქელაძე. საინტერესოა, რომ თუ კახელებს, როგორც წინა პუბლიკაციაში ვწერდით, სამი ოლიმპიური ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში ჰყავთ (საერთო ჯამში ოთხი ოქრო), გურიაში ორი ოლიმპიური ჩემპიონი ჰყავთ ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. ძირძველი ჩოხატაურელი ავთანდილ ქორი**ძე** 1960 წელს რომში გახდა ოლიმპიური ჩემპიონი, მოიგო აგრეთვე მსოფლიო ჩემპიონატი (1961). ის 1966 წელს დაიღუპა მეგობართან, წარმოშობით ასევე ჩოხატაურელ, მელბურნის ოლიმპიური თამაშების პრიზიორ და სსრკ პირველი სპარტაკიადის ჩემპიონ **რომან** ძნელაძესთან ერთად. საინტერესოა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის **მერაბ ღუდუშაურის** კომენტარი ავთანდილ ქორიძის შესახებ: "ქორიძე უმალლესი კლასის მოჭიდავე იყო. ისეთი გიგანტების ფონზე გამოირჩეოდა, როგორებიც იყვნენ პუნკინი, ვასინი, როსინი, კორშუნოვი, როდინი. ეს კი მხოლოდ ძალიან დიდ ოს**გაგს შეეძლო**"..

საოცარი მოჭიდავე გახლდათ ლანჩხუთე-

ქართული სპორტის ღვაწლმოსილი მუ-შაკი, ნიჩბოსნობაში საქართველოს დამსა-

ხურებული მწვრთნელი, ღირსების ორდე-

ნოსანი. 30 წელიწადი იმუშავა ფოთის სპორ-


ტკომიტეტის თავმჯდომარედ. დიდი წვლი-

ლი შეიტანა ქალაქის სპორტული ბაზების მშენებლობაში, ნიჩბოსნობაში ოლიმპიური

ჩემპიონის ოლეგ კრატასიუკის, ევროპის პრიზიორის ავერი მატკავას დაოსტატებაში.

mannen

გარდაიცვალა 2002 წელს.







ლი (სოფელი ჩოჩხათი) ვახტანგ ბლაგიძე, რომელმაც ლირსეულად გააგრძელა ავთანდილ ქორიძის ტრადიციები და გახდა მოსკოვის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, მსოფლიოს ორგზის (1978, 1981), ევროპის ორგზის (1978, 1980), სსრკ-სა (1981) და მსოფლიო უნივერსიადის (1977) ჩემპიონი, ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენების კავალერი. ვახტანგმა ჩემთან საუბარში აღნიშნა, რომ მის ალზრდასა და ჩემპიონად ჩამოყალიბებაში დიდი როლი მიუძღვით ღვანლმოსილ ოზურგეთელ მნვრთნელ **მიხეილ (კაკო) თა** ვართქილაძეს, აგრეთვე, უფროს მეგობარსადა მწვრთნელ **დიმიტრი კუპრაძეს**, რომელიც ამჟამად გერმანიაში ცხოვრობს და მოღვაწეობს.

გურიის რეგიონის ჭიდაობის სახეობათა ცენტრად ოზურგეთი ითვლება. თანამედროვე სტანდარტებისა და მოთხოვნების შესაბამისად, აქ ფუნქციონირებს წარსულში ცნობილი მოჭიდავის **იური სიორიძის** სახელობის ფალავანთა კლუბი, რომელსაც მეურვეობას უნევს მისი ვაჟიშვილი, ჩვენი დიდი მეგობარი, ქველმოქმედი და ამაგდარი პიროვნება ზაზა სიორიძე, ჭიდაობასთან ნაზიარები ახალგაზრდა კაცი. სწორედ ამ კლუბის აღზრდილები არიან **ჯემალ მეგრე**ლიშვილი - მსოფლიო თასის მფლობელი, სსრკ-ს ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონი და მიუნხენის ოლიმპიური თამაშების პრიზიორი; **ბეგი დარჩია** - სსრკ ჩემპიონატების პრიზიორი, მრავალ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული, ამჟამად, საქართველოს ეროვნული ნაკრების უფროსი მწვრთნელი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში.

მრავალჯერ გაუხარებია ჭიდაობის აულშემატკივრები მსოფლიო ჩემპიონ **მანუჩარ კვირკველიას**. ჭიდაობის ლამაზი სტილით გამოირჩეოდნენ და ამჟამადაც გამოირჩევიან **რამაზ მორჩილაძე** - სსრკ ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის; **ალექსანდრე** ბოლქვაძე - საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი; ლაშა ლომაძე - ევროპის ჩემპიონი ჭაბუკებში, მსოფლიოსა და ევროპის პრიზიორი ახალგაზრდებს შორის; რევაზ ჭელიძე - ევროპისა და მსოფლიოს პრიზიორი ჭაბუკებსა და ახალგაზრდებში, მძიმეწონოსანი, სპეციალისტები მას დიდ მომავალს უნინასწარმეტყველებენ; **ბესიკ ზუ**რაბიანი - ორგზის მსოფლიო ჩემპიონი ჭა ბუკთა შორის, ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებში. კობა ბალავინოვი - მსოფლიოს ორგზის პრიზიორი ახალგაზრდებს შორის.

ბოლო წლებში საქართველოს ეროვ-ნულ ნაკრებში იგრძნობა მოჭიდავეთა სიჭარბე გურიიდან, განსაკუთრებით ოზურგეთიდან. იგივე ტენდენციაა ჭაბუკებისა

# 2) <u>235130</u> 336NN**E**36



დგანან, მარცხნიდან: რეზო მუჯირი, გოჩა კვირჩხილაძე, გურამ მაჭარაშვილი, ხვიად უნგიაძე, ვლადიმერ ზურაბიანი, ანზორ ლომაძე; ქვედა რიგში, მარცხნიდან: თენგიზ მუჯირი, ალექსანდრე ბოლქვაძე, გოჩა ბურჭულაძე.

და ახალგაზრდულ ნაკრებ გუნდებში. სამი მოჭიდავე - ლაშა ლომაძე, მანუჩარ კვირკველია და რევაზ ჭელიძე 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე პეკინში იცავდნენ საქართველოს ღირსებას. გურიის ჭიდაობის რეგიონული ფედერაცია წლის საუკეთესო ფედერაციადაა მიჩნეული. პერსპექტიულ მოჭიდავეებად ითვლებიან **კახა** მექვაბიშვილი, შონი კაცია, ბექა როყვა საქართველოს ჩემპიონები, საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებულები.

მოძიებული ცნობების მიხედვით, გურიაში ჭიდაობას თითქმის საუკუნოვანი ისტორია გააჩნია და, რა თქმა უნდა, ფესვები მაინც ქართული ჭიდაობიდან მოდის. დაუინყარია ჭიდაობის დიდი ფუძემდებლების მიხეილ გოგუაძისა და მიხეილ თიკანაძის სახელები. ოზურგეთელ მოჭიდავეებს შესანიშნავად აუბეს მხარი ლანჩხუთელმა და ჩოხატაურელმა ფალავნებმა. ლანჩხუთის რაიონში ჭიდაობის დამფუძნებელი გახლავთ გრიგოლ რუსიძე, რომლის ტრადიციები ბრნყინვალედ გააგრძელეს ჯაყო სარჯველაძემ, ბეჭდაუდებელმა ფალავანმა **ილია** მასხულიამ და ვალიკო ცინცაბაძემ. მოგვიანებით, ძმებმა - **ნოდარ** და გივი ძიმისტარიშვილებმა ჩამოაყალიბეს ბერძნულ-რომაული ჭიდაობის სკოლა და თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს, როგორც შინ, ისე საერთაშორისო ასპარეზზე. ძირძველი ლანჩხუთელია მსოფლიო თასის მფლობელი, თავისუფალი სტილით მოჭიდავე როინ დო ბორჯგინიძე. ვისაც უნახავს, არ დაივიწყებს სსრკ-ის ჩემპიონის, მსოფლიო თასის მფლობელის **ავთანდილ გოგოლიშვილის** ულამაზეს საჭიდაო სტილს. **დავით თოდრია** - საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, მსოფლიოს ორგ ზის ჩემპიონი ვეტერანებს შორის. ის მხარში უდგას საქართველოს ეროვნულ ნაკრებს და თავის გამოცდილებას გადასცემს ახალგაზრდა მოჭიდავეებს. ძმები **ხვი**ჩა და გოჩა შენგელიები, საქართველოს ჩემპიონები, სსრკ პირველობის პრიზიორები. ისინი ყოველთვის იძლეოდნენ გაბედული ჭიდაობის მაგალითს. ნაადრევად წავიდა ამ ქვეყნიდან იმედისმომცემი, ნიჭიერი ახალგაზრდა მოჭიდავე, საქართველოს ჩემპიონი გოგიტა იმნაძე. ჩოხატაურელ მოჭიდავეებში დიდი ამაგი აქვს ვანო კობიძეს, რომლის ტრადიცია გააგრძელა ვეფხვია ჩხიკვაძემ. ის საქართველოს მრავალგზის პრიზიორია. ჩოხატაურლები არ ივიწყებენ ან გარდაცვლილ ამირან შევარდნაძეს, რომელმაც მრა ვალი ნიჭიერი ახალგაზრდა აღუზარდა საქართველოს ასაკობრივ ნაკრებ გუნდებს.

მეფარიშვილი - სსრკ და ევროპის პრიზიორი ახალგაზრდებს შორის; ხვიჩა ქორიძე საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებული; გოგა ტყეშელიაძე და ზურაბ დოლიძე - საქართველოს მრავალგზის ჩემპიონები ჭაბუკებსა და ახალგაზრდებში, საკავშირო ტურნირებში გამარჯეებულები; ვეფხვია ოსედაიშვილი, დავით კალანდაძე - საქართველოს ჩემპიონები, ამჟამად, ბერძნულ-რომაული და თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა მწვრთნელები არიან.

ჩოხატაურელი მოჭიდავეები ემადლიერებიან ალექსანდრე (შურიკო) თოდრიასაც, რომელმაც ჩაის ფაბრიკის ტერიტორიაზე ადგილობრივ ფალავნებს საჩუქრად გადასცა საჭიდაო დარბაზი. დასასრულს უახ ლოვდება ლანჩხუთში ფალავანთა კლუბის მშენებლობა. ქების ღირსნი არიან დავით მჟავია და გია ჩხაიძე - ლანჩხუთელი მწვრთნელები, რომლებიც მუხლჩაუხრელად ემსახურებიან კეთილ საქმეს. ყოფილ გამგებელ რეზო ჩიტიძეს დიდი დამსახურება მიუძღვის ლანჩხუთის სპორტის განვითა რებაში. ახლანდელი გამგებელი ლევან გიორგაძე და საკრებულოს თავმჯდომარე დავით პეტრიაშვილი შესაძლებლობასა და ძალ-ლონეს არ ზოგავენ სპორტის სასიკეთოდ. ოზურგეთში, სოფელ ლიხაურში, გაიხსნა საფალავნო დარბაზი საძინებელი კორპუსით, რომელიც ჭიდაობის ფედერაციას გადასცა ოზურგეთის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა, ვეტერანმა მოჭიდავე თამაზ სალუქვაძემ. სოფელ ფამფალეთში დასრულდა ჭიდაობის დარბაზის რეკონსტრუქცია, რომელიც დააარსა წარსულ ში ცნობილმა მოჭიდავე **რევაზ ლომაძემ**. ის ამჟამად სოფელ ეაკიჯერის საკრებულოს რწმუნებულია, არ ჩამოშორებია აქტიურ სპორტს და როგორც მწერთნელი, გამოცდილებას გადასცემს ახალგაზრდებს. გურულ მოჭიდავეებს არ ავიწყდებათ პირადად ჩემთვის ძვირფასი და დაუვიწყარი ახალგაზრდა მეგობარი ჟანი კალანდაძე, რომელსაც უამრავი ჩანაფიქრი დარჩა განუხორციელებელი, თუმცა ბევრიც მოასწრო. დიდი ამაგი დასდო გურიის სპორტს ყოფილ მა გუბერნატორმა ალეკო ცინცაძემაც. სა ხელმწიფო რნმუნებულად <mark>მიხეილ სვიმო</mark>ნიშვილის დანიშვნის შემდეგ გამოიყო პრიორიტეტული და პერსპექტიული სპორტის სახეობები რეგიონში. მისი ძალისხმევით დაჩქარდა სპორტის სასახლის მშენებლობ ეს იქნება მოზარდი თაობის ფიზიკური აღზრდის ერთ-ერთი შესანიშნავი კერა. მადლობის მეტი რა გვეთქმის?! გურიის მოჭიდავეთა დიდი ოჯახი და, რა თქმა უნდა, რეგიონუ ლი ფედერაცია, საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია, ვეტერანი მოჭიდა ვეები მადლობას ვუხდით ზაზა სიორიძეს, გოგიტა ცეცხლაძეს, გიორგი მიქელაძეს, კოკი ცეცხლაძეს, ვალერი სარიშვილს, შაკო ბასილიას, ბაკურ შარაშიძეს, ჯემალ კალანდაძეს თანადგომისთვის. ცხადია, ეს არასრული სიაა. მადლობა ღვანლმოსილ და ამაგდარ მწერთნელებსაც, მიუხედავად პრობლემებისა, რომ არ ტოვებენ საჭიდაო დარბაზებს, თავდაუზოგავად შრომობენ და აოსტატებენ მოჭიდავეთა თაობებს. ესენი არიან საქართველოს დამსახურებული მწვრთნელები, ოზურგეთელები - ძმები ვლადიმერ და ირაკლი ზურაბიანები, გურამ მაჭარაშვილი, ანზორ ლომაძე, თენ გიზ მუჯირი, იური ხომერიკი, გია ბაქანიძე, დავით მაჭარაშვილი. ლანჩხუთლები დავით მჟავია და გია ჩხაიძე; ჩოხატაურელი გია სიხარულიძე. ან გარდაცვლილ ილია ჩხარტიშვილი წლების განმავლობაშ გახლდათ სსრ კავშირის ნაკრების ერთ-ერ თი მწვრთნელი; **აკაკი თავართქილაძემ** და ჯემალ მეგრელიშვილმა სსრ კავშირის და მსახურებულმა მწვრთნელებმა, უდიდესი წვლილი შეიტანეს საქართველოში ბერძნულ-რომაული ჭიდაობის განვითარებ ოზურგეთიდან მომაწოდეს ცნობა იმი სახებ, რომ სპორტის პირველი ოსტატი ბერ ძნულ-რომაულ ჭიდაობაში ყოფილა **ქართ**ლოს შავგულიძე. აი, ამ ფიქრში მომაგონდნენ ჭიდაობის კარგი ოსტატები, ჩემი ახლო მეგობრები - ომარ ჩხაიძე, დათო ლაღიძ დუშიკო კილაძე, ძმები რომან და ჯუმბ ძნელაძეები. პატიებას ვითხოვ, თუ ყველა ვერ ჩამოვთვალე. ახლა კი დამსახურებულ მწვრთნელებსა და აღზრდილებს შევახსენებ ჭიდაობის გულშემატკივრებს. ბერძნულ რომაულ ჭიდაობაში ირაკლი

და ვლადიმერ ზურაბიანების აღზრდილები არიან სხვადასხვა ასპარეზობათა ჩემპიონები და პრიზიორები: თენგიზ სირაძე, კობა ბალავინოვი, ბესარიონ ზურაბიანი, რევაზ ლომაძე, თემურ თხილაიშვილი, ლაშა ლომაძე, ლევან ზურაბიანი, გური კვერღელი ძე, კახა დობორჯგინიძე, გია ტუღუში, ბექა როყვა, გიორგი ჩხაიძე, ავთანდილ ტუ ღუში, ზაზა დეკანოიძე, დათო სირაძე, ხვიჩა ონიანი, დათო კვერღელიძე, თენგიზ მელუა, იმედა თავდუმაძე, დათო დოლიძე, ელისე ჩხარტიშვილი, ზვიად მდინარაძე ნოდარ მდინარაძე, შოთა მდინარაძე, გოგიტა გოლიაძე, ვახტანგ დოლიძე, ზურაბ ლიძე, ლაშა დიდბერიძე, გიორგი ბირბიჩაძე; გურამ მაჭარაშვილმა აღზარდა: მანუჩარ კვირკველია, ალექსანდრე ბოლქვაძე, თემურ ბერაძე, ზურაბ კეკელიძე ვეფხია ანთიძე, კახა კალანდაძე, უჩა მჟავანაძე, ზურაბ მაჭარაშვილი, აკაკი კილურაძე, ვახტანგ ბერიძე, დავით არობელიძე მირზა ვანაძე, კახა ძირკვაძე, შალვა ჯინჭარაძე, რომან ქამათაძე, ქემალ ხარაბაძე, ვახტანგ ფასიეშვილი, გია ჭელიძე, ზვიად კომახიძე, გივი ჩანჩიბაძე.

საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ანზორ ლომაძის შეგირდები იყვ ნენ: ამირან სვანიძე, მიხეილ ცეცხლაძე, გელა ქავთარაძე, ზაზა მიქატაძე, გია ჩხარტიშვილი, მამუკა ლომინაძე, ბადრი დოლიძე, ვაჟა შენგელია, ბიძინა მორჩილაძე, ევგენი ესაძე, დათო დანელია, კობა ლომინაძე, დათო ლომინაძე ლევან ცეცხლაძე, ნუგზარ კვირკველია დათო ესაძე, დათო ცხომელიძე, ბიძინა გობრონიძე, შონი კაცია, ირაკლი ფიფაიშვილი, ვახტანგ მელუა, რევაზ ჭელიძე.

ბერძნულ-რომაული ჭიდაობის მწვრთნელმა თენგიზ მუჯირმა აღზარდა: დავით დოლიძე, ფრიდონ აბაშიძე, კახაბერ ლერიან მურვანიძე, შალვა გურული, ბახვა ჩხარტიშვილი, იმედო ხუჯაძე, ზვიად ჩხარტიშვილი, ემზარ დარჩია.

#### assumbsa esemu

3001633: გამიგია, რომ თავისუფალ ჭიდაობაში ყოფილა შემთხვევა, როცა ევროპის ჩემპიონები და პრიზიორები მსოფლიო ჩემპიონატის პარალელურად გამო-უვლენიათ. რამდენად სარწმუნოა ეს ინფორმაცია და თუ მართალია, როგორი იყო ჩვენი კონტინენტის ჩემპიონისა და პრიზიორთა გამოვლენის წესი?


> ᲓᲐᲕᲘᲗ ᲩᲮᲐᲠᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘ, നുറത്നുവ

პას უხი: დიახ, იყო შემთხვევა, როცა თავისუფალ ჭიდაობაში ევროპის პირველი ჩემპიონები და პრიზიორები გამოვლინდნენ მანჩესტერში, მსოფლიო ჩემპიონატზე. ეს ასე მოხდა: მსოფლიო ჩემპიონატის პირველ სამეულს გამოაკლეს არაევროპელები და მათ ჩაენაცვლა მომდევნო ადგილზე გასული ევროპელი ფალავნები. მანჩესტერში ზემოხსენებული

მისი აღზრდილებიდან გამოირჩევიან: ხვიჩა

მსოფლიო ჩემპიონატი ჩატარდა 1965 წელს. ბულგარელები ბ. ბაევი (52), ს. კოლევი (63) და ლ. ახმედოვი (+97), თურქი მ. ათალაი (70), რუმინელი ფ. ბალო (78), საბჭოელი ა. მედვედი (97) აზიელების შემდეგ გავიდნენ მეორე ადგილზე, მაგრამ გამოცხადდნენ ევროპის ჩემპიონებად. გერმანელი კ. დორტმიტი (57) ორი აზიელის შემდეგ მსოფლიოზე მესამე იყო,

მაგრამ ევროპელებიდან - პირველი, გ. საღარაძე (78) ისედაც მსოფლიო ჩემპიონი გახდა და, ბუნებრივია, ევროპის ჩემპიონობაც მიენიჭა. ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის მედალი გადაეცა ზ. ბერიაშვილს (70), მესამე იყო შ. ლომიძე, რომელიც მსოფლიოზე მეოთხე ადგილზე გავიდა. ამრიგად, საქართველოდან ევროპის პირველი ჩემპიონი გურამ საღარაძეა.



12



### LYJYYYUS TELGELYC TUBELGEUYC JManajan Gyaamangajan or most of c remains some

30COM636MA

**ᲧᲕᲔᲚᲐ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲘᲡ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ** 

საძართველოს ჩემპიონატის ვარსკვლავთა მატჩი მეოთხედ გაიმართება. ნარჩევი მოთამაშეებით დაკომპლექტებული გუნდები ერთმანეთს 28 აპრილს ვერის ბალის საკალათბურთო დარბაზში დაუპირისპირდებიან. "ოლ სტარის" მონაწილეები 2004 წელს საგაზეთო გამოკითხვით შეირჩა, მომდევნო წელს ძირითადი შემადგენლობები ჟურნალისტებმა დავაკომპლექტეთ, ხოლო წელს გადაწყდა, რომ გამოკითხვა სწორედ ისე ჩატარებულიყო, როგორც NBA-ში: ინტერნეტით (საიტზე www.superleague.ge). რომელი ხუთეულიც მეტ ხმას მიიღებს "ოლ სტარის" სათამაშოდ სწორედ ის გავა. მოგეხსენებათ, ნებისმიერი გუნდის განაცხადში 12 კალათბურთელი უნდა იყოს, ჰოდა, სათადარიგო 7 მოთამაშეს მწვრთნელები შეარჩევენ.

თუკი გამოკითხვის სადღეისო მონაცემებს დააკვირდებით, შენიშნავთ, რომ დავით უსტიაშვილის გუნდის ხუთეულში ყველა აზოტელია, ხოლო **ლევან მო**სეშვილისაში ოთხი უნივერსიტეტელი და ერთიც "ავიატორი". მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ გამოკითხვა არაობიექტუ-რია - რუსთავის "აზოტი" ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერია და ამიტომაც იქცევენ მისი კალათბურთელები სხვებზე მეტ ყურადღებას. ხოლო **კოტე ტუღუშს** ყველაზე მეტი ხმა რომ აქვს, არც ესაა ალოგიკური, რადგან გურის MVP-დ სხვებზე მეტჯერ, სამჯერ დასახელდა

შეგახსენებთ, რომ მომდევნო საშუალედო სია 10 აპრილს გამოქვეყნდება და გაგაცნობთ სადღეისო მონაცემებს.

#### **ᲣᲡᲢᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲣᲜᲓᲘ** (ᲐᲖᲝᲢᲘ, ᲓᲘᲜᲐᲛᲝ, ᲛᲐᲙᲐᲑᲘ)

(ბზოტი, Დინამო, გაპაბი)
"პანა ხაზი: 1. კოტე ტულუში (აზოტი) - 782
მა, 2. ლაშა გამყრელიძე (აზოტი) - 607, 3. რამაზ
გოგობერიშვილი (აზოტი) - 436, 4. გიორგი გულისაბედაშვილი (დინამო) - 327, 5. ზურაბ ბადრიძე
(დინამო) - 267, 6. გიორგი დოლიძე (მაკაბი) - 231.
"ფორპარდამი: 1. გიორგი მარკოიშვილი (აზოტი) - 628, 2. ანატოლი მოისა (აზოტი) - 575, 3. ლუქსო ლაფანაშვილი (დინამო) - 367, 4. რევაზ დიდია
(აზოტი) - 343, 5. დავით გვიმრაძე (დინამო) - 262, 6.
ჟულივეტ ტუჯანი (აზოტი) - 244, 7. ვლადიმვრ ბეყანიშვილი (აზოტი) - 231.

(306ტრები: 1. დავით უგრეხელიძე (აზოტი) -534, 2. გიორგი შერმადინი (მაკაბი) - 512, 3. ვიქ-ტორ კოლუაშვილი (დინამო) - 279.

#### മെട്ടെ പാലാദ്യാലെ (ᲗᲑᲘᲚᲐᲕᲘᲐᲛᲨᲔᲜᲘ, ᲗᲡᲣ, ᲡᲢᲣ)

(ᲗᲑᲘᲚᲐᲕᲘᲐᲛᲨᲔᲜᲘ, ᲗᲡᲣ, ᲡᲢᲣ)

"ᲣᲙᲐᲜᲐ ᲮᲐᲖᲘ: 1. ბესიკ ლეჟავა (თსუ) - 594, 2.
ბუბა ბერიშვილი (თსუ) - 454, 3. ირაკლი ბერიშვილი (თბილავიამშენი) - 369, 4. ნოდარ ბერაი(სტუ) - 368, 5. ირაკლი ხოშტარია (თბილავიამშენი) - 364, 6. დავით ბერიშივილი (თბილავიამშენი) - 249.

"ᲕᲘᲠᲕᲐᲠᲓᲔᲑᲘ: 1. შიო ხეცურიანი (თხუ) - 645, 2.
ირაკლი კეიდია (თბილავიამშენი) - 438, 3. ზეიდ ბა
ბიაშვილი (თბილავიამშენი) - 431, 4. ლუკა შანიძე
(თსუ) - 402, 5. მიხეილ ბერიშვილი (თსუ) - 318, 6. გიგი
ბარბაქაძე (სტუ) - 244, 7. დავით იმნაძე (თსუ) - 192.

"ᲙᲔᲜᲢᲠᲔᲑᲘ: 1. რიჩარდ მათიაშვილი (თსუ) - 560, 2. ჰლასიდე როდუმტა (თბილავიამშენი) 436, 3. ლუკა ნოზაძე (სტუ) - 329.

ვაჟა სიმონიშვილი

**Ლ**ᲔᲒᲘᲝᲜᲔᲠᲔᲒᲘ

## **3363**, **338**M

28 მბრტს მანუჩარ მარკოიშვილი სლოვენიის ჩემპიონატში ჩაერთო. მისმა "ოლიმპიამ" დებიუტანტ "ლოკას" უმასპინძლა და "კუდით ქვა ასროლინა" - 101:68. ქართველი ფორვარდი თანაგუნდელთა შორის გამორჩეული იყო - 24 წუთში 15 ქულა (11დან 7 ორქულიანი), სამი მოსხნა და თითო ჩაჭრა-პასი-დაფარება მიითვალა. 20 ქულით მატჩის სნაიპერი მიჰა ზუჰანი გახდა.

სხვა მატჩებში "სლოვანმა" "ალპო

სს" 89:79 სძლია, "ელექტრამ" "ჰელიmbb" - 66:65, bmmm "ზლატოროგმა" (ყოფილი "პივოვარნა") კრკა-ს - 77:62.

საფრანგეთის ჩემპიონატის ერთერთ ფავორიტ "ვილერბანთან" სტუმრად ლირსეული სხვაობით დამარცხდა ვახტანგ ნაცვლიშვილის "დიჟო-

საქართველოს ნაკრების კაპიტანმა 17 წუთი ითამაშა და 7 ქულას მოუყარა

თავი - 3-დან 2 ოქულიანი და 5-დან 3 საჯარიმო გამოიყენა

გაიმართა საფრანგეთის თასის მერვედფინალური ეტაპის წილისყრა. "დიჟონს" მეტოქედ "გრავლენი" ერგო, ხოლო **გორდონ ჰერბერტის** "პო ორტეზს" მეორელიგელი 'კიმპერი". მატჩები 11 აპრილს გაიმართება.

ბოლოს ბალტიის თასის შეხვედრაზე შევჩერდებით. ესტონეთში "კალევმა" ლიტვის "საკალაი" 75:73 დაამარცხა, სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზე აინაცვლა და გიორგი ცინცაძის "ტარ ტუ როკი" ფლეი ოფს მიღმა დატოვა.

მართალია, გუშინ "მამული" საწყის

15 წუთში გვარიანად გაუძალიანდა მრისხანე სტუ-"შევარდენს", მაგრამ აშ-

კარა იყო, რომ ასე ბოლომდე არ გაგრ-

ძელდებოდა. მხოლო ის თუ იყო სა-

კითხავი, რა ანგარიშით მოიგებდნენ

ტექნიკოსები. მათ კი მხოლოდ პირვე-

ლი ტაიმის ბოლოსკენ გამოიღეს ხელი,

შესვენებაზე ათბურთიანი უპირატესო-

ბით გავიდნენ და აქვე გადაწყდა თამა-

ბურთელის სპექტაკლად იქცა. აქეთ "მა-მული" ცდილობდა ბომბარდირობისთ-

ვის მებრძოლ შონიასთვის რაც შეიძლე-

ბა, მეტი გოლი გაეტანინებინა და იქით, სტუ-ელი **აკაკი ტალახაძე** ამყარებდა

როგორც ჩანს, აკაკის სერიოზუ-

ლად გადაუწყვეტია ბომბარდირთა

დავაში ჩართვა და გუშინ, საკუთარ თავს მიზნად მინიმუმ 20 გოლის გატა-

ნა დაუსახა. საბოლოოდ, გეგმა გადა-

ჭარბებით შეასრულა და 25-ჯერ და-ლაშქრა მეტოქის კარი. აღსანიშნავია,

რომ ამას გარდა, ტალახაძემ 4 (!) პე-

ნალტი ვერ გაიტანა. მთლიანობაში კი,

ბომბარდირთა დავაში იგი საგრძნობ-

ლად დაწინაურდა და მესამე ადგი-

მიმდინარე ჩემპიონატის რეკორდს.

მეორე ტაიმში კი მატჩი ორი ხელ-

შის ბედი.

35/15 LUGUEU93020

**ചാടനി NBA-** പ്ര

#### 67 JUWP 332MO

ერთი წაგებით "ატლანტამ" არა თუ მინიმუმამდე დაიყვანა ფლეი ოფში გასვლის პერსპექტივა, არამედ როგორც დივიზიონის, ასევე კონფერენციის სა-ერთო ცხრილში "შარლოტს" გადასწრების საშუალება მისცა.

კაცმა რომ თქვას, "ბობქეთსი" ზაზა ფაჩულიას გუნდზე გაცილებით სოლი-დურადაა დაკომპლექტებული. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ შეხვედრაში მასპინძლებს ჯეფ მაკკინისი და დერეკ ანდერსონი არ ჰყოლიათ, "შარლოტმა" ძალიან იოლად მოიგო, ზაზა ფაჩულიას კი თავისი საუკეთესო მატჩი ნამდვილად არ ჩაუტარებია.

ზაზას წინააღმდეგ მასპინძლებმა სასტარტოში **ჯეიკ ვოსკული** დააყენეს, რომელიც ვერც შეტევაში ბრწყინავს და დაცვაშიც ერთი საშუალო ვინმეა. სტუმრებისთვის საუბედუროდ, მათგან განსხვავებით, "ბობქეთსის" სამწვრთნელო შტაბს თითქმის ნებისმიერ პოზიციაზე ვარირების შანსი აქვს, რაც ჯერალდ უოლასმა და კომპანი-

ამ მშვენივრად-გამოიყენეს. მაღლების მხრივ "შარლოტმა" ვოსკულის გარდა რაციონალურად გადაუნაწილა დრო ემაკა ოკაფორს, პრიმოჟ ბრეჟეცსა და ჯერალდ უოლასს. ეს უკა-ნასკნელი ცენტრობისგან შორს არის, მაგრამ დაცვაში იმდენად ხისტად თამა-შობს, რომ ძალიან ხშირად დაფარებების დიდი ნაწილი სწორედ ოპონენტის ყველაზე მაღალი და ჯანიანი მოთამაშეების წინააღმდეგ აქვს დაგროვილი.

ამჯერადაც ასე იყო. ფაჩულიას (რომელმაც 6-დან მხოლოდ 2 ტყორცნა გამოიყენა) უოლასმა რამდენჯერმე დაუფარა, ბოლო მეოთხედში კი სტუმართა შორის ჯოშ სმიტის გარდა თითქმის აღარავინ უნევდა წინააღმდეგობას მოულოდნეშეცდომოდ მოთამაშე "შარლოტს"

"ატლანტამ" მთელი მატჩის განმავლობაში ორად-ორი სამქულიანი გამოიყენა და 21 (!) შეცდომაც დაუშვა. შეხვედრის მსვლელობისას ლიდერი 5-ჯერ კი შეიცვალა, მაგრამ ეს დაძაბული მატჩის ილუზიას ნამდვილად არ უნდა გიქმნიდეთ. ერთი გუნდი თამაშობდა, მეორე კი წვალობდა. საბოლოოდ, "შარლოტის დამაჯერებელი გამარჯვება, რომლის არგენტინელმა ფორვარდმა **უოლტერ** ერმანმა კიდევ-ერთი სოლიდური მატჩი ჩაატარა. ბოლო 14 შეხვედრაში ჯინობილისა და სკოლას თანამემამულე საშუალოდ 11.3 ქულას აგროვებს.

ზურაბ ᲗᲐᲚᲐᲙᲕᲐᲫᲔ

#### **ᲨᲐᲠᲚᲝᲒᲘ-ᲐᲒᲚᲐᲜᲒᲐ**

25:20, 24:24, 26:21, 26:22

25:20, 24:24, 26:21, 26:22 შარლოტი: ჯ. უოლასი (43 წთ. 31 ქ. 9 მ. 4 ჩ. 4 დ. 3 3), კეროლი (35 წთ. 19 ქ. 2 მ), ერმანი (25 წთ. 13 ქ. 2 მ. 2 ჰ. 1 დ), ფელტონი (34 წთ. 10 ქ. 10 ჰ. 7 მ. 1 ჩ), ვოსკული (13 წთ. 7 ქ. 6 მ. 2 ჩ. 1 დ) – ოკაფორი (26 წთ. 9 ქ. 7 მ. 3 დ. 1 ჰ. 1 ჩ), გ. ნაითი (24 წთ. 5 ქ. 9 ჰ. 1 მ. 1 ჩ), მორისონი (24 წთ. 4 ქ. 4 ჰ. 2 ჰ), ბრეჟეცი (7 წთ. 3 ქ. 1 დ), ა. ან-ფერსონი (3 წთ. უქულოდ. 1 ჩ).

დერსონი (3 წთ. უქულოდ, 1 ჩ). ატლანტა: ჯოშ სმიტი (42 წთ. 25 ქ. 15 მ. 6 დ. 4 პ), მერვინ უილიამსი (36 წთ. 12 ქ. 10 მ. 1 პ. 1 დ), ჩილდრესი (41 წთ. 9 ქ. 5 მ. 3 პ. 1 დ), ზაზა ფაჩულია (25 წუთი, 6 ქულა, 5 მოხსნა, 3 პასი, 3 ჩაჭრა, 1 დაფარება, 4 შეცდომა, 3 ფოლი), ე. ფონსონი (26 წთ. 6 ქ. 5.3. 4 მ. 1 ჩ) — ს. სტაუდმაიერი (24 წთ. 12 ქ. 3 ჩ. 2 მ. 1 ჰ), ლ. რაიტი (17 წთ. 10 ქ. 5 მ. 1 ჰ. 1 ჩ), ლიუ (18 წთ. 5 ქ. 1 ჰ), შელდენ უილიამსი (8 წთ. 2 ქ. 3 მ), აივი.

#### I aammaaan

10:58	3560:	1 (	8.	TOCT	15860.	2	d.	4:2)	
OO EO	amil (	4	4	1200.0	1 005	13	OI		

3MCn: 1 (01/3C/7/P9791)

303억mas: 1 (3mgn のい3억subasan) Mたけつているの 85Mたらも5: 2 d (10:10)

მM6U6V: 2 (შ08: 1, ᲓVG: 1)

35Un: 2 (0. 34M6UM6n, 2 d. 12:12) Medumnon: 38. JMM25U85 R5J385es

**ප**აණාლია ლ. **Რ**ᲐᲘ**෧**ᲛᲐ **ප**0**ය**ალა

ଞ୍ଚଧମଅଙ୍କୀଧିକ ଙ୍କ. **୷ଧନା**ଣନ ଅପଧିଷଧଙ୍କଧ ଞ୍ଚଧମଅଙ୍କମଧ୍ୟର ଶମ୍ୟନାଧମନେ ଅଧୟଧ୍ୟନାଶୟଧ

W38XM09M030: 2/2 (4 d. 38:38)

 04:31
 %ショントンシン・1 (より木川でし ペンプラントン)

 04:29
 あからい、3 (30億・1, ペンジ・2)

 03:16
 州トナンマハンらの、3c. カーマンしょう ペンプラントン

ჩᲐせんン: 1 (翌0年8円66 おりづせんい)ሜンドッペハン で、みいのるひ 30と3いている

#### Unacquarce III

ფოლი: 2 (თავღასხმაში) 08:59 ଅପଓଡ଼ମାବଧ: 2 (ଅମାସ୍ଟମ ମଧ୍ୟ ଅଧ୍ୟଧ୍ୟ ଅଧି ।

06:40 ambbbb: 4 (පටම: 1, ල\3:3) 05:42 30GRM35: 3 (36, JMC) 697 8770 697

04:19 ଓ ଅନ୍ୟର: 3 (୪୯. ଅନ୍ୟର୍ଧ ଓ ୧୯୬୫ ୧୯୬୬ ୧୯୬୫ ୧୯୬୬ 04:19 **35879905 9. 650885 3003595** 

#### IV aomontoen

**338777138 3.70713860 3063375** 30G9M35: 4 (37KM0 350dG5)

08:50 おうきゃう: 3 (ようを用空しおうづきゃう)

07:12 MAJJENO6N මුJMAG65: 6 J (70:82) 06:30 3560:3 (32M3 63080, 2 d. 72:86)


04:34 ambubb: 5 (308: 1, 903: 4) 

ატლანტა პოქსი: 73 მატჩი, 27 მოგება, 46 ნაგება, ბოლო ადგილი სამხრეთ-აღმოსავ-ლეთის დივიზიონში, XIII ადგილი აღმოსავლ-ეთის კონფერენციაში; მომდევნო მატჩი: ატლანტა-ჩიკაგო (1 აპრილი).

#### bocáonon

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

# JJMKEN



აკაკი ტალახაძე

#### Ს&Უ/ᲨᲔᲕᲐᲓᲔᲜᲘ−ᲛᲐᲛᲣᲚ**Ი** 39:25

საუ/ მიგა დენე მაგალე 39:25

საუ/ მიგალიაშე (3), ქობელაშვილი (1), ყიფიანი, სიგუა (1), ბერძენიშვილი (4), გ. ჩიქოვანი, კობახიძე (2), საჯაია (3), ჩუბინაშვილი, ტალახაძე (25).

მამული: ალუაშვილი, ხონელიძე, მამაცაშვილი (4), კიზირია (3), მოციქულაშვილი,
გველესიანი (6), შონია (9), ი. გელაშვილი (1),
შალვაშვილი, ბესტავაშვილი (2), დორეული.

მსაჯები: ელენე არაბული, ინა ქკუასელი

#### ี ตอดตานก-กอวตก

ᲗᲒᲘᲚᲘᲡᲘ: სეთურიძე, ნივნივაძე (18), გრიშიკაშვილი (5), გელაშვილი (3), ქირია (3), ღაღანიძე (2), ნატროშვილი (1), ოსიყ-

მაშვილი, ქუთათელაძე. იმილი: გონჩაროვი, ვახანია, ქარდავა (8), მაისურაძე (8), თეთრუაშვილი (4), ყავე-

ნტი (2), m30; ილი (4), ბერიაშვილი (3), ჟღ ლომიძე (1), კერესელიძე, საბანაშვილი, კვერნაძე, ბიდოდაშვილი. მსაპამპიინა ჭკუასელი, ნინო ელოშვილი

0	1	9	9	6	ò	1
0305000	9	8	0	1	+10	16
ᲡᲢᲣ/ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲔᲜᲘ <u></u>	9	8	0	1	+107	16
めるありまとれる	8	3	1	4	8	7
09060	9	2	1	6	-67	5
8587000	9	0	0	9	-132	Ω

ბომბარდირები: გიორგი წივწივაძე (თბ-ილისი, 82), რამაზ შონია (მამული, 69), აკაკი ტალახაძე (სტუ/შევარდენი, 58).

രമാം:

9793230-374094727 (12:00, 355)

ლამდე აინაცვლა. რაც შეეხება შონიას მან მხოლოდ ცხრაჯერ გაიტანა და მეორე ადგილზე დარჩა. ტურის მეორე მატჩში, ლიდერი "თბილისი" თავის შვილობილ კლუბს, პოლოდან მეორე ადგილზე მყოფ "იმედს" ხვდებოდა. ყველასათვის მოუ-ლოდნელად, "იმედმა" მთელი ორი ტაიმი გვარიანად ანერვიულა თბილისელები და მატჩის დასრულებამდე ერთი ნუ-

თით ადრე, მხოლოდ მინიმალური სხვა-

ობით აგებდა. თუმცა ბოლოს მაინც "თბილისმა" იმარჯვა.

თხა თხაზე ნაკლებიო და, "თბილისის" ლიდერმა გიორგი ნივნივაძემ ტალახაძის დამყარებული რეკორდის მოხსნა მოინდომა. მართალია, მან მხოლოდ 18 გოლი გაიტანა (მეორე შედეგი მიმდინარე ჩემპიონატში), მაგრამ უკმაყოფილო მაინც არ უნდა იყოს, რადგან ბომბარდირთა დავაში საგრძნობ უპირატესობას ფლობს.

კობა ხატისაშვილი



30 35560 35555330 2007

## あっちっそっ とっちんしん acaetne ntuada (a

მერველფინალში ფედერერის მორიგი წარუმატებლობის შემდეგ, მაია-მის "მასტერსი" მსოფლიო კლასიფიკაციის მეორე და მესამე ნომრების გარეშე დარჩა. თავიანთი შეხვედრები ნააგეს ესპანელმა რაფაელ ნადალმა და ამერიკელმა ენდი როდიკმა.

ფედერერის გამოვარდნის შემდეგ, სწორედ რაფაელ ნადალი გახდა ამ ტურნირის ნომერ პირველი ფავორიტი. ამას ჰქონდა ლოგიკური ახსნა - ორი კვირის წინათ, ესპანელმა ანალოგიური კატეგორიის ტურნირში იმარჯვა და ყველას დაანახა, რომ შარშანდელი მაისიდან მოყოლებული კრიზისი დავიწყებას მიეცა.

ინდიან უელსის ფინალში, რაფაელ მა ნოვაკ ჯოკოვიჩი დაამარცხა. გუშინაც, ნახევარფინალში გასასვლელად ნადალს 19 წლის სერბთან მოუწია შეხვედრა, მაგრამ ამჯერად, ჯოკოვიჩის-გან დიდ წინააღმდეგობას წააწყდა. ნოვაკი ძალიან მობილიზებული გავიდა კორტზე და პირველივე სეტში დაანახა მეტოქეს, რომ ორი კვირის წინანდელი მარცხისთვის შურისძიება სწყუროდა.

პირველ პარტიაში ჯოკოვიჩი თითქმის უშეცდომოდ თამაშობდა და მეტოქის მოწოდებაზე ერთი გეიმის აღების შემდეგ, სეტი უპრობლემოდ მიიყვანა გამარჯვებამდე. მეორე სეტშიც მოვლენები თითქმის ანალოგიური სცენარით განვითარდა. თუმცა, შეხვედრის ბოლოს, ნადალს შეეძლო შეხვედრის ბედის შემოტრიალება. ჯოკოვიჩი 5:4-ს იგებდა და მატჩზე აწვდიდა, მაგრამ რაფაელმა სამი ბრეიკ-პოინტი და ანგარი-შის გათანაბრების შანსი მიიღო. სწორედ აქ დაამტკიცა სერბმა, რომ ოსტატობასთან ერთად, მას ნერვებიც ჩინებულ მდგომარეობაში აქვს. ტიტულოვან მეტოქესთან ერთხელაც არ აკანკალებია ხელი და შეხვედრა ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანა - 6:3, 6:4 ჯოკოვიჩის სასარგებლოდ.

"კარგი მატჩი გამოვიდა. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ზედი-

ზედ ორი მასტერსის ნახევარფინალში გავედი. ეს საკუთარი თავისადმი მეტ რწმენას მმატებს. კარგია, როცა ასეთი დონის ტურნირების გადამწყვეტ ეტა-პებზე ახალგაზრდები თამაშობენ. ვფიქრობ, ნადალი, მარეი და მე ახალ სიტყვას ვიტყვით თანამედროვე ჩოგ-ბურთში", - ამაყად განაცხადა ჯოკო-ვიჩმა და იქვე დასძინა, რომ ეს ჩემს კარიერაში ყველაზე დიდი გამარჯვებააო.

"ინდიან უელსის ფინალსა და ამ მატჩს შორის უდიდესი განსხვავება იყო. ამჯერად ძალიან ბევრი შეცდომა დავუშვი, მეტოქემ კი პირიქით, ყველა მნიშვნელოვან მომენტში უშეცდომოდ ითამაშა, რამაც გადაწყვიტა კიდეც მატჩის ბედი", - ეს უკვე რაფაელ ნადალის სიტყვებია.

ნოვაკ ჯოკოვიჩი ნახევარფინალში ბრიტანელ **ენდი მარეის** შეხვდება, რომელიც საუკეთესო ოთხეულში თითქმის უბრძოლველად გავიდა. 19 წლის მარეის მეტოქე ენდი როდიკი იყო. თამაში ჩვეულებრივად დაიწყო - ძლიერი მოწოდებებით მეტოქეები საკუთარ გე-იმებს ინარჩუნებდნენ. ასე გაგრძელდა მერვე გეიმამდე, მაგრამ 4:3-ზე როდიკმა სამედიცინო ტაიმ-აუტი მოითხოვა და კორტი დატოვა, ხოლო მოედანზე კოჭლობით დაბრუნდა. ამერიკელს მარცხენა ფეხი აწუხებდა.

ტკივილის მიუხედავად, როდიკმა თამაში გააგრძელა, მაგრამ მაშინვე დათმო გეიმი საკუთარ მოწოდებაზე. სწორედ აქ მიხვდა ამერიკელი, რომ თამაშის გაგრძელება არ ღირდა და უბრძოლველად დანებდა მეტოქეს.

"მარცხენა ფეხი არასოდეს მტკიე-ბია. ეს რაღაც ახალია ჩემთვის", - თქვა მატჩის შემდეგ როდიკმა.

ჯერჯერობით უცნობია, რამდენად სერიოზულია ენდის ტრავმა. ამ ამბავმა ყველაზე მეტად დევისის თასზე ამერიკის ნაკრების კაპიტანი **პატრიკ მაკინ**როი შეაშფოთა. ერთ კვირაში დევისის თასის მეოთხედფინალები უნდა გაიმართოს და მაკინროი ესპანეთთან მაგჩში ყველაზე დიდ იმედებს სწორედ როდიკზე ამყარებდა.

რაც შეეხება მარეის, მან ამ სეზონში უკვე მეორედ მოუგო მსოფლიოს მესამე ჩოგანს. მანამდე ეს სან ხოსეს ტურნირის ნახევარფინალში მოხდა, რის მერეც, შოტლანდიელმა ფინალში ხორვატ ივო კარლოვიჩსაც მოუგო და კარიერაში მეორე ტიტული მოიპოვა.

. . .

ქალთა ნახევარფინალებში მოვლენები ნაკლებად დრამატულად განვითარდა. აქ უკვე ცნობილი იყო ერთი ნახევარფინალური წყვილი - ჟუსტინ ანენი ანა ჩაკვეტაძის წინააღმდეგ. გუშინ კი, ბოლოსწინა ეტაპის კიდევ ორი მონაწილე გაირკვა. ესენი არიან ამერიკელი **სერენა უილიამსი** და ისრაელელი შაარ პეერი. ორივე მათგანმა ყოველგვარი პრობლემების გარეშე გაიარეს მეოთხედფინალური ეტაპი.

შარაპოვას განადგურების შემდეგ, სერენამ ჩეხ **ნიკოლ ვაიდიშოვასაც** შა-ვი დღე აყარა და 67 წუთში მოუგო მერვე ნომრად განთესილ ჩოგბურთელს -6:1, 6:4. ამერიკელს მცირე პრობლემები მეორე სეტში შეექმნა, როცა ვაიდიშოვა 4:3 იგებდა და მეტოქის მოწოდებაზე სამი ბრეიკ-პოინტიც ჰქონდა. ჩეხმა ანგარიშის გაზრდის შანსი ვერ გამოიყენა და ზედიზედ სამი გეიმი დაუთმო მეტოქეს. ამ დროის განმავლობაში, სერენამ 14 გათამაშებიდან 13 თავის სასარგებლოდ დაასრულა. აღსანიშნავია, რომ უმცროსმა უილიამსმა სამივე ბრეიკი ეისებით გაქვითა.

რაც შეეხება ტურნირის მე-14 ნომერ შაარ პეერს, მან მხოლოდ სამი გეიმი დაუთმო იტალიელ ტატიანა გარბინს. პეერს წელს აშკარა პროგრესი ეტყობა. მან მემფისის ტურნირის ფინალში ითამაშა, ორი კვირის წინათ, ინდიან უელსში მეოთხედფინალამდე მიაღწია. ახლა კი, ნახევარფინალში სერენა უილიამსს შეერკინება. სხვათა შორის, ჟურნალისტებთან საუბრისას ამერიკელმაც გაუსვა ხაზი პეერის პროგრესს.

#### ATP

PLUEU SIYURUPEUP GUS 350530 (588). 1935A&0-1 53KDCO. 35KCO **ᲡᲐᲞᲠᲘᲖᲝ ᲤᲝᲜᲓᲘ**:3450000 ᲓᲝᲚᲐᲠᲘ

#### 1/4 906000

ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 10)-რაფაელ ნადალი (ესპ, 2) 6:3, 6:4; ენდი მარეი (ბრიტ, 12)-ენდი როდიკი (აშშ, 3) 5:3 როდიკის უარი.

#### WTA

ษายา วสกสษายาษ ราว 350530 (588). 21 35ABO-1 53AOMO. 35AMO **しろ360% 3M6な0:**3450000 なのでとあり

#### 1/4 906300

**სერენა უილიამსი (აშშ, 13)**-ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ, 8), 6:1, 6:4; **შაარ პეერი (ისრ, 14)**-ტატიანა გარ-ბინი (იტა, 24) 6:0, 6:3.

#### 1/2 ซกองตาก เอตองกอด

ს. უილიამსი (13)-პეერი (14); ანენი (2)-ჩაკვეტაძე (9)

താജ്ചരു

## TREESTANCE TOWNS TO TANK

ჯოკოვიჩმა ძლივს დაიჯერა თავისი გამარჯვება

#### ᲥᲐᲚ ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲔᲚᲔᲑᲡ ᲰᲝᲜᲝᲠᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲔᲒᲘᲡ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲔ ᲐᲠ ᲔᲛᲣᲥᲠᲔᲒᲐᲗ

2009 წლიდან მოყოლებული, ქალთა საჩოგბურთო სეზონი დაახლოებით ორი კვირით დამოკლდება. ქალ ჩოგლობამ გადაწყვიტა, რომ ნამყვანი მოთამაშეების ტრავმებისგან თავის ასარიდებლად, ვარსკვლავებს დასვენებისთვის უფრო მეტი დრო უნდა მიეცა.

სწორედ ამის გამო, WTA-მ შეამცირა პირველი და მეორე კატეგორიის ტურ-ნირების რიცხვი. 2009 წელს, 26-ის ნაცვლად, 20 ასეთი ტურნირი გაიმართება (ამ სიაში არ შედის "დიდი სლემის" სერიის ჩემპიონატები), ხოლო სეზონის შემდგომი არდადეგების ხანგრძლივობა შვიდიდან ცხრა კვირამდე გაიზარდა.

"ჩოგბურთელებმა დაიმსახურეს უფრო გრძელი არდადეგები. ეს მათ უფრო მეტად დაიცავს ტრავმებისგან და არდადეგებიდან დაპრუნებულნი, გაცილებით ხარისხიან ჩოგბურთს შესთავაზებენ გულშემატკივრებს", - ამბობს WTA-ს აღმასრულებელი დირექ-

ტორი **ლარი სკოტი**. ბუნებრივია, ჩნდება ლოგიკური კითხვა - ტურნირების რაოდენობის შემცირებით, მოიკლებს თუ არა ჩოგბურთელთა საერთო ჰონორარების ოდენობა. როგორც WTA-ს ჩინოვნიკები ამბობენ, ამის საშიშროება არ არსებობს, ვინაიდან 2009 წელს, მთლიანი საპრიზო ფონდი 72 მილიონი დოლარი იქნება, რაც 30 პროცენტით მეტია წლევანდელი სეზონის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

აქვე გთავაზობთ იმ ტურნირების სრულ სიას, რომლებშიც 2009 წლიდან მოუწევთ თამაში წამყვან ქალ ჩოგბურ-

ჩრდილოეთ ამერიკა (8): ჩარლსტონი, ცინცინატი, ინდიან უელსი, ლოს ანჯელესი, მაიამი, მონრეალი/ტორონტო, ნიუ ჰევენი, სტენფორდი;

ევროპა (7): ბერლინი, ისტბურნი, ძადრიდი, მოსკოვი, პარიზი, რომი, შტუტგარტი;

აზია/წყნარი ოკეანე/ახლო აღმოსავლეთი (5): პეკინი, დოჰა, დუბაი, სიდნეი, ტოკიო;

დიდი სლემის სერია (4): ავსტრალიის ღია პირველობა, საფრანგეთის ღია პირველობა, უიმბლდონი, აშშ-ის ღია პირველობა.

ასევე გაირკვა, რომ ქალთა შემაჯამებელი ტურნირი, 2008 წლის ოლიმპიადის დედაქალაქ პეკინში გაიმართება და ეს შეჯიბრი 9 დღეს გასტანს. სხვათა შორის, სეზონს მამაკაცებიც ჩინეთში შეაჯამებენ, ოღონდ ეს მეორე ქალაქში, - შანხაიში მოხდება.

าดเกาะ

amasaman

**ამერისას სალივანი განვოდენის** კირველი ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე ოფიციალურად წარადგინა "ბოსტონ ბრუინზის" ყოფილო დამრიგებელი - მაიკ სალივანი. ამ უკანასკნელმა ამერიკის ნაკრები 2007 წლის მსოფლიო ჩემპიონატისთვის უნდა მოამზადოს, რომელიც აპრილში მოს-

სააგენტო "როიტერის" ინფორმაციით, სალივანის თანაშემნე "ფინიქს კოიოტზის" მეორე მნვრთნელი - **პარი სმიტი** იქნეპა

"ყოველთვის დიდი პატივია, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე საკუთარ ქვეყანას წარმოადგენ", - განაცხადა წარდგენის შემდეგ მაიკ სალივანმა.

#### TYPESTER SEC TRADESTRIP

ჰოპეის ეროვნულმა ლიგამ კონტრაქტი გააგრძელა საზოგადოებრივ მა-

უწყებელ CBC-სთან, რაც იმას ნიშნავს, რომ კანადის ტერიტორიაზე NHL-ის მატჩების ტრანსლირების უფლება სწორედ ამ ტელეკომპანიას ექნება. როგორც სააგენტო AP იუწყება, ახალი ხელშეკრულება 2014 წლის პოლომდე იქნება ძალაში. შეგახსენებთ, რომ კანადის ტერიტორიაზე NHL-ის კიდევ ერთი პარტნიორია ტელეკომპანია TSN.

#### ᲤᲘᲚᲐᲓᲔᲚᲤᲘᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲖᲔ **&**636331 163341

"<mark>ფილადილფია ფლაი</mark>ერზმა" ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა "ბაფალო სეიბრზის" ყოფილ მეკარე **მარტინ პირონთან**. ამ ინფორმაციას სააგენტო "რო-

იტერი" აგრცელებს. "ამ გარიგებით ძალიან კმაყოფილნი დავრჩით. ბირონის დიდი იმედი გვაქვს და გეჯერა, რომ უახლოესი ორი წლის განმავლობაში, ის მაქსიმალური შედეგე-გის მიღწევაში დაგვეხმარება", - ამბობს "ფილადელფიას" მენეჯერი პოლ ჰოლ-

#### የየጋሃጋያህ ንሣ ንሀንሣዓንፌጋያን

ჰᲝძᲔᲘს ეროვნული ლიგის კომისარმა გერი ბეტმენმა განაცხადა, რომ ლიგა-ში ბოლო დროს გახშირებული ტრავმების გამო, არ აპირებს მოთამაშეებს შორის ჩხუბების აკრძალვას.

"ჩხუბის მიმართ საკუთარი აზრი არ შემიცვლია. ეს შოუს ერთ-ერთი ნაწილია და მისი მოსპობა არც გვიფიქრია, - განაცხადა NHL-ის შეფმა. - ჩვენ მხოლოდ ჰოკეისტების უსაფრთხოებაზე ვნუხვართ და ამ საკითხთან დაკავშირე-ბით კიდევ ბევრი გვაქვს საფიქრალი".

#### 33833333 EKJ88NL ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲚᲐᲘᲛᲐᲢᲔᲡ

"ᲚᲝᲡ ᲐᲜᲕ₹ᲔᲚᲔᲡ ᲙᲘᲜᲒᲖᲛᲐ" მრავალწლიანი ხელშეკრულება გაუფორმა 2005 წლის დრაფტის მესამე ნომერს, ამერიკელ მცველ **ჯეკ ჯონსონს**.

yahoo.com-ის ინფორმაციით, კონტრაქტის ფინანსური დეტალები არ ხმაურდება. 20 ნლის ჰოკეისტის დებიუტი რეგულარული ჩემპიონატის უახლოეს ტურში შედგება.

വയപ്പെട്ടാത്ര

#### 3CM 3CM

შესაძლოა, "ატლანტა ჰოუქსი" ნლევანდელი სეზონის პოლომდე თავისი

ლიდერის - **ჯო ჯონსონის** გარეშე დარჩეს. შეგახსენებთ, რომ **ზაზა ფაჩულიას** კლუბის საუკეთესო ბომბარდირმა ჯერ კიდევ 5 მარტს, "მაიამისთან" წაგებულ მატჩში დაიჭიმა ფეხის კუნთი და მას შემდეგ მოედანზე არ გამოჩენილა.

#### M&W3W77E&U9 &3PU 9WU93P7

სეზონი დაასრულა "ბოსტონ სელტიქსის" ცენტრალურმა თავდამსხმელმა მაიკლ ოლოვოკანდიმ. ვეტერანმა კალათბურთელმა ფეხი მოიტეხა და ამის

გამო ვეღარ შეძლებს მოედანზე გასვლას.
თუმცა, ოლოვოკანდის არყოფნა "ბოსტონისთვის" დიდი დანაკლისი არ იქ-ნება, რადგან 1998 წლის დრაფტის პირველმა ნომერმა, ამ სეზონში მხოლოდ 24 მატჩში მიიღო მონანილეობა და საშუალოდ, მოკრძალებულ 1.7 ქულასა და 2.0 მოხსნას აგროვებდა.

#### **Manusulus ฃᲘᲥᲘᲩᲘ ᲓᲐᲘ&ᲝᲕᲐ**

საბერძ60000ს "ოლიმპიაკოსმა" და 27 წლის ხორვატმა კალათბურთელმა ანდრია ჟიჟირმა ახალი კონტრაქტის დეტალები შეათანხმეს. მის თანახმად, თავდამსხმელი ბერძნულ კლუბში 2010 წლამდე ითამაშებს. წლევანდელ ევროლიგაში ჟიჟიჩმა 20 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 12.4 ქულით, 5.0 მოხსნითა და 1.1 შედეგიანი გადაცემით დაეხმარა თავის გუნდს.

#### AMEN COMMI <u>ᲞᲐᲜᲐᲗᲘᲜᲐᲘᲙᲝᲡᲘᲓᲐᲜ ᲐᲒᲓᲔᲑᲔᲜ</u>

ბერძნული საკლუბო კალათბურთის მეორე ლიდერი - "პანათინაიკოსი" კი, NBA-ის ყოფილ მოთამაშესთან **- ტონი დელკთან** გამოთხოვებას აპირებს. ამე-რიკელმა კალათბურთელმა ვერ გაამართლა მასზე გაცემული ავანსები და კლუბმა მთავარ მწვრთნელ **ჟელკო ობრადოვიჩის** ინიციატიცით, ტონის გუნდიდან გაშვება გადაწყვიტა.

ამ საკითხთან დაკავშირებით ოფიციალური დოკუმენტები ჯერ არ არსებობს, მაგრამ "პანათინაიკოსი" უკვე ანარმოებს მოლაპარაკებებს დელკთან, თანამშრომლობის უკეთესი ვარიანტის გამოსანახად. ჯერჯერობით, გარკვეული არ არის დელკის შემცვლელის ვინაობაც. თუმცა, ბერძნებმა ასეთი კალათ-ბურთელი რომც იპოვნონ, ის წელს გუნდს ევროლიგაში ვერ დაეხმარება, რადგან ტურნირის რეგლამენტი კრძალავს ფლეი ოფების ეტაპზე ახალი მოთამაშის

#### മാഷം ഭാണാട്ട

03რ/ICO ოფიციალური ვებ-გვერდის ინფორმაციით, ევროპის ყველაზე პრესტიჟულ საკლუბო ტურნირზე, მარტის MVP-ის ტიტული ესპანური "უნიკა-ხას" ცენტრალურმა თავდამსხმელმა **დანიელ სანტიაგომ** მოიპოვა.

სწორედ ეს კალათბურთელი დაეხმარა თავის გუნდს ევროლიგის ფლეი ოფის საგზურის მოპოვებაში. მარტში, სანტიაგო საშუალოდ ერთ შეხვედრაში 15.0 ქულას, 6.3 მოხსნას, 2.0 დაფარებასა და 1.6 შედეგიან გადაცემას აკე-



## monto makin es MOJUMAC!

რა თქმა უნდა, ეს მიღწევა ამერიკელ მაიკლ ფელპსს ეკუთვნის, ვინც ოთხი დან სამი ოქრო ინდივიდუალურად მოიპოვა და ყველა მსოფლიოს ახალი რეკორდითაც დააგვირგვინა. ახლა კი, მას შემდეგ, რაც 200 მეტრზე ინდივიდუალური შერეული სტილით ცურვაშიც დაეუფ-ლა ოქროს და თავისივე რეკორდიც მოხსნა, განაცხადა, რომ 100 მეტრზე ბატერ-ფლაიშიც გეგმავს რეკორდით მოგებას. გუშინ 21 წლის ამერიკელმა თითქმის

ნამი მოაკლო ძველ რეკორდს, რომელიც შარშან, პან წყნარი ოკეანეთის ჩემპიონატზე ასპარეზობისას დაამყარა. დისტანცია მან წუთსა და 54.98 წამში გაცურა და კარგა შორს მოიტოვა თანაგუნდელი რაიან ლოხტე, რომელიც დისტანციის პირველ 150 მეტრზე ტოლს არ უდებდა თავის რე კორდსმენ მეტოქეს. ბრინჯაოს მედალს დასჯერდა უნგრელი **ლასლო ჩეჰი**.

"ახლა მე ისეთი გრანდების გვერდით მომიხსენიებენ, როგორებიც არიან გაიგერ ვუდსი და როჯერ ფედერერი. ეს დიდი პატივია, თუმცა ვფიქრობ, რომ გაცილებით მეტის მიღნევა შემიძლია' განაცხადა ფელპსმა, ვინც კარიერაში პირველი რეკორდი 2001 წელს დაამყარა, როცა სულ 15 წლისა იყო

ფელპსის ახალი სამიზნე 100 მეტრზე ბატერფლაიში მსოფლიოს რეკორდია (50.40 ნამი), რომელიც მის თანაგუნდელ იან პროკერს ეკუთვნის. ბევრი სპეციალისტი ამ რეკორდსაც ისეთსავე "მიუწვ-დომლად" მიიჩნევს, როგორადაც მელბურნამდე **იან ტორპის** 200 მეტრზე თავისუფალის რეკორდი იყო. ფელპსმა ერთხელ უკვე შეძლო "შეუძლებელი" და ახ-ლა ანალოგიური მიღწევისთვისაც ემზადება. ოლონდ, განსხვავება ისაა, რომ ეს დისტანცია მისი ფავორიტი არაა და მისთვის სპეციალურად არც მომზადებულა.

"მინდა, ამ დისციპლინაშიც საუკეთესო დროის ავტორი გავხდე. ას მეტრზე გატერფლაიში ჩემი საუკეთესო შედეგი 2003 წლის შემდეგ არ გამიუმჯობესებია, მაგრამ აქ ისე სწრაფად დავცურავ, მგონი ამ რეკორდზე წასვლაც შემიძლია. ყოველ შემთხვვაში, ხელს არაფერი მიშლის, რომ ვცადო", - ამბობს ფელპსი, ვინც დღეს 100 მეტრზე ბატერფლაის ჰიტებსა და 4x200 მეტრზე თავისუფალით ესტა-ფეტის ფინალში მიიღებს მონაწილეობას.

გუშინ ფელპსის გარდა, სიუზი ო'ნილის სახელობის აუზში (როდ ლეი-ვერის სახელობის საჩოგბურთო არენას დროებით სწორედ სიუზი ო'ნილის სახელი მიენიჭა) სხვებმაც დაამყარეს რეკორდები. საინტერესოა, რომ ყველა შემთხვევაში რეკორდსმენებად ამერიკელი მოცურავეები მოგვევლინენ. 50 მეტრზე გულაღმა სტილში თავისივე რეკორდი გაი მეორა და ოქროს მედალი მოიპოვა **ლეი**ლა ვარიზიმ, 4x200 მეტრზე თავისუფალით ესტაფეტაში კი თავიანთი რეკორდი ამერიკელმა ქალებმა გააუმჯობესეს.

სულ კი გუშინ მედლების ხუთი კომპ-ლექტი გათამაშდა. ზემოთ ნახსენები ამერიკელების გარდა, თავი გამოიჩინეს ავსტრალიელმა ჯესიკა შიპერმა (200 მეტრზე ბატერფლაიში) და იტალიელმა ფილიპო მანინიმ და კანადელმა ბრენტ პაიდენმა, რომლებმაც 100 მეტრზე თა-

ვისუფალში საფინიშე დაფას აბსოლუ-ტურად ერთ დროში ჰკრეს ხელი. 4x200 მეტრზე თავისუფალით ესტაფე-ტა ერთ-ერთი იმ ასპარეზობათაგანი იყო, რომელსაც ყველა მოუთმენლად ელოდა. ამ დისტანციაზე ევროპის შარშანდელ ჩემპიონატზე გერმანიის კვარტეტმა მსოფლიო რეკორდი გააუმჯობესა. მელ-ბურნში კი პირველობისთვის სამმაგი კონკურენცია იყო მოსალოდნელი. გერმანელების გარდა, ფავორიტებად ამერიკისა

და ავსტრალიის გუნდები მიიჩნეოდა. ამერიკელებმა სრულად გაამართლეს მოლოდინი - მათ გერმანელების რეკორდიც გააუმჯობესეს და ოქროს მედლებიც მოიპოვეს, რაშიც დიდი წვლილი შეიტანეს **ნატალი კაფლინმა** და **კეიტი ჰოფმა**, რომლებსაც პარტნიორობა **დანა** ვოლმერმა და ლეისი ნიმაიერმა გაუნიეს. აშშ-ის კვარტეტმა ძველ რეკორდს 0.73 წამი მოაკლო, თავად გერმანელებმა კი ბუდაპეშტში ნაჩვენებ სარეკორდო დროსთან ზუსტად 3 ნამი ნააგეს და მაინც ვერცხლის მედალს დასჯერდნენ. ბრინჯაო მოიპოვეს ფრანგებმა, ავსტრალიელებს კი ხელი მოეცარათ და კვარცხ-

ლბეკზე ასვლაც კი ვერ მოახერხეს. ჩემპიონი ოთხეულიდან განსაკუთრე-ბით კარგად კაფლინმა იასპარეზა, ვინც თავის ჯერზე, ყველა დროის მეორე საუკეთესო შედეგი დააფიქსირა და ფრანგი

ლორ მანოდუს მიერ მელბურნშივე დამყარებულ რეკორდთან წამზე ნაკლები წააგო. სხვათა შორის, ესტაფეტაზე ტრიუმფამდე ორი საათით ადრე, კაფლინმა 100 მეტრზე თავისუფალის ნახევარფინალში ასევე ყველა დროის მეორე საუკეთესო შედეგი აჩვენა.

წარმოდგენა არ მქონდა, რამდენად კარგად მივცურავდი. უბრალოდ, ძალიან მოვინდომე და ვგრძნობდი, რომ წინ ვიყავი. ახლა ას მეტრზე ასპარეზობა მიწევს და ერთი სული მაქვს, როდის მოგვცემენ სტარტს. ამ რპოლისთვის კარგი წინათგ-

რძნობა მაქეს", - განაცხადა კაფლინმა. თუ ამერიკელი ესტაფეტაზე ბოლომდე დაიხარჯა, თავის შესაძლებლობათა მაქსიმუმი ვერ გამოავლინა ავსტრალიელ-თა ლიდერმა **ლიბი ლენტონმა**, ვისაც 100 მეტრზე თავისუფალის წინასწარ ეტაპზე მეორე საუკეთესო შედეგი ჰქონდა. ლენტონს მელბურნში უკვე ორი ოქრო აქვს აღებული, სულ კი შვიდ დისციპლინაში გამოდის, რომელთაგან ერთი (გუშინდელი ესტაფეტა) მედლის გარეშე დაასრულა. ლეილა ვარიზიმ 50 მეტრზე გულაღმა

სტილში მსოფლიოს რეკორდი ჯერ კიდევ ნახევარფინალში დაამყარა და მაშინვე მას ფინალის მთავარი ფავორიტის სტატუსი მიენიჭა. ამერიკელმა ავანსები სრულად გაამართლა და თავისი სარეკორდო შედეგის გამეორებით, ოქროსაც დაეუფლა

"რა თქმა უნდა, ბედნიერი ვარ, მაგრამ უფრო ბედნიერი ვიქნებოდი, ცოტა სწრაფად რომ გამეცურა და კიდევ ერთხელ დამემყარებინა რეკორდი. ვიცოდი, რომ ძალიან ძნელი ფინალი მელოდა. ამიტომ, თავი არ დამიზოგავს", - განაცხადა 21 წლის ნიუ იორკელმა, ვინც 100 მეტრზე გულაღმა სტილში ფინალში გასვლა ვერ შეძლო.

საინტერესო ფინალი ჰქონდათ 200 მეტრზე ბატერფლაის სტილით მოცურავე ქალებს რომელთა შორის ყველაზე სწრაფი ავსტრალიელი ჯესიკა შიპერი იყო. მან სტარტიდანვე შეძლო დაწინაუ-რება და პოლომდე შეინარჩუნა ლიდერობა, თუმცა მთელი გზა მას ახლოს მისდევდნენ ამერიკელი კიმბერლი ვანდენ**პერგი** და პოლონელი ოლიმპიური ჩემპიონი ოტილია იედრჟეიჩაკი.

სხვათა შორის, ორი წლის წინათ, მონრეალში ჩატარებულ მსოფლიო ჩემპიონატზე, ოქროს სწორედ იედრჟეიჩაკი დაეუფლა, თუმცა ბევრის აზრით, პოლონელიცა და შიპერიც ფინიშის დაფას ერთდროულად შეეხო. უფრო მეტიც, ვიდეოჩანაწერმა აჩვენა, რომ დაფას იედრჟეიჩაკი ერთი ხელით შეეხო, რითაც მან ფინიშის ნესი დაარღვია. თუმცა, მაშინ მსაჯებმა

ამ ფაქტზე თვალი დახუჭეს. მას შემდეგ შიპერმა ამ დისტანციაზე. ჯერ მსოფლიოს რეკორდი გააუმჯობესა, ახლა კი პლანეტის ჩემპიონიც გახდა.

დაბოლოს, ორი თანაჩემპიონის შესახებ. ფილიპო მანინი მელბურნში მსოფლიო ჩემპიონის რანგში წარსდგა და ის ჰოლანდიელ პეტერ ვან დენ ჰოოგენბანდთან ერთად, ყველაზე გამორჩეული ფავორიტი იყო.

როგორც მოსალოდნელი იყო, რვა ფინალისტმა ფანტასტიკურ ტემპში გაცურა. თავად განსაჯეთ, ფინიშთან პირველი ადგილი ბოლოსგან ოდენ 0.38 წამმა განასხვავა. ერთადერთ ხელმოცარულად კი ვან დენ ჰოოგენბანდი იყო, ვინც კვლავ ვერ შეძლო მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოპოვება.

რაც შეეხებათ ჩემპიონებს, მათ დანარჩენებსაც აჯობეს და ალბათ, საკუ-თარ თავსაც. 25 წლის იტალიელმა კი გაიმეორა სახელოვანი მოცურავეების, ამე-

რიკელი მეტ პიონდისა და რუსი ალექსანდრ პოპოვის მიღწევა - აქამდე ას მეტრზე თავისუფალში მხოლოდ ამ ორს ჰქონდა მოპოვებული ზედიზედ ორ ჩემპიონატზე ოქროს მედლები.

"ბოლო 15 მეტრზე მე ღმერთი დავინახე. სწორედ მან მომცა იმის ძალა, რომ ფინიშამდე მიმეღნია. საერთოდ, არის ხოლმე მომენტები, როცა გრძნობ, რომ კედელს ასკდები, მეტი აღარ შეგიძლია. სწორედ ასეთი გრძნობა დამეუფლა ფინიშამდე ოცი მეტრით ადრე. ძალა გამომელია, გაჩერებას ვაპირებდი, მაგრამ შემდეგ საკუთარ თავს ვუთხარი - ამდენი გიშრომია და რაღა ახლა უნდა დანებდე-მეთქი და სუნთქვაშეკრულმა, რაც შემეძლო, მოვუსვი", დაჯილდოების ცერემონიალის შემდეგ განაცხადა ჰაიდენმა, ვინც **ვიქტორ დევი**სის 1986 წლის ტრიუმფის შემდეგ პირველი კანადელია, ცურვაში მსოფლიოს ჩემპიონი რომ გახდა

სხვათა შორის, დისტანციის პირველი ნახევრის შემდეგ, მანინის მეშვიდე ადგილი ეკავა, ჰაიდენი კი მეხუთე იყო. მაგრამ ბოლო 50 მეტრი ორივემ უსწრაფესად გაცურა, მეტოქეებმა კი მათი ტემპის აყოლა ვეღარ შეძლეს.

მანინიმ თავისი გამარჯვება ბაბუის ხსოვნას მიუძღვნა, ვინც, თურმე, ავსტრალიაში გამგზავრებამდე რამდენიმე დღით ადრე გარდაცვლია.

და ისევ ვან დენ ჰოოგენბანდის შესახებ. მას "მფრინავი ჰოლანდიელის" მეტსახელითაც იცნობს ცურვის სამყარო ჰოოგის ასი მეტრი წინა ორ ოლიმპიადაზე აქვს მოგებული და ამავე დისტანციაზე მსოფლიოს რეკორდსმენიცაა, მაგრამ 29 წლის ჰოლანდიელს ერთხელაც (სულ ოთხზე იასპარეზა) არ მოუპოვებია მსოფლიო ჩემპიონის ტიტული. და, როგორც ჩანს, ვეღარც მოიპოვეს, რადგან არაერთხელ უთქვამს, რომ პეკინის ოლიმპიადის შემდეგ სპორტიდან წასვლას აპირებს..

მერა<u>ბ</u>ლორთძიფანიძე

ᲛᲔᲚᲑᲣᲠᲜᲘ (ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐ) 所内型での3つかりしょうらう

200 ᲛᲔᲢᲠᲘ ᲘᲜᲓᲘᲕᲘᲓᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲨᲔᲠᲔᲣᲚᲘ ᲡᲢᲘᲚᲘᲗ

1. მაიკლ ფელპსი (აშშ) 1:54.98 (მსოფ-იო რეკორდი); 2. რაიან ლოხტე (აშშ) 1:56.19; 3. ლასლო ჩეპი (უნგრეთი) 1:56.92...

100 ᲛᲔᲢᲠᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘᲗ

1. ფილიპო მანინი (იტალია) 48.43; 1. ბრენტ ჰაიდენი (კანადა) 48.43; 3. იმონ სა-ლივანი (ავსტრალია) 48.47; 4. სეზარ სიელო ფილიო (ბრაზილია) 48.51; 5. ჯეისონ ლეჟაკი (აშშ) 48.52; 6. პეტერ ვან დენ პოოგენბან-დი (პოლანდია) 48.63; 7. როლანდ შიომანი (სამხ.აფრიკა) 48.72; 8. რიკ ნეეთლინგი (სამხ.აფრიკა) 48.81...

สอครองก

200 ᲛᲔᲢᲠᲘ ᲒᲐᲢᲔᲠᲤᲚᲐᲘᲗ


 ჯესიკა შიპერი (ავსტრალია) 2:06.39; 2.
 კიმპერლი ვანდენბერგი (აშშ) 2:06.71; 3. ოტილია იედრჟეიჩაკი (პოლონეთი) 2:06.90...

50 ᲛᲔᲢᲠᲘ ᲒᲣᲚᲐᲦᲛᲐ

1. ლეილა ვარიზი (აშშ) 28.16 (მსოფლიო რეკორდის გამეორება); 2. ალიაკსანდრა ჰერასიმენია (ბელარუსი) 28.46; 3. ტაილია ციმერი (ავსტრალია) 28.50...

> 4X200 30& നം ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘᲗ ᲔᲡᲢᲐᲤᲔᲢᲐ

1. აშშ (ნატალი კაფლინი, ლეისი ნიმაიე-რი, დანა ვოლმერი და კეიტი ჰოფი) 7:50.09 (მსოფლიო რეკორდი); 2. გერმანია 7:53.82; 3. საფრანგეთი 7:55.96...



მანინი (მარცხნივ) და პაიდენი ერთმანეთს გამარჯვებას ულოცავენ

#### TV LEMACA

30 8ᲐᲠᲒᲘ. ᲞᲐᲠᲐᲡᲥᲔᲕᲘ MTB-account (2004)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.

12:15 უიქენდის მატჩების ანონსი. 12:25 ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. უკრაინა-ლიტვა. 14:10 ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ოტალია-შოტლანდია

16:10 ტოქ-ძოუ - 2:1. 16:55 ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ანდორა-ინგლისი. 18:40 თავისუფალი დარტცმა. საინფორმაციო პროგრამა. 19:00 FUTBOL MUNDIAL, საერთაშორისო ტელეჟურნალი.

.პასუხო მატჩი. მილანი-სელტიკი. 22:10 თავისუფალი დარტკმა. საინფორმაციო პროგრამა. 22:25 ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ისრაელი-ესტონეთი.

#### SPORT ( (346AAAA)

08:10 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. მი-

08:57 სპორტის ისტორია.

09:00 სპორტინფორმი. 09:15 ოლიმპიზმი. პეკინი 2008. 09:45 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.

10:10 სპორტინფორმი. 10:20 ფეხბურთი, ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ირ-

ალოვაკეთი. "კეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი.

ლახდია-სლოვაკეთი. 12.05 პოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. აილენდერსი-ნიუ ჯერსი. 13:50 სპორტდოსიე. 15:15 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. ჯგუფუ-რი ტურნირი. ინტერნასიონალი (ბრაზილია)-ველეს რი ტურხირი. ინტერხანიონალი (ბრა ხილია)-ველეს სარსფილდი (არგენტინა). 16:00 სპორტის საბეები. 16:30 აუგლისპორტი, A1 გრან-პრი. მიმოხილვა. 17:30 ფებპურთი, ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. სლო-ვენია-პოლანდია. 19:30 სპორტინფორმი. 19:45 პოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. კო-ლამბოსი-ანაჰაიმი.

1945 მოკეგი NATL-ის აფგუნა ლამბუსი-ანაპაიმი. 21:30 სპორტის ისტორია. 21:40 სპორტინფორმი. 22:05 პოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოზილვა. 22:30 რეტრო-ფეხბურთი. ინგლისის თასი. 1979 წე-ლი. ფინალი. არსენალი-მანჩესტერ იუნ. 00:15 სპორტის სახუორია. 00:25 სპორტინფორმი. 00:35 კრივი. რინგ-საიდი. 01:42 სპორტის სახეები. 01:42 სპორტის სახეები.

02:07 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. მი-03:07 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი.

03:30 პოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. დეტროიტი-დალასი (LIVE). 06:05 აეტოსპორტი. A1 გრან-პრი. მიმოხილეა.

#### EUROSPORT | | | | | |

09:30 ცურვა. მსოფლილჩებმოინატი, მელბურში საქ

10:30 სნუკერი. ჩინეთის ლია პირველობა. პეკინი (LIVE). 12:00 ცურვა. მსოფლიო ჩემპიონატი. მელბურნი. ავ

სტრალია (LIVE). 1400 სნუკერი ჩინეთის ღია პირველობა, პეკინი (LIVE). 16:30 მაგიდის ჩოგბურთი. ბელგრადი, სერბეთი (LIVE).

18:00 ცურვა. მსოფლიო ჩემპიონატი. მელბურნი

ავსტრალია. 19:00 ველოსპორტი (ტრეკი). მსოფლიო ჩემპიონატი. მალიორკა. ესპანეთი (LIVE). 21:30 პოკერი. ევროპის ტური. ლონდონი. ინგლისი. 22:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. პორტუგალია. 23:00 ექსტრემალური სპორტი. 01:30 ცურვა. მსოფლიო ჩემპიონატი. მელბურნი. ავ-

03:00 ცურვა, მსოფლიო ჩემპიონატი, მელბურნი, ავ-სტრალია (LIVE).

#### EUROSPORT-2

07:30 ახალი ამბები. 10:00 ფეხბურთი. ევრო 2008. 11:00 ლაკროსი. რეგულარული ჩემპიონატი. პორტ-

12:00 ახალი ამბები. 14:00 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები.

14:30 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. პო-

ლონეთი-სომხეთი. 15:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. სერ-ბეთი-პორტუგალია. 15:30 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. სლო-

გეხია-აოლანდია. 1-600 ტრილი. მსოფლიო ჩემპიონატი. მადრიდა ესპანეთი. 17:00 მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი. 18:00 ახალი ამბები.

19:00 მულტისპორტი 19:30 ახალი ამბები.

20:00 მულტისპორტი. 21:00 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები.

ფლეი ოფი. **21:30** ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. სერ-

ბეთი-პორტუგალია. 22:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. პო 22:30 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. სლო-

ვენია-პოლანდია. 23:05 ახალი ამბები. 23:15 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. კილი (გერმანია)-პორტ-ლენდ სან ანტონიო (ესპანეთი). 00:30 ახალი ამბები.

#### Ustralia to Delocation

ᲥᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ	
กลอตกอ	
733aueu-r77a79u	97:81
33/43%3-8/13/23	83:74
วกสองนก-สวรหา วอกตาง	82:79
<b>ሮ'</b> ጣሐლን6ሮጣ-ሐጣმን	M.8. 64:67
9U272U-92479U	96:92
GR9977PTU-9769.0	93:74
ลพองอลลงองสท-ป สายงอกท	74:73
6J3MCN-CN3MA6M	92:83
nclmc	
ศูสินสิติท	
333683ARN-8383RT3A8N (8)	1:3

27 97401-8077 5:2 สสอกขอสกอ 9346U-673UP 4:0 a3393010 3240269261-20684306970 2:6 3371-amem 4:2 NONCGEMA ATP. aanaan ლუპიჩიჩი-ჩელა 6:3, 7:5

WTA. aanaan

6:2, 6:3

### DIE

NHL. ᲠᲔᲒᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

#### በJሣር% ፎሀ9-ևፌርፍር 0:0, 1:1, 3:2

გოლები: 1:0 ჰეხტი-18 (პომინვილი-31, კალინინი-20), 1:1 გომესი-13 (ელიაში-46, რაფალსკი-43), 2:1 პეილი-3 (მეირი-9, ტ. ნუმინე-ნი-25), 3:1 ჰეხტი-19 (ბრიერი-59, კალინინი-21), 3:2 მარტინი-3 (პარიზე-28, ზაიაცი-24), 4:2 კოტალიკი-15 (ზუბრუსი-35, დრუ 4:3 პარიზე-31 (ზაიაცი-25, გომესი-47)

**ᲤᲚᲝᲠᲘᲓᲐ-Ა**ᲒᲚᲐᲜᲒᲐ 1:1, 0:1, 1:0, 0:0

გოლები: 1:0 ბ. ალენი-4 (გრეტონი-21, შტუმპელი-33), 1:1 ვიაჩ. კოზლოვი-24 (პოლი-კი-17, ექსელბი-6), 1:2 ვიაჩ. კოზლოვი-25 (მე-ლანბი-23, მარიან ჰოსა-53), 2:2 შტუმპელი-21 (ო. იოკინენი-46, კოლნიკი-13).

**ბულიტები გაიტანეს**: ჰორტონი (ფლო-რიდა), შტუმპელი (ფლორიდა).

#### หมวงรณ-วยวววบอบ 1:0, 0:2; 0:1

ანენი-ჩაკვეტაძე

გოლები: 1:0 ვრბატა-13 (ბარკერი-7, ჰა-მილტონი-19), 1:1 პენერი-27 (პერი-25, ჰასკინსი-3), 1:2 პენერი-28 (პერი-26, გეტცლაფი-29), 1:3 პაროსი-1 (მეი-4, დიპენტა-6)

#### ଅନ୍ଦ୍ରବ୍ରଦ୍ୟପଠ- ୪୬୯ ମନ୍ଦ୍ର 5:1

1:0, 1:1, 3:0

გოლები: 1:0 ჯ. კარტერი-12 (ნუბლი-22, პიტკანენი-36), 2:0 დ. ჰეტჩერი-3 (ს. რუჟიჩკა-9), 2:1 რეი უიტნი-30 (ე. სტაალი-37, ბრინდამო-რი-53), 3:1 ნუბლი-23 (განიე-22, ჯ. კარტერი-23), 4:1 ქობურნი-2 (სანდერსონი-18, დ. ჰეტჩერი-5), 5:1 ჯ. კარტერი-13 (განიე-23, ნუბლი-23)

กตลเรศทล

#### Jajunu adadjadan 5 angnimen gilku

სულ მალე, გაყიდვაში გამოვა ლეგენდარული ამერიკელი ჩოგბურთელის ანდრე აგასის მემუარები. როგორც ამერიკული პრესა იტყობინება, აგასი ჰონორარის სახით, დაახლოებით 5 მილიონ დოლარს მიიღებს. ანდრეს წიგნის გამოსაცემად, ამერიკულ საგამომცემლო კომპანიებს შორის ტენდერიც კი ჩატარდა.


"5 მილიონი ის თანხაა, რომელსაც ჩვეულებრივ, ამერიკის ყოფილი პრეზიდენტები იღებენ საკუთარი მემუარების გამოცემის შემდეგ", - განაცხადა **ალფ**რედ კნოფმა, რომლის კომპანიამაც მიიღო აგასის წიგნის დაბეჭდვის უფლება.

#### **ᲩᲘᲜᲔᲚᲔᲑᲘ ᲐᲒᲕᲘᲐᲜᲔᲑᲔᲜ**

ჩენელე მშენებლები ვერ ასწრებენ პეკინის ოლიმპიური თამაშების მთავარი სტადიონის დათქმულ ვადებში დასრულებას. ეს ინფორმაცია "პეკინი 2008"-ის საორგანიზაციო კომიტეტმა გაავრცელა.

ოფიციალურ განცხადებაში ნერია, რომ ყველა ოლიმპიური ობიექტის დასრულება 2007 ნელს იყო დაგეგმილი, მაგრამ ოლიმპიური სტადიონი, რომელსაც "ჩიტის ბუდეს" უნოდებენ, მხოლოდ 2008 წლის მარტში მიიღებს დასრულებულ სახეს.

ვადების გადაწევის მიზეზი არ დასახელებულა.



#### 101:87 **ᲨᲐ**ᲠᲚᲝᲒᲘ-ᲐᲒᲚᲐᲜᲒᲐ

25:20, 24:24, 26:21, 26:22

შარლოტი: ჯ. უოლასი (31 ქ. 9 მ. 4 ჩ. 4 დ. 3 პ), კე-როლი (19 ქ), ერმანი (13 ქ), ფელტონი (10 ქ. 10 პ. 7 მ), ოკაფორი (9 ქ. 7 მ. 3 დ). ატლანტა: ჯომ სმიტი (25 ქ. 15 მ. 6 დ. 4 პ), მერ-ვინ უოლამსი (12 ქ. 10 მ), ს. სტაუდმაიერი (12 ქ. 3 ჩ), ლ. რაიტი (10 ქ. 5 მ).

#### &MWWe9u-อวบวอบ

31:15, 27:25, 16:16, 22:27 ტორონტო:ე. პარკერი (20ქ.5მ), დიქსინი (18ქ.7მ), ტი. ჯეი. ფორდი (14ქ.9 3. 2 8), ბოში (13ქ. 18 8), პიტერ-სინი (11 ქ), ნესტეროვიჩი (10 ქ.), პამგურიზი (6 ქ. 10 მ). მაიაში: შ. ონილი (17ქ.6 მ.3 3), ე. ჯოუნსი (12ქ.4 პ. 2 8), ქვინი (11 ქ), ა. უოკერი (10 ქ.5 მ), პოუსი (8 ქ. 10 მ).

#### **3**330638-90ლ3ლ3ლ9 111:108

22:25, 30:24, 31:24, 28:35

**ვაშინგტონი**: სტივენსონი (28 ქ. 5 მ), კ. ბატლერი (21 ქ. 6 მ. 4 პ. 2 ჩ), არენასი (20 ქ), ჯეიმისონი (14 ქ. 11 მ. 4 პ), ა. დენიელსი (10 ქ. 6 პ. 2 ჩ).

. 4.0), ა. დეიიელიი (10 ქ. 6.3. 2.6). ფი**ლადელფი**ა: იგუოდალა (26 ქ. 15 პ. 7 მ), დალემბერი (24 ქ. 9 მ. 2 დ), ა. მილერი (16 ქ. 7 პ. 5 მ), კორვერი (14 ქ.) ს. პანტერი (11 ქ. 9 მ), კარნი (11 ქ. 5 მ).

#### **ძლ∩აერს∩−ა∩უს**ტონი 87:92

**29:21, 20:21, 12:28, 26:22** კლ**იპერსი:** ბრენდი (24 ქ. 6 მ. 5 დ. 4 პ), პარტი (16 ქ. 6 მ. 5 პ), ტიმ ტომასი (16 ქ. 6 მ. 4 პ), მაგეტი (13 ქ. 7 პ. 6 მ), მობლი (12 ქ). **პიუსტონი:** მაკგრეიდი (27 ქ. 8 პ. 5 მ), მინი (24 ქ. 15 მ. 3 პ), ალსტონი (14 ქ. 9 პ. 3 ჩ), ჩ. პეიესი (10 ქ. 9 მ).

#### บวดว-ยบยวคนดว 108:102

27:20, 23:34, 24:18, 34:30

27:20, 25:34, 24:16, 34:30 იუტა: ბუზერი (25 ქ. 11 8. 3 3. 2 ჩ), ოქური (23 ქ. 12 8), დ. უილიამსი (22 ქ. 14 3), კირილენკო (13 ქ. 8 მ. 5 დ. 3 ჩ), ფიშერი (11 ქ.) მინესოტა: გარნეტი (25 ქ. 8 მ. 3 დ. 2 ჩ), რ. დევისი (18 ქ. 8 3. 4 მ), ფოიე (17 ქ. 4 მ. 4 პ), კ. სმიტი (16 ქ), მ. ბლაუნტი (12 ქ. 7 მ).

#### **ᲓᲔᲜᲕᲔᲠᲘ-ᲡᲘᲔ**&ᲚᲘ 97:100

35:32, 19:27, 22:22, 21:19

დენვერი: ენტონი (28 ქ. 2 ჩ), ნენე (17 ქ. 13 მ. 3 ჩ. 2 დ), აივერსონი (14 ქ. 8 პ), კლეოზა (11 ქ), კემბი (9 ქ. 7 მ). სიეტლი: რ. ლიუისი (33 ქ. 10 მ), კოლისონი (16 ქ. 13 მ), უილკინსი (12 ქ. 5 პ. 2 ჩ), უილკოქსი (12 ქ), უოტსონი (9 ქ. 10 პ).

#### ᲓᲐᲚᲐᲡᲘ-ᲛᲘᲚᲣᲝᲙᲘ 105:103

32:28, 22:34, 27:22, 24:19

დალახი: ტერი (27 ქ. 5 մ), სტექპაუზი (21 ქ. 3 մ), ნოვიეკი (17 ქ. 5 მ), ჯომ ჰოვარდი (17 ქ. 9 მ), დ. პარისი (13 ქ. 5 პ), დემპიე (4 ქ. 10 მ). მილუოკი: რედი (34 ქ. 5 მ), მო უილიამსი (17 ქ. 8 პ. 6 მ. 3 ჩ), პატერსონი (16 ქ. 7 მ), ილიასოვა (15 ქ), ჩ.

#### 6NO NMAJN-J©N3©06@N 97:93

24:26, 27:20, 19:23, 27:24

ნიუ იორკი: კარი (25 ქ. 2 ჩ), მარბერი (16 ქ. 8 პ. 6 მ), ფრაი (16 ქ. 7 მ), ნ. რობინსონი (12 ქ. 7 მ), კლივლენდი: ლ. ჯეიმსი (24 ქ. 7 პ. 6 მ. 2 ჩ), პაელ-ოვიჩი (20 ქ), ილგაუსკასი (18 ქ. 5 მ. 5 პ).

#### 6ND %ンみしハーN6やN363 118:94

32:21, 28:22, 31:23, 28:27

ა ა : 21, 20:224, 31:23, 20:27 ნიუ ჯერსი: ბუნი (22 ქ. 10 მ), ნახბარი (20 ქ. 3 ჩ), რ. ჯეფერსინი (14 ქ. 6 ა), ვ. კარტერი (13 ქ. 8 ა. 2 ჩ), კიდი (12 ქ. 8 მ. 6 ა), მური (12 ქ), მარ. უილიამსი (4 ქ. 11 ა). ინდიანა: ს. უილიამსი (19 ქ), მ. დანლივი-უმცროსი (14 ქ), მერფი (13 ქ. 14 მ), დ. არმსტრონგი (11 ქ. 2 ჩ), დ. გრეინჯერი (11 ქ), ტინსლი (10 ქ. 9 ა. 5 მ).

#### ᲐᲝᲡᲒᲝᲜᲘ-ᲝᲠᲚᲐᲜᲓᲝ 105:96 (2 M)

24:20, 26:20, 16:23, 17:20, 7:7, 15:6 ბოსტონი: პირსი (32 ქ. 7 მ. 5 პ), ელ ჯეფერსონი (23 ქ. 13 მ), დელ. უესტი (17 ქ. 2 ჩ), პერკინსი (11 ქ. 12 8. 4 დ). ორლანდო: გ. პილი (20 ქ), თურქოდლუ (20 ქ. 9 მ), ბეტი (13 ქ. 11 მ), დ. პოვარდი (12 ქ. 14 მ. 6 დ. 2 ჩ)

#### L. J6&M6NM-6ND MASSJ6N 92:88

18:18, 28:34, 20:23, 26:13

სან ანტონიო: დანკანი (31 ქ. 5 მ. 3 ჰ), ბ. ბერი (15 ქ. 4 მ), ფინლი (13 ქ. 4 ჰ), ჯინობილი (12 ქ. 7 3. 5 მ). ნიუ ორლეანი: პოლი (20 ქ. 9 პ. 2 ჩ), დევ. უესტი (16 ქ. 7 მ. 2 დ), პარგო (13 ქ. 6 მ. 2 ჩ), რ. ბატლერი (12 ქ. 2 დ), დევინ ბრაუნი (11 ქ.) ჩენდლერი (10 ქ. 12 მ).

วสอบกรอสอบก							
THE REPORT OF THE PARTY OF THE	a	а	6	%			
1. <b>空</b> 0&6M0&0*	66	43	23	65.2			
2. <del>3四</del> 03四06四0	67	41	26	61.2			
3. 35an6a@m60*	65	36	29	55.4			
4. <u>@</u> (1)6/16/6/16	67	36	31	53.7			
5. R0358M	69	39	30	56.5			
6, 850580	66	36	30	54.5			
7. 60°0 30°0660	68	31	37	45.6			
8. ମନଙ୍କଧଫେମ -	68	31	37	45.6			
9. <b>೧</b> 6ᲓᲘᲐᲜᲐ	66	30	36	45.5			
10. 60 <b>0 00630</b>	67	30	37	44.8			
11. ატლანტა	-68	27	41	39.7			
12. ᲤᲘᲚᲐᲓᲔᲚᲤᲘᲐ	68	26	42	38.2			
13. anლუოკი	66	25	41	37.9			
14. <b>3</b> 5657060 ·	68	25	43	36.8			
15. amuem60	67	20	47	29.9			

एअ	חוטנ			
<b>建筑在1000000</b>	a	а	6	%
1. x-空ひლひしり	66	55	11	83.3
2. y-9060db0	67	51	16	76.1
3. X-L-56 56@M60M	66	46	20	69.7
4. მუტა*	67	44	23	65.7
5. 30°060'60	68	- 43	25	63.2
6. <b>P2063060</b>	65	34	31	52.3
<ol> <li>でついころからり</li> </ol>	67	35	32	52.2
8, 8, be00en	69	32	37	46.4
9. <del>3</del> ლവദാക്യവ	67	31	36	46.3
10. 60°0 MACCOS60	68	31	37	45.6
11. საპრამენტო	67	29	38	43.3
12. 3060bM&\	66	28	38	42.4
13. 3MM&ლ06空0	67	27	40	40.3
14. LOD&CTO	66	26	40	39.4
15. 3033060	68	17	51	25.0

შენიშვნა: \* - დივიზიონის ლიდერი; x - გაინაღდა ფლეი ოფის საგზური; y - დივიზიონის ჩემპიონი

# JACE 3383632JC

ერო36ულ საკალათბურთო ასოციაციაში დიდი ხანია არსებობს პრიზი, რომელიც საუკეთესო მენეჯერს გადაეცემა. დღეს ჩვენ წარმოგიდგენთ კალათბურთელებს, რომლებიც იმ აზრისკენ გვიპიძგებენ, რომ ანალოგიური პრიზი ცუდი მენეჯერისთვისაც უნდა დაწესდეს. შეცდომები სხვადასხვაგვარი ხასიათისა არსებობს. ხანდახან,

პერსპექტიულ მოთამაშეებს ტრავმები უფუჭებენ კარიერას. ხდება ისე, რომ ისინი საერთო ენას ვერ ნახულობენ მწვრთნელებთან, რომლებიც ვერ იყენებენ მოთამაშეთა საუკეთესო თვისებებს. ხანდახან, ფსიქოლოგები დროულად ვერ ხვდებიან, რომ ბრწყინვალედ ჩატარებული სეზონი, მხოლოდ საკუთარი ფასის ამაღლების მცდელობაა. ასეა თუ ისე, შეცდომები მრავლადაა. საკმარისია იმის თქმა, რომ ლიგის 20 ყველაზე მაღალანაზღაურებადი კალათბურთელებიდან, ხუთი უკვე აღარ თამაშობენ თავიანთ კლუბებში. დოლარების ქარისთვის გატანება მრავალი ხერხით შეიძლება. ჩვენ განებივრებული მოთამაშეები სამ კატეგორიად დავყავით.

#### ᲛᲣᲥᲗᲐᲛ**Ქ**ᲐᲛᲔᲚᲔᲑᲘ

ᲐᲓᲝᲜᲐᲚ ᲤᲝᲘᲚᲘ (ᲒᲝᲚᲓᲔᲜ ᲡᲒᲔᲘᲑᲘ)

#### 8.1 856. 2009

"მეომრები" ისე გულუხვად არიგებდ-ნენ დიდ ჰონორარებს, რომ **ფოილი** საჭირო დროს, საჭირო ადგილას აღმოჩნდა. მას არასოდეს უჩვენებია განსაკუთრებული კალათბურთი, სამაგიეროდ, ხელფასი აქვს განსაკუთრებული და სათადარიგოთა სკამიდან მშვიდად უყურებს ახალგაზრდა და იაფი ლატვიელის, **ანდრის ბიედ-რინსის** პროგრესს. 2.3 ქულა, 2.5 მოხსნა და 1.1 დაფარება - ასეთია "ოქროს შტატის" 8 მილიონად ღირებული ნარმომადგენლის "ოქროს" მაჩვენებლები.

#### ന്ദ്രപ്പെ ദേദാ വഹാദേഷ നേഷ

#### 15.1 85. 2009

ერთ მატჩში 9.7 ქულასა და 4.0 შედეგიან პასს რომ აგროვებ და ამასთან, ასეთ ხელფასს იღებ, ცოტათი სინდისი უნდა განუხებდეს. მაგრამ, "ნიქსში" ეს გრძნო-ბა კარგა ხანია ატროფირებულია. მცველი, რომელიც ცოტა ხნის წინათ სტაბილურად ხვდებოდა "ოლ სტარის" შემადგენლობაში, დღეს რეზერვისტის როლით კმაყოფილდება. არადა, ბებერი სულაც არ არის - ახლახან შეუსრულდა 30 წელი. თუმცა, ბოლო დროს ფრენსისმა მოუმაგა, რადგან ტრავმირებულ თანაამპლუელ ჯამალ კროუფორდს ცვლის.

#### OBGOLGO DAGLAGE BOCGSOC

#### 7.8 256. 2009

ლიგის მთავარი იმედგაცრუება და დაცინვის ობიექტი სწორედ ანტუან უოკერია. 8.3 ქულა, 4.3 მოხსნა, თამაშიდან ტყორცნების 41, სამქულიანების 27 და საჯარიმოების 40-პროცენტიანი რეალიზაცია - ეს მაჩვენებლები საშუალო დონის დებიუტანტს უფრო შეეფერება, ვიდრე ფორვარდს, რომელიც ოდესღაც, ყოველ მატჩში თითქმის სამმაგ-დუბლამდე ადიოდა. უოკერი რაილი-მენეჯერის კიდევ ერთი შეცდომაა, რის გამოც ჩემპიონები კიდევ ორი წელიწადი ზარალში იქნებიან.

#### **ᲠᲐᲔᲨ ᲚᲐᲖᲠᲔᲜᲪᲘ (ᲔᲝᲠᲑᲚᲔᲜᲓᲘ)**

#### 10.9 8약6. 2007

რთელის აგენტს მილოცვები ეკუთვნის - 2002 ნელს, **რაეფის** კარიერის საუკეთესო სეზონში, მან "დალასისგან" თითქმის მაქსიმალური კონტრაქტი მიიღო. ნლეულს, რაეფი, ალბათ, გამოიყენებს კონტრაქტის გახანგრძლივების უფლებას და ორი წლით გააგრძელებს ხელ-შეკრულებას, რითაც 24 მილიონს გაინალდებს. რის სანაცვლოდ? გასულ სეზონში ამ ცენტრის სტატისტიკამ 7.8 ქულა და 5.0 მოხსნა შეადგინა, ხოლო წელს, "ბოსტონიდან" წასვლის შემდეგ, ის მატჩში 9 წუთზე ნაკლებს თამაშობდა და 1.6 ქულას აგროვებდა. ბოლოს კი, ტრავმების მკურნალობა გადაწყვიტა.

#### &3PT #3&55000 (\$PTP80)

#### 11.7 856. 2008

ერთ დროს, დაფარებებში ლიგის საუკეთესო სპეციალისტი "სელტიქსმა" შეიძინა (ლაფრენცის ნაცვლად, **რეტლიფი** და ტელფეირი მიიღო), რათა ახალგაზრდული შეტევითი ხაზი გაეძლიერებინა. მაგრამ ტეომ რამდენიმე შეხვედრაში მოკრძალებულად ითამაშა და ზურგის ტრავმის გამო, სეზონის ბოლომდე გამოეთიშა დიდ კალათბურთს. თუმცა, ჯანმრთელი რეტლიფიც არ ღირს 11 მილიონი, რადგან შედეგიანობის მხრივ, ორნიშნა მაჩვენებელი მას 2001 წლის შემდეგ არ ჰქონია, ხოლო მოხსნების მხრივ, მთლიანად კარიერაში არ გასცდენია 10 საშუალო მოხსნას.

ამ სიაში შემდეგი კალათბურთელების მოხსენიებაც შეიძლება: **მ. როუზი** (ნიუ იორკი, 6.6 მლნ. 2009), **ჯერ. ჯეიმსი** (ნიუ იორკი, 5.4 მლნ. 2010), **ო. კროშირი** (დალასი, 7.3 მლნ. 2007), **ჯ. მაგლოირი** (პორტლენდი, 8.3 მლნ. 2007), კურტ ტომასი (ფინიქსი, 7.4 მლნ. 2008).

#### 85890279020

ጠራስጣስ ሮበብን በፊሮጣሉ ብርምረፉ

#### 16.9 8약6. 2007

როუზი, ბურთზე დახარბებული თავდამსხმელებით დაკომპლექტებულ "ნიუ იორკში" არ გამოადგათ. კლუბიდან გათა-ვისუფლებული ჯალენი "ფინიქსში" გადა-ვიდა, სადაც კომფორტულად მოეწყო სა თადარიგოთა სკამზე და საჩემპიონო ბეჭედს ელოდება.

#### JANU 3383AN (UNCACACUNA)

#### 17.6 856. 2008

ცუდი ჯანმრთელობის მომიზეზებით, "სიქსერზის" პოსპიტალში იმალებოდა, რადგან არ სურდა ამ გუნდის რიგებში თამაში. გათავისუფლების შემდეგ, მშობლიურ დეტროიტში აღმოჩნდა, სადაც ამტკიცებს, რომ ჯერ კიდევ შეუძლია სარგებლობის მოტანა. 13.1 ქულა და 7.3 მოხსნა - სუპერსტატისტიკა არ არის, მაგრამ "პისტონზისთვის" არც ისე ცუდია. განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ **სი-უები,** ფაქტობრივად, "ფილადელფიას" ფულზე მუშაობს.

#### 850794 808450 (674570)

#### 17.3 856. 2008

მომავალი წლის ზაფხულამდე, "დალასის" ყველაზე მაღალანაზღაურებად კალათბურთელად დარჩება, თანაც "სან ანტონიოს" ფორმით ითამაშებს. თუმცა, მისი პონორარები არ შედის "მავერიქსის" ჯამურ სახელფასო ფონდში, ვინაიდან მაიკლი 2005 წელს გაუშვეს "დალასიდან" ახალი კოლექტიური ხელშეკრულების გაფორმებამდე.

#### OPIN XMEEN (BOBONEN)

#### 15.1 8약6. 2007

ედიც "მემფისის" ყველაზე ძვირფას ლათბურთელად რჩება, თუმცა "მაიამის" რიგებში თამაშობს. ის უბრალოდ გაუშვეს - **ჯერი უესტმა** სერიოზულად განიზრახა გუნდის გადახალისება. ახლა, ტრავმირებული **დუეინ უეიდის** არყოფნაში, ჯონსი ამტკიცებს, რომ ჯერ კიდევ შეუძლია 10-20 ქულის დაგროვება.

#### MEANN COOL NAMES OF ANAME

#### 9.8 356. 2007

ამ მძიმე ფორვარდის კარიერა უდიდესი სისწრაფით დაეშვა უფსკრულისკენ. "ნიქ-სიდან" გაგდებულმა, "საკრამენტოს" რიგებში ვერ მოიკიდა ფეხი, თუმცა, იქ ვეტერანის მინიმალური ხელფასის სანაცვლოდ გამოდიოდა. ახლა, თავისუფალი აგენტია.

ამ სიაში მოხსენიების ღირსნი არიან: დ. ანდერსონი (პორტლენდი, 9.7 მლნ. 2007) - თამაშობს "შარლოტში", ა. მაკკი (ფილადელფია, 6.5 მლნ. 2008) - თამაშობს "ლეიკერსში", ა. მოურნინგი (ტორონტო, 4.2 მლნ. 2007) - თამაშობს "მაიამიში".



ადონალ ფოილი

#### წასულეგი

ᲐᲚᲐᲜ ᲞᲘᲔᲡᲒᲝᲜᲘ (ᲜᲘᲔ ᲘᲝᲠᲙᲘ)

#### 20.7 8약6. 2007

"ნიქსის" მეპატრონე **ჯეიმს დოლანი** იმდენად იყო შეყვარებული ამ ინტელიგენტ სნაიპერზე, რომ ფინანსებზე დიდად არ დაფიქრებულა, როცა 2001 წელს, მო-მავალი 6-წლიანი სამსახურის სანაცვლოდ, კალათბურთელს 100 მილიონი დო-ლარი გამოუყო. ალანმა ერთი-ორი კარგი სეზონი ჩაატარა, მაგრამ სულ უფრო ხშირად აკრიტიკებდნენ სუსტი ხასიათის გამო. 2005 წლის ოქტომბერში ტრავმის გამო კარიერა დაასრულა.

#### &&3036 &&3680 (ECONJOALO)

#### 11.5 856. 2007 2000 წელს, პატ რაილიმ ძალიან გააკ-

ვირვა ამერიკა, როცა ფორვარდს, რომელიც სეზონში 7.5 ქულასა და 5.5 მოხსნას აკეთებდა, 7 წელიწადში 86 მილიონი დოლარი დაპირდა. გრანტი კარგ მცველად და მოხსნების სპეციალისტად ითვლებოდა და რაილის ეგონა, რომ მისი დახმარე-ბით, "მაიამის" საჩემპიონო გუნდად აქცევდა. ბრაიანმა განსაკუთრებული ვერაფერი აჩვენა და იმ გაცვლის წყალობით, რომელშიც შაკილ ო'ნილიც ფიგური-რებდა, "ლეიკერსში" აღმოჩნდა. იქიდანაც გაუშვეს, შემდეგ "ფინიქსში" გამოჩნდა, ამ სეზონის დასაწყისში კი, "ბოსტონ-ში" გადავიდა, სადაც კარიერის დასრულება გადაწყვიტა.

#### २८७३८ १५७३८७५६० (थान्य्यव्यवस्थाः)

#### 10.5 856. 2007

უნივერსალური ფორვარდი, რომელიც ასი პროცენტით ამართლებდა მასზე გაცემულ ავანსებს. 2003-04 წლების სეზონში მისი შედეგიანობა 20.8 ქულას შეადგენდა, მაგრამ ოპერაცია გაიკეთა და კალათბურთში დაბრუნება ვეღარ შეძლო.

#### COLAMO COD DAMACPEC AMPRICE

#### 8.5 856. 2007

2005 წელს ის "ნიქსიდან" გაუშვეს და ორი წელინადი "მაიამიში" გაატარა, სადაც რეზერვისტად იყო და ჩემპიონიც გახდა. ამ სეზონამდე ის 7.8 საშუალო ქულით მოვიდა, მაგრამ 34 წლის მცველი აღარავის დასჭირდა.

#### %Me7017e 93e634U (Ue6U7e7)

7.8 მᲚნ. 2007 თავის დროზე, ამ გამხდარ ბიჭში "პეისერსმა" დიდი ნიჭი დაინახა და 1999 წელს, მისი აყვანის სანაცვლოდ ანტონიო დევისი დათმო. მაგრამ ჯონათანი დიდ იმედგაცრუებად იქცა - საშუალო დონის მატჩებს მუდმივ ტრავმებს უნაცვლებდა. ერთი წლის წინათ, ის დაიღალა ქრონიკულად ავადმყოფ მუხლებთან ბრძოლაში და წავიდა

ამ სიაში უნდა მოივხსენიოთ: **ტ. მაკა**ლოხი (ფილადელფია, 6.8 მლ6. 2007), ჯერ. უილიამსი (ნიუ იორკი, 6.4 მლნ. 2007), შონ ბრედლი (დალასი, 4.8 მლნ. 2008), ევან ეშმაიერი (დალასი, 3.7 მლნ. 2007), არვიდას მაციაუსკასი (ნიუ ორლეანი, 2.5 მლნ. 2008 - დაბრუნდა ევროპაში), ტარიკ აბდულ-ვაჰადი (დალასი, 2.0 მლნ. 2007)

# Lamasarn assonn อตางสิงห์กี่ หว่างปลักห์ก 00580% 8580R05540

ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ **ᲞᲐᲐᲢᲐ ᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ** 

പാരാർക്കരാടവ ᲒᲐᲛᲣᲙᲐ ᲩᲘᲮᲚᲐᲫᲔ ᲒᲘᲐ ᲗᲕᲐᲚᲐᲑᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ർഗ്രത്തെല്ല വാര്യ E03M22M8 E03074090 35565 ᲗᲝᲗ5ᲫᲔ ᲛᲔᲠᲐᲑ ᲛᲐᲛᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲪᲐᲒᲐᲫᲔ **ᲚᲔᲕᲐᲜ %ᲐᲜᲔ%ᲐᲨᲕᲘᲚᲘ** 809 **838330**50 ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲗᲐᲕᲐᲫᲔ 3595 CO9M6093050 **%305@3500060330**@0 ᲙᲝᲒᲐ ᲮᲐᲢᲘᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ

80L03 305853540 **മെന്നാം വടന്നു ᲨᲐᲚᲕᲐ ᲑᲘᲑᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ** გოგა ა<del>გ</del>ალაძე ᲒᲝ**Ტ**ᲤᲠᲘᲓ ᲚᲔᲜᲪᲘ ᲘᲚᲘᲐ ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲛᲔᲠᲐᲑ ᲚᲝᲠᲗᲥᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲬᲣᲑᲘᲜᲘᲫᲔ

**ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ** ᲓᲐᲕᲘᲗ ᲙᲝᲮᲠᲔᲘᲫᲔ, ᲕᲐᲡᲘᲚ გალა<u>ხაშ</u>ე, მერაგ გრშელიშე, 858335 95E009e05 065350 8560805040 603M35355050000

CPU996619 9998669

**&2046047760 624248060** 908202 36290

**ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ३**ᲓᲒᲣᲤᲘ: ᲔᲚᲘᲖᲒᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲮᲐᲗᲣᲜᲐ ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲐᲫᲔ, ᲓᲐᲕᲘᲗ ᲒᲔᲒᲔᲥᲙᲝᲠᲘ, ᲓᲐᲕᲘᲗ ᲨᲐᲚᲣᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ,

ᲙᲝᲠᲔᲥᲢᲣᲠᲐ ᲚᲔᲚᲐ ᲮᲝᲛᲐᲡᲣᲠᲘᲫᲔ ᲚᲔᲕᲐᲜ ᲒᲘᲒᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

องสหรองของกบ เงล์เงษาหก ขง 30606074038730 &2300 920F2%293 (დირექტორის მოადგილე), გივი ვეგაპიკე d000336 @0@8060d0

ᲛᲐᲠᲙᲔᲢᲘᲜᲒᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ ᲗᲐᲛᲐᲠ **Ჯ**ᲘᲨᲙᲐᲠᲘᲐᲜᲘ (ტ: 46 34 48) ᲒᲐᲥᲐᲠ ᲒᲐᲩᲔᲩᲘᲚᲐᲫᲔ (ტ: 899 91 87 17) 25m39 39920m043

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თპილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

#### L31117.311

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ᲚᲔᲚᲝᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ: <del>ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲙᲐᲙᲐᲒᲐᲫᲔ (1949-52, 64-76)</del> ᲔᲠᲔᲛᲝ ᲛᲐᲮᲐᲗᲐᲫᲔ (1952-53) ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ଅᲒଅᲚᲐᲕᲐ (1953-64) ᲐᲜᲖᲝᲠ ᲒᲐᲡᲘᲚᲐᲘᲐ (1976-83) ᲐᲠᲩᲘᲚ ᲒᲝᲒᲔᲚᲘᲐ (1984-85) 010680% 80R0R0ლ0d0 (1985-gs-6)

ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘ: **ᲨᲞᲡ ᲒᲐᲖᲔᲗ**Ი **型り型内, 336 63円糸あ30型の3** 



35%&60M60: しろみるのろつででし നട്ടറാടാന്ത്ര **ജ**നയോ

20P29789399 a. 3MU&333U14, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი). Skan&a@01.10\* 0159 **の3**0약060 (ജറജ്മറ, ১৮, പറത്രെക്രൗയ്യറാ, 30/430/20 (3/4070/20); 35460: +995.32463097 e-mail: sporti@sporti.ge; gazeti lelo@mail.ru ინდექსი 66435 INDEX

33840 3335555 33643 336665

